ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 დეკემბერი პარასკევი 2009
№304 (12983) ფასი 60 თეთრი

## მათე მორის სკანდალში!



## ღვინიანიძე: ქურდობას მაბრალებენ

ინტერვიუ
» გვერდი 2

# ჯანომ ბოიანს გაასწრო



» გვერდი 2



## იტალიაში მაქსიმუმი არ კმარა

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან » გვერდი 12




მსოფლიო ფეხბურთი » გვერდი 7-10




## ყურადღება, არ გამოგრჩეთ!

შაბათის ლელო და მუნდიალის კალენდარი ჯერ კიდევ იყიდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 ტალანტი

# ანანიძემ კრკიჩი ჩამოიტოვა

პოპულარულმა იტალიურმა გამოცემა Guerin Sportivo-მ 23-წლამდე ასაკში მსოფლიოს 100 გამორჩეული ტალანტის სია გამოაქვეყნა. ასეულში ერთადერთი ქართველია - მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე**. ჩამონათვალში ჯანოს მეზობლად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მოთამაშეები არიან **მარტინ კასერესი** (იუვენტუსი), **დავიდე სანტონი** (ინტერი), **მარსელო** (რეალი). ანანიძემ სიაში ისეთი ფეხბურთელები ჩამოიტოვა, როგორებიც არიან **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), **ბოიან კრკიჩი** (ბარსელონა), **ჰოლგერ ბადშტუბერი** (ბაიერნი), **ტომ კრული** (ნიუკასლი), **თეო უოლკოტი** (არსენალი), **ჯოვანი დოს სანტოსი** (ტოტენჰემი)...

ახალგაზრდა ფეხბურთელთა მოწინავე ათეული კი ასე გამოიყურება:

**1. ლიონელ მესი** (ბარსელონა), **2. სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **3. ალეშანდრე პატო** (მილანი), **4. ქარიმ ბენზემა** (რეალი), **5. სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა), **6. მესუთ იოზილი** (ვერდერი), **7. გონსალო იგუაინი** (რეალი), **8. ლუის სუარესი** (აიაქსი), **9. სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **10. ალან ძაგოევი** (ცსკა მოსკოვი).


ჯანო ანანიძე — გოგოიტა ბუხაიძის ფოტო

ანანიძესთან დაკავშირებით ერთი ამბავიც უნდა მოგახსენოთ, რაზეც „ევროსპორტი", „კალჩომერკატო", „ტუტომერკატო" და სხვა ვებგვერდები წერს. როგორც ირკვევა, „ფიორენტინას" გენერალური დირექტორი **პანტალეო კორვინო** ჩვენებურით სერიოზულადაა დაინტერესებული. ამის დასტურად, თავად სინიორ კორვინოს სიტყვებიც გამოდგება:

*„ჩვენ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს დიდი ინტერესით ვაკვირდებით. ერთ-ერთი მათგანი მოსკოვის „სპარტაკის" შემტევი ნახევარმცველი ჯანო ანანიძეა, რომელსაც თებერვლიდან მოყოლებული ვადევნებთ თვალს. ვფიქრობ, ის ახლო მომავალში ახალ იოვეტიჩად იქცევა", - სჯერა ფლორენციული კლუბის გენერალურ დირექტორს.*

*... "ეს რუსი (?!) ვუნდერკინდი ფანტასტიკური ნიჭის მფლობელია და სწრაფად პროგრესირებს. ანანიძე თებერვალში იტალიაში გამართულ „ვიარეჯოს" ტურნირზე გოლებითა და კარგი თამაშით წარმოჩნდა. ამ ტურნირს კორვინოს მიერ კლუბიდან წარგზავნილი სკაუტიც ადევნებდა თვალს და როგორც ჩანს, ჯანო ანანიძით პირველად სწორედ მაშინ დაინტერესდნენ", - ეს კი უკვე იტალიური წყაროს „შემოქმედებაა".*

სამწუხაროა, მაგრამ „ტუტომერკატო" და „კალჩომერკატო" ჯანოს რუსად მოიხსენიებენ და საქართველოს საერთოდ არ ახსენებენ. არადა, იტალიური წყაროების მიერ ჯანოზე ადრეც ყოფილა გავრცელებული ინფორმაციები და იქ გარკვევით ეწერა, რომ ანანიძე ქართველია. იმედია, დროზე მიხვდებიან, რომ ეს ვუნდერკინდი ქართველი ამომავალი ვარსკვლავია და მალე ყველას უკეთ გააცნობს თავს.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# მჭედლიძე პალერმოს დატოვებს

## ლივორნო, ბოლონია, თუ...

მათამაშეთ ან გამიშვით — ასეთია საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ლევან მჭედლიძის** მოთხოვნა „პალერმოს" ხელმძღვანელობისადმი და ამის თაობაზე უკვე გაცნობეთ. იმასაც ვწერდით, „პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** ახლო მეგობარსა და ამავე დროს „ლივორნოს" მეპატრონე **ალდო სპინელის** მჭედლიძისა და ბრაზილიელი მეკარე **რუბენს ფერნანდოს** იჯარით დათმობა რომ შესთავაზა. როგორც გაცნობეთ, მჭედლიძეს თავისი მომავალი, საშობაო არდადეგებამდე, სამშობლოში დაბრუნებამდე უნდა გაერკვია. შეხვდა თუ არა ლევანი სიცილიური გუნდის თავკაცებს, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა იტალიური ვებგვერდები უკვე ღიად წერს, რომ ლევან მჭედლიძე „პალერმოს" მთავარ მწვრთნელ დელიო როსის გეგმებში არ შედის. არაერთი საიტი მიუთითებს, რომ მჭედლიძე ზამთრის პაუზისას მისამართს შეიცვლის. თუმცა მისი კარიერის მომავალზე ჯერ კიდევ მწირი ცნობებია.

*„20 დეკემბერს „სიენაზე" გამარჯვებისა და სერია A-ს ცხრილში პოზიციების გამაგრებამ „პალერმოს" თავკაც დელიო როსისაც გაუმაგრა ზურგი. კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელს სრული კარტბლანში მისცა. როსი უკვე არ მალავს, რომ ზამთრის პაუზისას დიდ წმენდას ჩაატარებს, რომლის კონტურები უკვე იკვეთება. გუნდს ის ფეხბურთელები დატოვებენ, რომლებიც დელიო როსის უახლოეს გეგმაში არ შედიან. ასეთი არაერთია, მაგრამ ძამპარინი ყველას ვერ შეელევა და როგორც ჩანს, უმეტესობას გაანათხოვრებს.*

*... ასევე არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, ლევან მჭედლიძე და აბელ ერნანდესი, რომლებიც როსის გეგმებში არ შედიან. მათ მიმართ ინტერესი უკვე არის, პირველ რიგში კი „ლივორნოდან"*, - წერს ვებგვერდ goal.com-ის იტალიური ბიურო.

violanews.com-ი კი მჭედლიძით დაინტერესებულ კიდევ ერთ კლუბს ასახელებს - „ბოლონიას". ცნობისათვის, „ლივორნომ" „უდინეზეს" დარად 18 ქულა დააგროვა და ეს გუნდები XIV-XV ადგილებს იყოფენ. „ბოლონიას" კი 2 ქულით ნაკლები აქვს და „ლაციოსთან" ერთად XVI-XVII ადგილებს იყოფს...

mediagol.it-თან ლევან მჭედლიძის აგენტმა **დავიდე ტორკიამ** თავდამსხმელის მომავლის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა:

*„უკვე დიდი ხანია, ლევანთან მაქვს ურთიერთობა და მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი. დარწმუნებული ვარ, მას დიდი მომავალი აქვს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის დეფიციტი მის პროგრესს აფერხებს. ასევე, არანაკლები დაბრკოლებაა ტრავმაა. მჭედლიძის ხშირი ტრავმები იმით აიხსნება, რომ ის სიმაღლეში სწრაფად გაიზარდა და ამ მოკლე ხანში, თანაც დიდი დატვირთვების ფონზე, ძვლებმა სათანადოდ მომაგრება ვერ შეძლო. ეს არგუმენტი ჩემი მოგონილი არაა, ამ სფეროში კარგად ცნობილი პიროვნებების დასკვნაა.*

*მჭედლიძე უკვე კარგა ხანია მწყობრშია, მაგრამ მას მაინც არ უწევს თამაში. ამ შემთხვევაში მისი ტრავმა არაფერ შუაშია. თუმცა „პალერმოს" მწვრთნელების გადასაწყვეტია, ვინ ათამაშონ და ვინ - არა, მათ საქმეში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებ... ლევანი რამდენიმე კლუბს აინტერესებს, მათგან ზოგი უკვე ცნობილია კიდეც. თუმცა ჯერ „პალერმოსგან" პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირებას ველოდებით... მანამდე, მეტს ვერაფერს გეტყვით, გარდა ერთისა - ნათხოვარი ფეხბურთელის განათხოვრება შეუძლებელია. მჭედლიძის მომავალზე საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელმა უნდა თქვას"*, - აღნიშნა სინიორ ტორკიამ.

დაბოლოს, sportal.it-ის მიერ ღამით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მჭედლიძემ და **აბელ ერნანდესმა**, „პალერმოს" პრეზიდენტ ძამპარინის თხოვნით, დედა სერაფინა ფაროლფის ბავშვთა სახლი მოინახულეს. სტუმრებმა საშობაო საჩუქრებიც დაარიგეს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ


მათე ლვინიანიძე

## მათე ლვინიანიძე

# მიუნხენში ქურდობას მაბრალებენ

## ესპანიოლი, ფრაიბურგი, აინტრახტი... ლოკომოტივშიც სიამოვნებით დავბრუნდები

**მათე ლვინიანიძე ამჟამად თბილისშია. ახალგაზრდა ქართველ მცველს კლუბის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი და როგორც „ლელოსთან" საუბარში თქვა, დიდია იმის ალბათობა, რომ „მიუნხენ 1860" ზამთრის სატრანსფერო პერიოდშივე დატოვოს. მიუნხენიდან წამოსვლის მიზეზებისა და მსურველი კლუბების შესახებ თავად მათეს ინტერვიუდან შეიტყობთ.**

- ახლა საახალწლო არდადეგები მაქვს, გერმანიაში 2 იანვარს დავბრუნდები. „მიუნხენთან" რამდენიმე საკითხი მაქვს გასარკვევი, საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ იანვარში კლუბს შევიცვლი.

**- „მიუნხენში" არაერთი წელიწადი გაქვს გატარებული და ალბათ, ამ გადაწყვეტილებას იოლად არ მიიღებდი.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ უმჯობესია, „მიუნხენი" რაც შეიძლება მალე დავტოვო.

**- ალბათ, მეორე ბუნდესლიგაში თამაშის მოტივაცია აღარ გაქვს...**

- უფრო ძლიერ გუნდში და ძლიერ ლიგაში მინდა თამაში, მაგრამ არსებობს სხვა არასაფეხბურთო მიზეზიც.

**- თუ ამის თქმის სურვილი გაქვს, საინტერესოა, რა მიზეზია?**

- მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან მაქვს ცუდი ურთიერთობა.

**- რატომ?**

- ზაფხულის შეკრება ახალი დამთავრებული იყო, ჩემმა ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ძვირად ღირებული ოქროს ყელსაბამი რომ დაკარგა. ოთახში მის გარდა, ექვსი ფეხბურთელი ვიყავით და რა თქმა უნდა, ეჭვი ჩვენზე მოიტანეს. მთავარმა მწვრთნელმა ევალდ ლინენმა ექვსივე დაგვაჯარიმა, მალე კი რატომღაც, განსაკუთრებით მე ამითვალწუნა. თავს ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობ და ჩემთვის აუტანელია იმ გარემოში ყოფნა, სადაც ქურდობას მაბრალებენ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე კლუბის შეცვლა. ნამდვილად არაა „მიუნხენ 1860" იმ დონის გუნდი, ასეთი საშინელი მდგომარეობის მოთმენა რომ ღირდეს.

**- სად გაქვს კარიერის გაგრძელების შანსი?**

- საკმაოდ ბევრი მსურველი მყავს, რაც უპირველეს ყოვლისა, ჩემი ამერიკელი აგენტის, ჯონ გეიზერის დამსახურებაა. ბუნდესლიგიდან ოთხი კლუბი მიწვევს, მათ შორის „ფრაიბურგი" და „აინტრახტი". რაც ყველაზე საინტერესოა, ჩემი შეძენა „ესპანიოლს" სურს და სწორედ ეს ვარიანტია ჩემთვის პრიორიტეტული. პრიმერა დივიზიონში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და იმედია, ეს ტრანსფერი განხორციელდება. დარწმუნებული ვარ, ესპანურ ფეხბურთს უცებ ავუღებ ალღოს და იქ დამკვიდრება არ გამიჭირდება. „ესპანიოლის" სკაუტებმა ჩემი თამაში თბილისში, საქართველო-რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში ნახეს. ამას გარდა, დაინტერესებულნი არიან რუსული და უკრაინული კლუბები.

**- „მიუნხენთან" მოქმედი კონტრაქტი გაკავშირებს. კლუბი შენ სანაცვლოდ რა თანხას ითხოვს?**

- მილიონ-ნახევარ ევროს. როგორც აგენტი მეუბნება, დაინტერესებული კლუბი ამ თანხას უპრობლემოდ გადაიხდის.

**- იმედია, „ესპანიოლთან" დაკავშირებით ყველაფერი კარგად დასრულდება, მაგრამ ესპანური და გერმანული ვარიანტები რომ არ გამოვიდეს, რუსეთში თუ დაბრუნდები?**

- რატომაც არა?! ძალიან მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ და მეორე ბუნდესლიგაში თამაშს რუსეთის პრემიერლიგა ნამდვილად მირჩევნია. იქაურ გარემოსაც იოლად შევეჩვევი, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოდან წასვლის შემდეგ სწორედ რუსეთში ვთამაშობდი და დიდი ფეხბურთისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგი. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი მურთაზ შელიასა და ბესო ქარდავას, რომლებმაც მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასვლაში შემიწყვეს ხელი, ასევე ჩემი ბავშვობის მწვრთნელებს, ვახტანგ კოპალეიშვილსა და ზვიად ასათიანს.

**- შენი ყოფილი კლუბი, მოსკოვის „ლოკომოტივი" ხომ არ შეგხმიანებია?**

- დიახ, დაინტერესებულ კლუბებს შორის „ლოკომოტივიცაა". თუ პრიმერა დივიზიონში ან პირველ ბუნდესლიგაში ვერ გადავედი, „ლოკომოტივში" დიდი სიამოვნებით დავბრუნდები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერმო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ბუცები ლურსმანზე



# რეკორდსმენი და ვალმოხდილი იონა

**2008 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში, მართლაც უნიკალური მოვლენა მოხდა: „ბორჯომი"-„ზესტაფონის" შეხვედრა სტუმართა ფორვარდის, ზურაბ იონანიძისთვის საიუბილეო, მეოთხასე აღმოჩნდა! „ადამიანი-რეკორდი" - ასე გამოვეხმაურეთ ამ გასაოცარ მიღწევას და მაშინვე ვივარაუდეთ, რომ ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა და თავის სარეკორდო მაჩვენებელს კიდევ უფრო გაზრდიდა...**

ასეც მოხდა და მართლაც ძნელი სათქმელია, თუ ვინ შეძლებს **ზურაბ იონანიძის** ერთდროულად ორი რეკორდის დამხობას კი არა, „ახლოს მისვლასაც" კი. ცნობისათვის: იონანიძე პირველი (და ამ ეტაპისთვის - ერთადერთი) ფეხბურთელია, საქართველოს ჩემპიონატში ოთხასი მატჩი რომ ჩაატარა; ამას გარდა, ასევე პირველი და ერთადერთია ეროვნულ ჩემპიონატში ორასი გოლი რომ გაიტანა! კიდევ ვიმეორებთ: რა დრო უნდა გავიდეს, ამ ორიდან თუნდაც ერთი სარეკორდო მაჩვენებელი ვინმემ რომ გააუმჯობესოს; ყოველ შემთხვევაში, ზურაბ იონანიძეს „მშვიდად ყოფნა" დიდხანს მოუწევს - კონკურენტები ვისაც შეუძლია ვუწოდოთ, საკმაოდ ჩამორჩებიან...

ყველა იმ ლამაზი ზღაპრისა არ იყოს, ზურაბ იონანიძის ხანგრძლივ და, მართლაც, შთამბეჭდავ კარიერასაც, როცა იქნებოდა, დასასრული უნდა ჰქონოდა. ასეც მოხდა: ამ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად გაცხადდა, რომ იონანიძემ თავისი 21-წლიანი (!) საფეხბურთო კარიერა დაასრულა!

...მიმდინარე ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს შორის იონანიძე ერთადერთი იყო ვინც... სულ პირველ გათამაშებაშიც (1990 წელს) მონაწილეობდა. აი, სწორედ პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან გაიცნო კიდეც ქართველმა გულშემატკივარმა იმ დროისათვის 19 წლის იონანიძე, ვინც წყალტუბოს „სამგურალის" ღირსებას იცავდა. ამ გუნდში სამი წელი დაყო და განსაკუთრებით კარგად მესამე ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშა, როდესაც **სოსო ფრუიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სამგურალს" მცირედი დააკლდა ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად. აი, ამის შემდეგ კი ბევრად ამბიციურ გუნდში - ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდა, სადაც თავდასხმის ხაზში **დავით ჯანაშიასთან** ერთად მართლა შესანიშნავი „დუეტი" შექმნა. სხვათა შორის, არც ის ფაქტი იყო უმნიშვნელო, რომ იმ სეზონში „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი **გიგა ნორაკიძე** გახლდათ.

იონანიძე-ჯანაშიას „დუეტი" მერეც, წლების განმავლობაში, „ატერორებდა" მეტოქე გუნდების მცველ-მეკარეებს; უპირველესად, რაღა თქმა უნდა, „სამტრედია" უნდა ვახსენოთ, თბილისის „დინამოს" რომ უწევდა სერიოზულ კონკურენციას. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ იმ პერიოდში **მურთაზ ხურცილავას** „სამტრედიაში" ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ (**კახა გოგიჩაიშვილი, გია ჯიშკარიანი, ზაზა ჯანაშია, გიორგი დარასელია, გიორგი გოგიაშვილი**), თუმცა იონანიძე ამათ ფონზეც გამორჩეულად მიიჩნეოდა. შემდეგ კი რუსეთის უმაღლეს ლიგაშიც მოსინჯა ძალები, თუმცა, მანამდე, მართლაც, შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა: ვიდრე სოჭის „ჟემჩუჟინაში" გადავიდოდა, „სამტრედიაში" მხოლოდ პირველი წრე ითამაშა და 15 მატჩში... 23 გოლი გაიტანა! „ჟემჩუჟინას" კვლავ რუსული გუნდი (ასევე, უმაღლესი ლიგის) მოჰყვა - ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი", თუმცა იქ მხოლოდ ნახევარი წელიწადი დაყო და კვლავ „ტორპედოს" დაუბრუნდა. არც უნანია: **დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით „ტორპედომ" პირველად შეძლო „დინამოს" ათწლიანი ჰეგემონიის დამხობა! მოკლედ, „ტორპედოსთან" ერთად იონამ ტიტულების „მოგროვება" დაიწყო: როგორც გუნდური, ასევე - ინდივიდუალური. ამასობაში, ქუთაისურ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო, მაგრამ უკვე 30-ს გადაცილებულ იონანიძეს ამით პრობლემა არ შეჰქმნია - ახლა უკვე ახალგაზრდა პარტნიორებთან (**მალხაზ ასათიანი, გიორგი იმედაძე**) ერთად ამდიდრებდა ჯილდოების კოლექციას.

...32 წლის ასაკში უკრაინაში სათამაშოდ რომ გაემგზავრა, ბევრმა ეჭვის თვალითაც შეხედა მის ნაბიჯს; თუმცა, სიმფეროპოლის „ტავრიაში" ორი სეზონი მუდამ ძირითადში ასპარეზობდა და 2005 წლის დასაწყისში კვლავ საქართველოში დაბრუნდა. ოღონდ, ამჯერად „ზესტაფონში" - თავისთვის მეოთხე... იმერულ კლუბში და „ტორპედოს" მსგავსად, ამ გუნდშიც ექვსი სეზონი ჩაატარა.

...საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში (2000, 2001, 2002 წლებში), საქართველოს თასის სამგზის მფლობელი (ორჯერ - „ტორპედოს", ერთხელ - „ზესტაფონის" შემადგენლობაში), საქართველოს ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორი და სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი - აი, ასეთი მიღწევებით შეუძლია დაიტრაბახოს ზურაბ იონანიძეს. ისე, თასი ვახსენეთ და, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „იონას" საქართველოს თასის რვა (!) ფინალი აქვს ნათამაშები და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქედან მხოლოდ სამჯერ შეძლო ამ საპატიო პრიზის მოპოვება. ეს ყველაფერი გუნდური ტიტულებია და რაღა თქმა უნდა, ინდივიდუალური მიღწევებიც უნდა ვახსენოთ: 1999-2000 და 2002-03 წლების სეზონების მიხედვით ზურაბ იონანიძე, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა! იმ ორ სეზონში იონანიძემ სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი - საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

...წლები ემატებოდა, თუმცა ჩვეული შემართებით თამაშობდა და „ზესტაფონის" ალორძინებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა; სამწუხაროდ, ამ სეზონში ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და აი, სულ ახლახან 38 წლის (!) ასაკში შთამბეჭდავი კარიერაც დაასრულა!

...ამ სამიოდე წლის წინ, ინტერვიუ ჩამოვართვით და თავის საფეხბურთო ხანდაზმულობის „საიდუმლოს" განდობა ვთხოვეთ; რა თქმა უნდა, ასაკის მატებასთან ერთად ძველებურად სწრაფი არა ვარ, მაგრამ გამოცდილებით და აზროვნებით ვცდილობ ამის კომპენსაციასო, - ასე გვიპასუხა და იქვე დაამატა: ისე როგორც ახალგაზრდობაში, დღესაც მკაცრად ვიცავ რეჟიმს და, რაც მთავარია, მოტივაცია არ დამიკარგავსო. წარმოიდგინეთ - 35 წლის ფეხბურთელი კვლავაც მოტივაციაზე გვესაუბრებოდა...

ზურაბ იონანიძეს თავის 21-წლიან კარიერაში ერთადერთ „ხინჯად" შესაძლოა ის დარჩენოდა, რომ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი მატჩების ჩატარებამ მოუწია საქართველოს ნაკრებში. 1996 წელს - რუმინეთთან, 2000 წელს - სომხეთთან, 2001 წელს - აზერბაიჯანთან და 2006 წელს - ახალ ზელანდიასთან, - აი, ამ ოთხ ამხანაგურ მატჩში ითამაშა. სხვათა შორის, აზერბაიჯანელებთან შეხვედრაში მატჩის ერთადერთი გოლის ავტორი სწორედ იონანიძე იყო...



დაბოლოს, ჩვენს მოკრძალებულ სურვილზეც: იმედია, მომავალი წლის გაზაფხულზე, „ზესტაფონის" ერთ-ერთ საშინაო მატჩში ზურაბ იონანიძეს დიდი ფეხბურთიდან საზეიმო გაცილებას მოუწყობენ. ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი ფეხბურთიდან ასე „უხმაუროდ" წასვლას ნამდვილად არ იმსახურებს...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერები



ინტერის ქართველი მწვრთნელები: გიორგი ჩიხრაძე (მარცხნივ) და კახა ცხადაძე

# ცხადაძე ზამთრის ჩემპიონია

**კახა ცხადაძის** „ინტერმა" ზამთრის შესვენების წინ მორიგი გამარჯვება იზეიმა, კონკურენტ „ყარაბახის" წაფორხილებით ისარგებლა და პირველ ადგილზე გადავიდა. გაბალაში ცხადაძემ ვერ წაიყვანა ტრავმირებული **კახაბერ მჟავანაძე**, გუნდის პირველმა მეკარემ, ბრაზილიელმა **ვილსონმა** ბოლო ტურში ტრავმა მიიღო, ამის გამო კარში საქართველოს ნაკრების გოლკიპერი **გიორგი ლომაია** ვიხილეთ. **დავით ოდიკაძე** კი თამაშში 70-ე წუთზე ჩაერთო. „ინტერი" მოედანზე ცხადაძის ასისტენტმა **გიორგი ჩიხრაძემ** გამოიყვანა. „ინტერმა" „გაბალას" **პეტარ ზლატინოვის** გოლის (87 წუთი) წყალობით მოუგო - 1:0, 36 ქულა დააგროვა და გალიდერდა. წაგებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **რევაზ გეწაძემ**. „გაბალა" *ძლიერი მეტოქეა, ჩვენ ეს გუნდი საგოლე მომენტის უკეთ გამოყენების ხარჯზე დავჯაბნეთ*", - განაცხადა ჩიხრაძემ მატჩის შემდეგ.

„ყარაბახი" შინ „ბაქოს" დაუზავდა - 0:0. სტუმართა რიგებში აღარ ირიცხება **ამირან მუჯირი**, რომელიც თურქმა სპეციალისტმა **ბიულენთ კორკმაზმა** აითვალწუნა. **გიორგი ადამია** კი 74-ე წუთზე შეცვალეს. ტურის ცენტრალურ მატჩს აგდამში 2 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. „ბაქო" 28 ქულით მე-5 ადგილზეა. აუტსაიდერთა მატჩში „სტანდარდმა" **ფარიდ გულიევის** გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა „ქარვანი". ახალი წლის წინ „სტანდარდი" 9 ქულით ბოლოს წინაა, ხოლო „ქარვანი" 7 ქულით - ბოლო. **ბუიუქალა ჰაჯიევის** გუნდში 90-90 წუთი ითამაშეს **სერგი ორბელაძემ, გიორგი სეთურიძემ** და **დავით ჭიჭვეიშვილმა**, სტუმართა შორის კი - **ალექსანდრე ინწკირველმა**. ხვალ აზერბაიჯანის ჩემპიონატში ორი თამაშია და ეს ლიგა ხუთი კვირით დაგვემშვიდობება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კალაძე დღეს ბავშვებს დაასაჩუქრებს

ეროვნული ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** საშობაო არდადეგები აქვს და სხვა ლეგიონერების დარად ისიც თბილისში დაბრუნდა. „მილანის" მცველი დღეს მორიგ საქველმოქმედო აქციას ჩაატარებს. როგორც გავიგეთ, საქველმოქმედო ფონდი „კალა" 14 საათზე წყნეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლს ეწვევა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს გადასცემს.

# ამისულაშვილი სპარტაკში მეორეა

რუსული პრემიერლიგის განვლილი სეზონი რუსულმა ვებგვერდებმა კიდევ ერთხელ შეაფასეს. უფრო სწორად კი ნალჩიკის „სპარტაკის" ასპარეზობა გააანალიზეს და ამ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვაც ჩაატარეს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით საუკეთესოდ ფორვარდი **შამილ ასილდაროვი** დაასახელეს. ასილდაროვმა 47 ბალი დააგროვა. მეორე ადგილზე, 34 ბალით ქართველი მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** გავიდა, მესამეზე კი მეკარე **დეიან რადიჩი**, რომელმაც 26 ბალი დააგროვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამისულაშვილი მეტს თუ არა, ამაზე ნაკლებს ნამდვილად არ იმსახურებდა...



ალსანიშნავია ისიც, რომ რუსული პრემიერლიგის 2009 წლის სეზონში ალექსანდრე ამისულაშვილი სტაბილურად სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან ნალჩიკელთა გუნდში ყველა, 30-ივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა. რუსულმა გამოცემებმა, გამორჩეული თამაშის გამო, ამისულაშვილი რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს.

# ხანიშვილს კრილიაში აკვირდებიან

შესაძლოა რუსულ პრემიერლიგაში ქართული ლეგიონის რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდოს. როგორც ირკვევა, სომხური „განძასარის" მცველი **დავით ხანიშვილი** სამარის „კრილიაშია" სინჯებზე. ხანიშვილი სამარელთა გუნდში ამხანაგურ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას და გუნდში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხიც შემდეგ გადაწყდება. როგორც ირკვევა, დათო ხანიშვილმა „განძასარის" რიგებში 54 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზე 5 გატანილი ბურთი და ერთი საგოლე პასია. რუსული წყაროების ინფორმაციით, ხანიშვილი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და ახლა „კრილიაში" ჩარიცხვას ცდილობს. შეგახსენებთ, რომ დავით ხანიშვილი, სომხეთში გადაბარგებამდე, ძმასთან, **კობა ხანიშვილთან** ერთად გორის „დილაში" ასპარეზობდა. ის უკვე შეუთანხმდა სომხურ კლუბს, თუ სამარაში არ დაიტოვებენ, მაშინ კარიერას ისევ „განძასარში" გააგრძელებს.

**დავით ცაბაძე**

# ახალი მწვრთნელები და ახალი პრიორიტეტები

## ვიტ ჯორჯია

| სულ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| **შინ** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 5 | 3 | 1 | 16-8 | 18 |
| **სტუმრად** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 4 | 3 | 2 | 10-10 | 15 |

ვიტ ჯორჯიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ვიტ ჯორჯია-სამტრედია | 2:1 |
| II ტური | გაგრა-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 2:1 |
| IV ტური | დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:0 |
| VI ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 1:1 |
| VII ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| VIII ტური | ვიტ ჯორჯია-ბაია | 2:1 |
| IX ტური | ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| X ტური | სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-გაგრა | 5:1 |
| XII ტური | სიონი-ჯორჯია | 0:1 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0 |
| XIV ტური | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XV ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| XVI ტური | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 1:2 |
| XVII ტური | ბაია-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XVIII ტური | ვიტ ჯორჯია-ლოკომოტ. | 1:1 |

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი - 13, არდალიონ მიქაბერიძე - 6;

მცველები: ალექსანდრე კვახაძე - 17 (3 გოლი), დავით ლომაია - 17 (1 გოლი), ლაშა ჯაფარიძე - 17, გიგა ბეჭვაია 16 (2 გოლი), დავით ხურცილავა - 5, ნიკა მგელაძე - 4, ამირან ყველაშვილი - 2, გურამ ადამაძე - 2;

ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე - 18 (4 გოლი), გიორგი დათუნაიშვილი - 17, გიორგი კახელიშვილი - 16, ირაკლი კლიმიაშვილი - 16, გიორგი ჯანელიძე - 12, გიორგი ვასაძე - 9, გიორგი მელქაძე - 5;

თავდამსხმელები: ჯაბა ლიპარტია - 18 (3 გოლი), ვახტანგ კვარაცხელია - 16 (11 გოლი), გიორგი ბერიაშვილი - 15 (2 გოლი), მიხეილ როსტიაშვილი - 3, ბექა ზაქრაძე - 1.

მთავარი მწვრთნელები: რამაზ მუმლაძე (III ტურის ჩათვლით), მერაბ კოჭლაშვილი (XIV ტურის ჩათვლით), მერაბ კოჭლაშვილი და გელა გომელაური (პირველი ეტაპის ბოლომდე)



16 თამაშში გატანილი 11 გოლით ვახტანგ კვარაცხელია ვეტერინართა ბომბარდირია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**მარტივი** საფეხბურთო ჭეშმარიტებაა, რომ ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. საქართველოს ბოლო ჩემპიონატები რომ გავიხსენოთ, ზედიზედ ორჯერ ოქროს მედლები კარგა ხანია, არავის მოუპოვებია. აქედან გამომდინარე, სულაც არაა გასაკვირი, „ვიტ ჯორჯიამ“ უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპი მესამე საფეხურზე რომ დაასრულა. გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშიდან გამომდინარე, ეს სავსებით ლოგიკურია. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „ვიტ ჯორჯია“ რეგრესის გზაზეა. წარუმატებელი პერიოდები ყველა გუნდს აქვს ხოლმე და როგორც ჩანს, „ვიტ ჯორჯიას“ ამის დრომ ახლა უწია.

ყველა სირთულის მიუხედავად, სეზონი ვეტერინარებისთვის მთლად საგანგაშოდაც არ მიმდინარეობს. ჩემპიონატიდან მეტს თუ ვერ შესწვდება, ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების შესანიშნავი შანსი აქვს. ის კი არადა, საბოლოოდ ჯერ არც ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჩამოშორებია. საქართველოს თასზე კი კიდევ უფრო მაღალ დონეზე იასპარეზა და იმის რეალური პერსპექტივა აქვს, რომ ისტორიაში პირველად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვოს.

„ვიტ ჯორჯიას“ პოლიტიკა კვლავაც უცვლელია. ამ მხრივ ვეტერინარები ქართული კლუბებისგან აშკარად გამოირჩევიან. შესაძლოა, ზოგისთვის „ვიტ ჯორჯიას“ სათამაშო თუ მართვის სტილი მიუღებელი იყოს, მაგრამ თითქმის არავინ კამათობს იმაზე, რომ საქმისადმი ასეთ მიდგომას შედეგი მოაქვს. ეს კი დაგვეთანხმებით, ქართულ ფეხბურთში ცოტას არ ნიშნავს.

„ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ერთი წარმატება საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში მისი ფეხბურთელების მომრავლებაა. ლუკა რაზმაძე ექტორ კუპერის გუნდის შეუცვლელ წევრად იქცა, მის გარდა, ქვეყნის მთავარ გუნდში ათამაშეს გრიგოლ ბედიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ირაკლი კლიმიაშვილი და ჯაბა ლიპარტია.

### ყველაზე წარმატებული მუმლაძეა

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა და მოულოდნელობა „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელის შეცვლა იყო. სეზონი ახალი დაწყებული იყო, **ნესტორ მუმლაძე**, რომელმაც „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცის პოსტზე სარეკორდო (საკლუბო „რეკორდი“ ორ სეზონს არ ალემატება), ოთხი სრული სეზონი გაატარა, ოფიციალური ვერსიით, საკუთარი სურვილით წავიდა კლუბიდან. საერთოდ, „ვიტ ჯორჯიასთვის“ მწვრთნელთა ხშირი ცვლა უცხო ნამდვილად არაა, მაგრამ ასეთი წარმატებული სპეციალისტის გადადგომა მაინც გაგვიკვირდა. მართალია, „ვიტ ჯორჯიამ“ სეზონი ჩემპიონთა ლიგაზე სლოვენიურ „მარიბორთან“ მარცხით დაიწყო და ჩემპიონატის პირველ ტურში „გაგრასთან“ 0:4 განადგურდა, მაგრამ ეს მინი-კრიზისი დაუძლეველი ნამდვილად არ ჩანდა. მუმლაძის შეცვლის მართებულობაში კი ჯერჯერობით, ვერ დავრწმუნდით, უფრო პირიქით...

ნესტორ მუმლაძემ „ვიტ ჯორჯია“ ისტორიაში მეორედ გააჩემპიონა და გუნდი სხვა სეზონებშიც შედეგიანად ათამაშა. ბოლო ოთხ სეზონში ვეტერინართა აქტივში ჩემპიონობის გარდა, ვერცხლის მედლების ორი კომპლექტიცაა. საფეხბურთო ცოდნის გარდა, ამ სპეციალისტმა თავი ადამიანური ღირსებებითაც დაგვამახსოვრა, რაც ქართულ ფეხბურთში დიდი იშვიათობაა.



მიმდინარე ჩემპიონატში რამაზ მუმლაძემ ვიტ ჯორჯიას სამი ტური უხელმძღვანელა

### ესტაფეტა გომელაურს

სეზონის პირველ ნახევარში „ვიტ ჯორჯიამ“ მთავარი მწვრთნელი მეორეჯერაც შეიცვალა. სტაჟიანი ჯორჯიელის, **მერაბ კოჭლაშვილის** ადგილი დუბლებიდან პირველ გუნდში გადაყვანილმა **გელა გომელაურმა** დაიკავა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა „ვიტ ჯორჯიამ“ საქართველოს სუპერთასი. აი ვისი მთავარმწვრთნელობისას მოახდინა გუნდმა სეზონის პირველი ნახევრის ერთ-ერთი უმთავრესი სენსაცია, ამას ზუსტად ვერ გეტყვით. ცხადია, „ვიტ ჯორჯია“-“ზესტაფონის“ სათასო მატჩს ვგულისხმობთ. შეგახსენებთ, მეოთხედფინალის განმეორებით დაპირისპირებაში ვეტერინარებმა „ზესტაფონთან“ სამბურთიანი ჩამორჩენა ალმოფხვრეს და მეტოქეს ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ამ მატჩის ოქმში „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად კოჭლაშვილია აღნიშნული. ჩვენი ინფორმაციით კი თამაშისთვის გუნდი გომელაურმა მოამზადა.

### დანაკარგები

ბუნებრივია, ყველა მატჩს ვერავინ მოიგებს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ საკმაოდ ბევრი დაუგეგმავი ქულა დაკარგა და ლიდერებს ამიტომაც ჩამორჩება გვარიანი სხვაობით. „გაგრასთან“ მატჩი უკვე ვახსენეთ. ამას გარდა, „ვიტ ჯორჯია“ სამტრედიაში ფრეს დასჯერდა, ამაზე უფრო დიდი უსიამოვნება კი პირველი ეტაპის ბოლო ტურში შეემთხვა, როცა საკუთარ მოედანზე ბოლოადგილოსან „ლოკომოტივს“ ვერ მოუგო.

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, „ვიტ ჯორჯიამ“ სამ უშუალო კონკურენტთან ერთ გამარჯვებასაც ვერ მიაღწია. ვეტერინარები „დინამოსთან“ ორივეჯერ უკვე ტრადიციულად ქცეულ ფრეს დასჯერდნენ, „ოლიმპსა“ და „ზესტაფონთან“ ჩატარებულ ორ-ორ მატჩში კი მხოლოდ თითო ქულას გამოჰკრეს ხელი.

### მეკარეები

„ვიტ ჯორჯია“ სტაბილური შემადგენლობით გამოირჩევა და გამონაკლისი არც მეკარის პოზიციაა. წლებია, გუნდში არიან **გრიგოლ ბედიაშვილი** და **არდალიონ მიქაბერიძე**. ეს უკანასკნელი უმეტესად დუბლებში თამაშობდა, მთავარი გუნდის კარში კი ბედიაშვილი თითქმის შეუცვლელად იდგა. მიმდინარე სეზონშიც ასე იქნებოდა, იგი სანაკრებო შეკრებაზე რომ არ დაშავებულიყო. მიქაბერიძემ მისი ტრავმის დროსაც ითამაშა და გამოჯანმრთელებულმა ბედიაშვილმა ცოტა ხანი სათადარიგოთა სკამზეც გაატარა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მოახერხა ძირითადი მეკარის სტატუსის დაბრუნება.

ბედიაშვილი ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა, მისი მთავარი ღირსება სტაბილურობაა, რაც ჩვენს მეკარეებს ასე ძალიან აკლიათ. ბედიაშვილმა ეროვნულ ნაკრებში მიწვევაც სავსებით სამართლიანად დაიმსახურა.

### მცველები

„ვიტ ჯორჯიას“ ამ რგოლშიც კარგად აქვს საქმე. დაცვის ბურჯი **ალექსანდრე კვახაძეა**. „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი უშუალო ფუნქციებსაც მაღალ დონეზე ასრულებს და თავის გუნდს პირველ ეტაპზე სამი გოლითაც შეეწია. **ბეჭვაია-კვახაძე-ლომაია-ჯაფარიძე** - უკვე კარგა ხანია, ასე გამოიყურება „ვიტ ჯორჯიას“ დაცვის ხაზი მაშინ, როცა გუნდს ამ რგოლში ტრავმირებულები და დისკვალიფიცირებულები არ ჰყავს. ოთხივე მათგანმა პირველ ეტაპზე დაკისრებულ ფუნქციებს პირნათლად გაართვა თავი. ახალგაზრდები, **ხურცილავა**, **მგელაძე** და **ადამაძე** მოედანზე ეპიზოდურად ჩნდებოდნენ.

### ნახევარმცველები

შუა ხაზში „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ უფრო მეტი მაღალი დონის შემსრულებელი ჰყავს და კონკურენციაც შესაბამისად, უფრო დიდია. წინა სეზონების მსგავსად, ნახევარდაცვის ლიდერებად კვლავ **ლუკა რაზმაძე**, **გიორგი დათუნაიშვილი** და **ირაკლი კლიმიაშვილი** რჩებიან. კარგად შეეწყო გუნდს ახალწვეული **გიორგი კახელიშვილი**. გასულ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო **გიორგი მელქაძე**, მაგრამ იგი ზაფხულში ავტოავარიაში მოყვა და როცა მწყობრში ჩადგა, მოედანზე გასვლა იშვიათად უწევდა. სასტარტო შემადგენლობას ნელ-ნელა უშინაურდება და რიგიან შთაბეჭდილებას ტოვებს **გიორგი ვასაძე**, რომელიც „ვიტ ჯორჯიას“ აკადემიის აღზრდილია.

### თავდამსხმელები

„ვიტ ჯორჯიას“ შეტევის უდავო ლიდერი, რალა თქმა უნდა, **ვახტანგ კვარაცხელიაა**. ეს ლონიერი და ტექნიკური ფორვარდი თითქმის ყველა მატჩში გამოირჩევა და ჩემპიონატის ბომბარდირობისთვისაც იბრძვის. კვარაცხელია, რომელიც „ვიტ ჯორჯიაში“ მეორე სეზონს ატარებს, ბედიაშვილთან, რაზმაძესა და ბერიაშვილთან ერთად, იმ იშვიათ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც „ვიტ ჯორჯიას“ აღზრდილი არ არის. როგორც ხედავთ, ტრანსფერმა ოთხივე შემთხვევაში გაამართლა.

„ვიტ ჯორჯიას“ გარდა, კვარაცხელიამ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც. ალბათ გახსოვთ, რომ სწორედ კვარაცხელიას ეფექტურმა გოლმა გადაურჩინა ქულა ჩვენს გუნდს ირლანდიასთან საშინაო შეხვედრაში.

თავის საქმეს კვლავ დამაჯერებლად ასრულებს **ჯაბა ლიპარტია**. გოლების გატანა მისი მთავარი ფუნქცია არაა, ფლანგიდან კი თითქმის ყოველთვის გამოსდის თამაშის გამწვავება. „ვიტ ჯორჯია“ განსაკუთრებული შედეგიანობით არ გამოირჩევა. 18 მატჩში გატანილი 26 გოლი (რაც უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის მეოთხე შედეგია) მოქმედი ჩემპიონისთვის არცთუ სახარბიელო მაჩვენებელია, მაგრამ ამაში ჩვენ მიერ ნახსენებ თავდამსხმელებს ბრალი ნაკლებად მიუძღვით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შოტლანდიელები იმერეთიდან

## სამტრედია

**სულ**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |

**შინ**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 2 | 2 | 16-14 | 17 |

**სტუმრად**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 2 | 6 | 9-21 | 5 |

**სამტრედიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ვიტ ჯორჯია-სამტრედია | 2:1 |
| II ტური | სამტრედია-ზესტაფონი | 0:2 |
| III ტური | ოლიმპი-სამტრედია | 5:0 |
| IV ტური | სამტრედია-ბაია | 1:0 |
| V ტური | ლოკომოტივი-სამტრედია | 0:3 |
| VI ტური | სპარტაკი-სამტრედია | 2:0 |
| VII ტური | სამტრედია-გაგრა | 4:3 |
| VIII ტური | სიონი-სამტრედია | 3:0 |
| IX ტური | სამტრედია-დინამო | 3:1 |
| X ტური | სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| XI ტური | ზესტაფონი-სამტრედია | 4:2 |
| XII ტური | სამტრედია-ოლიმპი | 0:4 |
| XIII ტური | ბაია-სამტრედია | 2:2 |
| XIV ტური | სამტრედია-ლოკომოტივი | 2:0 |
| XV ტური | სამტრედია-სპარტაკი | 2:1 |
| XVI ტური | გაგრა-სამტრედია | 1:1 |
| XVII ტური | სამტრედია-სიონი | 1:1 |
| XVIII ტური | დინამო-სამტრედია | 2:0 |

მეკარეები: ირაკლი შენგელია - (9), დავით ხარძეიშვილი - (8), პაატა ჯინჭარაძე - (2);

მცველები: სპარტაკ გოგია - 18, ვაჟა ქორიძე - 18 (1 გოლი), გიორგი კვესიეშვილი - 17 (2), რევაზ ნინუა - 13, კახა კირთაძე - 13, ბესიკ ხაჭიპერაძე - 9;

ნახევარმცველები: შოთა ჩომახიძე - 17 (1), ლაშა ვაშაკიძე - 16 (2), ვალიკო ტყემალაძე - 14 (3), ლევან ბაკურაძე - 13, ზურაბ ეცადეიშვილი - 12, შალვა ფირცხალავა - 11 (1), ლაშა ჯანგიძე - 6, თემურ ბარამიძე - 1, ბესიკ ჩხაიძე -1, ალექსანდრე გუბელაძე - 1, თორნიკე კაპანაძე - 1, ერიკ მბენე - 2.

თავდამსხმელები: პაატა ბაკარანძე - 15 (3), მურად გოგიშვილი - 1, ლევან ჯიქიძე - 6, მიხეილ კაკალაძე - 10 (4), ზაურ ხაჭიპერაძე - 14 (6).

მთავარი მწვრთნელები: ვალერიან ჩხარტიშვილი (VIII ტურის ჩათვლით), ლევან ანჯაფარიძე, მამუკა მესიაჩენკო (IX ტურის შემდეგ)

**ცხრაწლიანი** შესვენების შემდეგ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა „სამტრედიამ" თავიდან დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა და საერთო აზრიც ჩამოყალიბდა - გუნდი უმაღლესიდან გავარდნის უმთავრეს კანდიდატად მონათლეს. მართლაც, ორიოდე გამოცდილი ფეხბურთელისა და თითქმის უცნობი ახალგაზრდების იმედად, გუნდს უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმებოდა.

თუმცა სამტრედია საფეხბურთო ქალაქია და კლუბმა პირველი ეტაპი მეექვსე ადგილზე დაასრულა. პრეზიდენტი ზაზა ადეიშვილი შედეგით მაინც გულდაწყვეტილი დარჩა - „სამტრედია" სეზონის აღმოჩენა გახლდათ და გამოაჩინა, რომ სახელსა და გვარებს თავად ფეხბურთელები ქმნიან, „სამტრედიის" მთავარ მწვრთნელ ვალერიან ჩხარტიშვილს კი სელექციის შესაშური უნარი აღმოაჩნდა. მან ბევრი ისეთი ფეხბურთელი მოძებნა, უმაღლესი ლიგის ბევრად მდიდარ კლუბებს რომ დაამშვენებდა...

## ფინანსური სიმწირე და პრეზიდენტის ოჯახში გაკეთებული სადილი

„სამტრედია" უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი კლუბია. მისი ბიუჯეტი 500 ათას ლარამდეა, რასაც ზოგიერთი კლუბი ერთი წრეში ხარჯავს. თუმცა ხელმძღვანელობა თანხას ეფექტიანად განკარგავს - გუნდში ხელფასპრემიების დაგვიანება უცხო მოვლენაა.

კლუბის პრეზიდენტი **ზაზა ადეიშვილი** მიხვდა, რომ ამ თანხებით მატჩისწინა შეკრებებზე ფეხბურთელთა კვება გაჭირდებოდა და საკუთარი ოჯახის დიასახლისები დაასაქმა. ეს ის დეტალია, რომელიც ამ პატარა, მებრძოლი კლუბის ნიუანსებში უკეთ გაგარკვევთ. პრეზიდენტი, რომელიც თავის დროზე სამტრედიაში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი გახლდათ, ფეხბურთს უყურებს არა როგორც ფულის კეთების საშუალებას, არამედ, როგორც პატარა ქალაქის გამოცოცხლების შანსს.

კლუბში ყველა აღიარებს - რომ არა ადეიშვილი, „სამტრედია" ასეთი შეკრული კლუბი არ იქნებოდა. კლუბებს პიროვნებები ქმნიან, პატარა კაცები კი ანგრევენ. სახელმწიფოსგან დაფინანსებულ „სამტრედიაში" „ვირთხებს" არაფერი ესაქმებათ და ამიტომაც კეთდება საქმე.



ეს სამტრედია ვალერიან ჩხარტიშვილის „დაქოქილია"

## შოტლანდიელები იმერეთიდან

არახალია, საქართველოს ჩემპიონატს მაყურებელი რომ მოაკლდა. ეროვნულ პირველობას ორიოდე ქალაქში თუ სწყალობენ. სამტრედია საწარმოების სიმრავლით ძველებურად თავს ველარ იწონებს. რომ არა რკინიგზა, ქალაქი ბევრად გაჭირვებული იქნებოდა. ხალხისთვის ფეხბურთი გართობის ლამის ერთადერთი საშუალებაა.

თუმცა, „ეროსი მანჯგალაძის" მუდამ გავსებულ ტრიბუნებს მხოლოდ ამას ვერ მივაწერთ. არც ერთ სხვა რაიონში ამდენი და ამ ტიპის მაყურებელი არ შეგხვდებათ. „უზრდელები", „ყველას აგინებენ", „გუნდს რამე შარში გახვევენ" - მსგავსი შეფასებები სამტრედიელი გულშემატკივრებისგან ბევრჯერ გვსმენია.

„ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის დროს ერთ-ერთი ვაიგულშემატკივრის მიერ ნასროლმა სამხედრო ჩექმამ, რომელიც ლაინსმენს მოხვდა, კლუბის ისედაც მწირი ბიუჯეტი 1 500 ლარით აზარალა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამტრედიაში ყველა ჩექმას ისვრის. სტადიონზე ჰალსტუხით ლოჟაში მხოლოდ გამგებლები სხდებიან - სხვათა შორის, სამტრედიის გამგებელი **მერაბ ესებუაც** ფეხბურთის ფანია და მისი შვილი, გიორგი შესაძლოა უახლოეს პერიოდში დონეცკის „შახტარში" ჩაირიცხოს.

„სამტრედია" ლამის ერთადერთი კლუბია, სადაც ფეხბურთელები ქომაგებისთვის თამაშობენ და მათ წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობენ. ეს კი ფეხბურთში მთავარი ფაქტორია, რაც საქართველოში დაავიწყდათ და ამიტომაც მოგვიმრავლდნენ გულგრილი მოთამაშეები.

დღეისთვის, „სამტრედია" უმაღლეს ლიგაში ყველაზე ბრძოლისუნარიანი გუნდია, რომელიც დიდი ანგარიშით მარცხის დროსაც არ დრკება. ამიტომაც მონათლეს გულშემატკივრებმა საკუთარი გუნდი „შოტლანდიელებად".

## დინამო დამარცხებულია... ჩხარტიშვილის გარეშე

26 სექტემბერს „სამტრედიამ" ბოლნისში „სიონთან" 0:3 წააგო. გუნდიდან მთავარი მწვრთნელი **ვალერიან ჩხარტიშვილი** წავიდა და სამტრედიაში, სადაც დიდ ფულს არავინ მისცემდა, მაღალი დონის რომელი სპეციალისტი წავიდოდა? ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, გუნდი დროებით ჩხარტიშვილის ასისტენტებს, **ლევან ანჯაფარიძესა** და **მამუკა მესიაჩენკოს** ჩააბარეს, თანაც, რა დროს - შემდეგ ტურში „სამტრედიას" თვით თბილისის „დინამო" სტუმრობდა...

ალბათ, პირველი წრის უდიდესი სენსაცია სწორედ ამ მატჩის შედეგი იყო - „სამტრედიამ" მრისხანე მეტოქე 3:1 დაამარცხა. თავდაპირველად, მასპინძლებს წარმატების არ სჯეროდათ, მაგრამ აგრესიული ფეხბურთით „დინამოს" უკან დაახევინეს და ისტორიული გამარჯვებაც გამოჭედეს...

ამის შემდეგ „სამტრედიამ" შინ უკვე ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასთან" ითამაშა ფრედ (2:2) და ფეხბურთელებმა საკუთარი ძალების ირწმუნეს - მიხვდნენ, რომ უმაღლესი ლიგის ნებისმიერ გუნდთან შეეძლოთ მოგება...

გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **შოთა ჩომახიძემ** „ლელოსთან" ინტერვიუში საინტერესო ფრაზა ბრძანა - ჩვენ არ გვყავს სხვებივით სახელიანი ფეხბურთელები, მაგრამ რეალურად, იმ სახელიანებზე უკეთესები არიანო. მართლაც, პირველმა ეტაპმა „სამტრედიაში" ბევრი საინტერესო ფეხბურთელი გამოაჩინა.

...და მწვრთნელებიც - დროებით დანიშნულ ანჯაფარიძესა და მესიაჩენკოს სამწვრთნელო ნიჭი აღმოაჩნდათ.

## სათამაშო სქემა

გუნდი სეზონის დაწყების შემდეგ მაჭარივით იყო - სექტემბრის დასაწყისში დუღდა და ოქტომბრის დასაწყისისთვის დაღვინება დაიწყო. შემადგენლობაშიც უამრავი ცვლილება მოხდა. თუმცა, სათამაშო სქემებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა - ჩხარტიშვილი უმთავრესად 4-4-2-ს იყენებდა, სადაც მეორე ფორვარდი ნახევარდაცვაშიც ხშირად იხევდა. თუმცა რამდენჯერმე „სამტრედიამ" 4-5-1 სისტემაც გამოიყენა.

## მეკარეები

„სამტრედიას" თავიდანვე სერიოზული პრობლემა შეექმნა. მთავარ მეკარე **დავით ხარძეიშვილს** ხელი დაუშავდა და პირველი ეტაპის ბოლომდე ვერ ითამაშა. არადა, საკმაოდ საიმედოდ იდგა. მისი შემცვლელი, **კობა ჟორჟიკაშვილის** დროინდელი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეკარე **პაატა ჯინჭარაძე** თბილისის „დინამოსთან" დაშავდა და კარი **ირაკლი შენგელიას** მიანდვეს. მას აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა და მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე საკმაოდ კარგი თამაში ჩაატარა, მთლიანობაში, ამ პოზიციაზე „სამტრედიას" გაძლიერება სჭირდება - თუკი ხარძეიშვილი და ჯინჭარაძე დროულად არ მომჯობინდნენ.

## მცველები

დაცვის ცენტრში შეუცვლელად თამაშობდნენ **გიორგი კვესიეშვილი** და კაპიტანი **სპარტაკ გოგია**, მარჯვენა ფლანგზე **რევაზ ნინუა** დამკვიდრდა, მარცხნივ კი **ვაჟა ქორიძე** - კლუბის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი. ფლანგებს ხშირად უცვლიდნენ **კახა კირთაძეს**, რომელსაც უფრო მარცხენა მცველად იყენებდნენ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ **გიორგი კვესიეშვილის** ბრძოლისუნარიანობა - ამ ბიჭს მთელი პირველი წრის განმავლობაში მუხლი აწუხებდა, მაგრამ სამკურნალოდ წასვლას, გუნდის დალალატებად მიიჩნევდა და ბოლომდე ვაჟკაცურად გაძლო.

ცალკე ტრავმებისა და ცალკე ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო, **ბესიკ ხაჭიპერაძემ** მხოლოდ 9 შეხვედრა ჩაატარა.

და გუნდის კაპიტანი გოგია - გამოცდილი, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი, უდავოდ საიმედო მოთამაშე.

## ნახევარმცველები

„სამტრედიას" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნახევარდაცვა ჰყავს. გამოცდილ **შოთა ჩომახიძეს** ფეხბურთის ხალისი მშობლიურ ქალაქში დაუბრუნდა - სეზონის დასაწყიში ფორმიდან ამოვარდნილი ვეტერანი, ბოლო ტურებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. თუმცა ის არა საყრდენის პოზიციაზე, არამედ, მარცხენა ფლანგზე ირჯებოდა.

გუნდის ძალას აქტიური ფლანგები განსაზღვრავდა. მარჯვნივ ფლანგზე 23 წლის **ლაშა ვაშაკიძე** გამოდიოდა, რომელიც, სხვათა შორის, თავდაპირველ ორ მატჩში ჩხარტიშვილმა შემადგენლობაში არ დააყენა და გუნდის დატოვებას აპირებდა. საბოლოოდ, აზრი შეიცვალა და ამით კლუბმაც მოიგო და თავად ფეხბურთელმაც - ვაშაკიძე ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული მარჯვენაფლანგელია. თუმცა, ჩომახიძის არ იყოს, ისიც აქამდე საყრდენად თამაშობდა.

ვფიქრობ, უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდის ყურადღებას მიიქცევდა ბუნებრივად ათლეტური, ჯანიანი და ამავდროულად, ტექნიკური ცენტრი **ვაკო ტყემალაძე**. ამ ბიჭს კარგი გუნდი ბევრად უკეთ გამოაჩენდა.

ხუთწლიანი უთამაშებლობის შემდეგ „სამტრედიაში" სცადა ბედი **შალვა ფირცხალავამ** და ვფიქრობთ, ეპიზოდურად ამჟღავნებდა, რომ სკოლის დასრულებისას მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. კარგად მომზადების შემთხვევაში, ფირცხალავას გუნდის გაძლიერება შეუძლია.

ტრავმის გამო, საყრდენი ნახევარმცველი **ლაშა ჯანგიძე** მეორე წრიდან კლუბს ველარ ეხმარებოდა, არადა, მანამდე ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

საინტერესო ცენტრალური ნახევარმცველია სწრაფი, ტექნიკური და მშვენიერი დრიბლინგის მქონე **ლევან ბაკურაძე**. თუკი დამაგვირგვინებელ ფაზას დახვეწს, ბევრად უკეთ გამოჩნდება. სამტრედიელები **ზურაბ ეცადეიშვილისგანაც** მეტს ელიან.

## თავდამსხმელები

ვალერიან ჩხარტიშვილი, უმთავრესად, ორი თავდამსხმელით თამაშობდა. ერთი მათგანი აუცილებლად **მიხეილ კაკალაძე** გახლდათ. მან საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა და გუნდს მნიშვნელოვანი შეხვედრები მოაგებინა. თუმცა ზუგდიდში, „ბაიასთან" ფრედ (2:2) დასრულებული შეხვედრის შემდეგ, მას და ჯანგიძეს კლუბის დატოვება მოუხდათ.

მერე ფორვარდად, უფრო ხშირად, გამოცდილი **პაატა ბაკარანძე** გვევლინებოდა - საკმაოდ მწვავე და აქტიური „მეორე" თავდამსხმელი.

თუმცა საუკეთესო ბომბარდირი 23 წლის **ზაურ ხაჭიპერაძე** გახდა - 6 გოლი. ზაური საქართველოში ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის სანახავადაც მაყურებელი სტადიონზე დადის. ეს „დარდიმანდი", მაგრამ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი, მოედანზე ძირითადად მეორე ტაიმში ჩნდებოდა და მეტოქის საჯარიმოში ცეცხლს ანთებდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო „ზესტაფონთან" მეორე ტურის მატჩის ეპიზოდი, როცა ხაჭიპერაძემ ხუთი მოწინააღმდეგე და მეკარე მოატყუა, და მართალია, ვერ გაიტანა, მაგრამ ტრიბუნებს ლამის ხუთწუთიანი ოვაცია მოსწყვიტა.



სამტრედიაში დინამოს დამარცხებით გაიხარეს

მერაბ მამულაშვილი

პრობლემა

# ბექა ალადაშვილი: სხვა რა გზაა, უკრაინის მოქალაქეობა უნდა მივიღო...

## ანუ ამბავი იმისა, თუ როგორ გავაძევოთ ფეხბურთელი სამშობლოდან

ბოლო ხანს უცხოეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა. სამწუხაროდ, უმრავლესობაზე წარმოდგენაც არ გვაქვს. მაგალითად, ახლახან კიევის „არსენალში" **ბექა ალადაშვილი** მიიწვიეს. 17 წელია მისი ოჯახი უკრაინაში ცხოვრობს, მამა - **მერაბ ალადაშვილი**, ბიზნესმენია. ბექა კიევთან ახლოს, ქალაქ ბელოცერკოვის ლიცეუმში სწავლობდა და თამაშიც ამ ქალაქში დაიწყო. „როს-ბელოცერკოვის" შემადგენლობაში, 1991 წელს დაბადებულთა შორის, ალადაშვილი უკრაინის ჩემპიონიც გახდა.

ბექა, რომელიც 13 მაისს 18 წლისა შესრულდა, მოზარდთა გუნდებისთვისაც საინტერესო მოთამაშედ იქცა. ტანმაღალი (189 სმ) პლეიმეიკერი კიევის „არსენალში" ორი კვირის განმავლობაში ისინჯებოდა. კლუბმა მას დარჩენა შესთავაზა, ოღონდ, ერთი პირობით - უკრაინის მოქალაქეობა უნდა მიეღო და თამაშის პრობლემა არ ექნებოდა.

მერე ის მოხდა, რისი დაჯერებაც პრაგმატულად მოაზროვნე კაცს გაუჭირდება, მაგრამ ფაქტია - ბექას მამა შვილის „გაუკრაინელების" კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ, თავად ბექას კი „არსენალში" ჩარიცხვა აინტერესებდა - „როს-ბელოცერკოვის" შემდეგ კიეველ „მეთოფეთა" დუბლშემადგენლობაში მოხვედრა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა... თუმცა ჭაბუკმა ფეხბურთელმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

ამ დროს, უკრაინას ეგრეთ წოდებულმა ღორის გრიპმა შეუტია და მერაბ ალადაშვილმა ოჯახი სამშობლოში წამოიყვანა. თან ფიქრად ის ჰქონდა, რაც შემდეგ გააკეთა კიდეც - ფორმის შენარჩუნების მიზნით, შვილი ერთ-ერთ ქართულ კლუბში მიიყვანა სავარჯიშოდ. აქედან კი იწყება ისტორია, რომელსაც ბექა გვიყვება:

*„სიმართლე გითხრათ, საქართველოში თამაშით დაინტერესებული არ ვიყავი და რაღა დაგიმალოთ, ჩემს სიმართლეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ვარჯიში მსურდა, რათა ფორმა შემენარჩუნებინა და მამაჩემმა ერთ-ერთ გუნდში მიმიყვანა... გუნდში, რომლის გახსენებაც არ მინდა. სავარჯიშოდ მისულს, გაგსინჯავენო - მითხრეს. მამაჩემს სავარჯიშოდ კი არა, სინჯებისთვის სურდა საქართველოში ჩემი ჩამოყვანა... „არსენალში" ჩარიცხვა რეალური მგონია და ასეთ დროს, საქართველოში დარჩენის პერსპექტივა სულაც არ მხიბლავს, მაგრამ... მამას არ ვაწყენინე. სულ იმას მეუბნება, უკრაინის მოქალაქეობა არ მიიღო, რაც უნდა იყოს, ქართველი ხარო და მართალიც არის. თუმცა ცხოვრებაში ბევრს ისეთს ნახავ და გაიგებ, ჯობია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, იქნებ, შენს ქვეყანას ასე უფრო გამოადგე. თუმცა მე უფრო ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობდი და აქ დარჩენაზე სერიოზულად არც მიფიქრია. უბრალოდ, ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი დარჩა. ამპლუაზე მკითხეს და ვუთხარი, ნახევარმცველი ვარ-მეთქი. ჯერ პატარა მოედანზე გამიყვანეს და უნდა დაგაკვირდეთო. ცოტა არ იყოს, გავვოცდი, რადგან უკრაინაში ნავარჯიშები ფეხბურთელი სტანდარტულ მოედანზე უნდა გასინჯო. ასე არ არის? თუმცა ვარჯიში მინდოდა და ვიფიქრე, ჯანდაბას, მინიმოედანზე მაინც ვითამაშებ-მეთქი. მომდევნო ვარჯიშზე მწვრთნელმა კარში დადგომა შემომთავაზა. ჯერ ვიფიქრე, რომ მომესმა ან შეცდომით გავიგე და გავუმეორე - ნახევარმცველი ვარ-მეთქი. ვიციო, მითხრა. ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ ჩემს იქ ყოფნას აზრი არ ჰქონდა და მამაჩემს ვთხოვე, რომ საქართველოში ვარჯიში არასდროს შემომთავაზოს. ქართველი ვარ და ამიტომ მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ აქ ასეთი საშინელი პირობები და არასაფეხბურთო გარემო იქნებოდა. ბიჭებს ვკითხე, ბაროკამერები და ტრენაჟორები თუ ჰქონდათ და გაეცინათ. შესაძლოა, უკრაინაში ამგვარი ელემენტარული პირობები მხოლოდ სოფლის გუნდს არ ჰქონდეს, თორემ „როს-ბელოცერკოვშიც" კი ეს პრობლემა არ იყო... გული დამწყდა, ჩემს სამშობლოში ასეთი გაჭირვება რომ არის. ცალკე მწვრთნელის მიდგომამ დამწყვიტა გული. ეტყობა, იფიქრა, უკრაინაში არ მიიღეს და აქ ამიტომ ჩამოვიდაო... არადა, იქაურ კლუბში ნამდვილად მოვეწყობი, ამის პრობლემა არ მაქვს, ჩვენს ასაკში ჩემპიონი გუნდის გამთამაშებელი ვარ და უკრაინელი სპეციალისტები კარგად მიცნობენ... მოკლედ, არაფერია, ისევ „არსენალს" მივაკითხავ. სხვა რა გზაა, უკრაინის მოქალაქეობას მივიღებ. ამის გამო, თამაშის პრობლემა შემექმნა და არჩევანის წინაშე დამაყენეს - ან უკრაინის მოქალაქეობა უნდა მიიღო, ან ვერ გათამაშებთო. სხვაგვარად, იქ დამკვიდრება გამიჭირდება. მერე, თუკი მაღალ დონეზე ვითამაშებ, კარგად ვიცი, რომელ ნაკრებსაც ავარჩევ. სხვათა შორის, ბევრი ქართველი უკრაინის მოქალაქეობას ანალოგიური მოტივით თანხმდება",* - ასე მთავრდება ბექას ისტორია...

> ნახევარმცველი ვარ-მეთქი, ვუთხარი და... კარში დადექიო. ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ ჩემს აქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა...

ჭორი და სიმართლე



ნუკრი რევიშვილი ფოტო: www.ambebi.ge

# რევიშვილი: ზესტაფონში საქეიფოდ, ანჟიში სათამაშოდ

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ყაზანის „რუბინის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი** კარიერას „ზესტაფონში" გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ რევიშვილი „რუბინში" 2005 წელს ქუთაისის „ტორპედოდან" აიყვანეს. ნუკრი ბოლო ოთხი წელია ყაზანელთა სათადარიგო მეკარე გახლდათ და ძირითადში დაწინაურების იმედიც ჰქონდა, მაგრამ **სერგეი რიჟიკოვის** მშვენიერმა თამაშმა ქართველ მეკარეს წინსვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ბოლო ინფორმაციით, ნუკრი კარიერის გაგრძელებას პრემიერლიგაში ალზევებული მახაჩყალის „ანჟიში" გააგრძელებდა. ეს თავად კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** და ფეხბურთელმა დაგვიდასტურეს. ამ ფონზე, რევიშვილის „ზესტაფონში" გადასვლის პერსპექტივა მოულოდნელი აღმოჩნდა და გუშინ მას კომენტარისთვის დავუკავშირდით.

*„უკვე მითხრეს, „ზესტაფონში" ხომ არ გადადიხარო და გამიკვირდა. ამ დღეებში მეგობრებთან ერთად მართლაც ვაპირებდი ზესტაფონში გავლას, მაგრამ ეს ფეხბურთთან არანაირ კავშირში არ არის - იქ ერთი კარგი რესტორანი მეგულება და საახალწლოდ მეგობრებთან ერთად მოვილხენ. „ზესტაფონი" კი მიწვევდა, ოღონდ, რუსეთში წასვლამდე. სერიოზულად თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ 5 იანვარს „ანჟის" შეკრება ეწყება და თუ რაიმე საგანგაშო არ მოხდა, მახაჩყალელებს შევუერთდები",* - გვითხრა რევიშვილმა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


# ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე

## „ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა"

„ცხოველები"

„მსოფლიოს დიდი ატლასი"

ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების" სერიის ხელმომწერი







მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათინანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები




ლუკა ტონი მიუნხენს ტოვებს

## GAZZETTA DELLO SPORT

# ტონი რომას შეუთანხმდა!

### ბაიერნი იტალიელს უფასოდ თმობს

**ლუკა ტონის** მიუნხენის „ბაიერნში" რომ აღარ დაედგომება, „ლელოს" მკითხველი ამის შესახებ ინფორმირებულია. 32 წლის იტალიელ თავდამსხმელს, დიდი ხანია, მიუნხენიდან აბარგება გადაწყვეტილი აქვს. გუშინ იტალიურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტონი სულ უფრო და უფრო უახლოვდება „რომას". ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, რომაელები მზად არიან, ტონი სეზონის ბოლომდე აიყვანონ და იანვრიდან სეზონის ბოლომდე 3 მილიონი ევრო გადაუხადონ.

ეს ინფორმაცია გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. ხსენებული გამოცემა იმასაც გვამცნობს, რომ ლუკა ტონი „ჯალოროსისთან" კონტრაქტს 2012 წლამდე გააფორმებს. ამრიგად, „რომას" თავდასხმაში ზუსტად ის წყვილი ეყოლება (ლუკა ტონი, **ფრანჩესკო ტოტი**), რომლითაც იტალიის ნაკრები 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გადაწყვეტილია, რომ მიუნხენური გრანდის შეფები ტონის კალთებს არ დაახევენ. ცოტა ხნის წინ, „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** განაცხადა, რომ მზადაა, იტალიელი თავდამსხმელი დათმოს. მეტიც: ჰიონესმა თქვა, რომ იტალიელის სანაცვლოდ ფულს არ მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ტონის „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალთან** უთანხმოება აქვს და უკმაყოფილოა იმით, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი მუდმივად სათადარიგოთა სკამს ახეხინებს. ბოლო დროს, ვან გაალს ტონი განაცხადშიც კი არ შეჰყავდა. ლუკას კი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა სურს.

**გოტფრიდ ლენცი**

# დიტერმა არნეს დაუძახა

### ვოლფსბურგი ჰერტას 8 მილიონს შესთავაზებს

წლევანდელი „ვოლფსბურგი" შარშანდელის მხოლოდ აჩრდილია. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზზე ითქმის, რადგან გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა პირველ წრეში 32 გოლის გაშვება „მოახერხა". გასაოცარი ის არის, რომ „ვოლფსბურგის" უკანა ხაზი არ შეცვლილა და გუნდმა მაინც ბევრი გოლი გაუშვა. მოკლედ, „მგლებს" დაცვის ხაზის გაძლიერება სურთ და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, აუტსაიდერ „ჰერტას" კაპიტან **არნე ფრიდრიხს** დაუმიზნეს.

„ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგის" ცნობით, „ვოლფსბურგმა" ბერლინურ კლუბს საკმაოდ სარფიანი წინადადებით მიმართა. ხსენებული გამოცემა წერს, რომ „მგლები" მზად არიან, ფრიდრიხში 8 მილიონი ევრო გადაიხადონ და უნდა ითქვას, რომ „ჰერტას" ეს ფული ნამდვილად არ აწყენდა.

ტრანსფერის განხორციელებას ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ ახლახან „ვოლფსბურგის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა **დიტერ ჰიონესი** - კაცი, რომელიც წლების განმავლობაში „ჰერტას" მენეჯერი იყო. არნე ფრიდრიხი, სწორედ დიტერ ჰიონესის ხელშია გაზრდილი. *„არნესთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, ჩვენ ვმეგობრობთ. ამაზე მეტს ახლა ვერაფერს ვიტყვი"*, - ეს დიტერის სიტყვებია. „ვოლფსბურგის" ახალმა შეფმა ფრიდრიხით დაინტერესება არც უარყო და არც დაადასტურა. სამაგიეროდ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ „ვოლფსბურგმა" „ჰერტას" უკვე კონკრეტული წინადადებით მიმართა.

აქვე შევეხებით **ედინ ჯეკოს** საკითხსაც. ეჭვი ალარავის ეპარება იმაში, რომ უნიჭიერესი ბოსნიელი გოლეადორი გერმანულ კლუბში თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს და რომ ის ზაფხულში აუცილებლად რომელიმე სუპერგრანდში გადავა. სწორედ ამიტომ, ვოლფსბურგელებმა ჯეკოს შემცვლელის ძებნა ახლავე დაიწყეს. რუმინული პრესის ცნობით, დიდი შანსია, რომ „ვოლფსბურგში" „კრაიოვას" თავდამსხმელი **ფლორინ კოსტეა** გადავიდეს. 24 წლის კოსტეა რუმინეთის ნაკრებში თამაშობს და ზაფხულში უფასო იქნება. თუ ვოლფსბურგელებს მისი გადაბირება ახლავე სურთ, მაშინ 4 მილიონი ევრო უნდა გადაიხადონ.

**გოტფრიდ ლენცი**

# კასტროლს ბაფანა ბაფანასი არ სჯერა

### ვინ არის A ჯგუფის ფავორიტი?

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, დიდი შანსია, ესპანეთისა და ბრაზილიის ნაკრებები ვიხილოთ - ეს „კასტროლ პრედიქტორის" დასკვნაა. მაშ, გავიცნოთ, „კასტროლ პრედიქტორი". დიდი ხანია, მანქანის ზეთების ცნობილი ფირმა „კასტროლი" ფეხბურთშია დაკავებული, ფირმის სპონსორობით შეიქმნა ფეხბურთის სტატისტიკის ძალიან მძლავრი ბაზა, რომელიც ახალი სტილით უდგება სხვადასხვა საკითხს. ერთ-ერთი მიმართულება კი ფეხბურთელთა, კლუბების, ნაკრებთა სრული და ყოვლისმომცველი სტატისტიკური ანალიზის წყალობით პროგნოზირებაა. მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის დასრულებისთანავე „კასტროლ ფუტბოლმა" გულშემატკივართა სამსჯავროზე „კასტროლ პრედიქტორი" გამოიტანა, რომელიც მისხალ-მისხალ განიხილავს თითოეული მონაწილე ნაკრების შანსებს გაისად გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სხვათა შორის, საბუკმეიკერო კანტორათა უდიდესი ნაწილი მსოფლიოს ჩემპიონობის ფავორიტად ესპანეთის ნაკრებს მიიჩნევს, „კასტროლ ინდექსი" კი **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს ჩემპიონობის 16,1%-იან შანსს უწინასწარმეტყველებს, ხუთი პროცენტით ნაკლებს, ვიდრე ბრაზილიის ნაკრებს.

მოდით, „კასტროლთან" ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილოთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებთა შანსები. მიმოხილვას კი A ჯგუფის პირველი ნომრით, სამხრეთ აფრიკის ნაკრებით ვიწყებთ. ნაკრების მოთამაშეთა სრული სტატისტიკური ბაზის წყალობით, „კასტროლის" განაჩენი ასეთია - სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ჯგუფში, რომელშიც ურუგვაის, საფრანგეთის და მექსიკის ნაკრებებიც ითამაშებენ, პირველი ადგილის მოპოვების 11,3%-იანი შანსი აქვს. უფრო რეალურია ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება - 18,6%. „კასტროლი" მიიჩნევს, რომ მასპინძელთა გუნდს ჯგუფში მესამე ადგილის დაკავების 27,6% შანსი აქვს, ხოლო მეოთხე ადგილის შანსი უფრო დიდია - 42,4%. ზოგადად „კასტროლი" „ბაფანა ბაფანას" ჯგუფიდან გასვლის შანსს 30 პროცენტით უფასებს, თითქოს, მეტისმეტი პესიმიზმია, თუმცა „კასტროლი" მხოლოდ მშრალი (თუმცა ძალიან ღრმა) სტატისტიკით ხელმძღვანელობს.

თუკი აფრიკის ნაკრები პირველი ადგილით გავა შემდეგ ეტაპზე, მერვედფინალში „კასტროლს" მის ყველაზე სავარაუდო მეტოქედ ნიგერიის ნაკრები ჰგონია, მეორე ადგილიდან გასვლის შემთხვევაში კი არგენტინის გუნდი. მოდით, ვნახოთ აფრიკელებს ფურორის მოხდენის რა შანსი აქვთ მსოფლიოს ჩემპიონატზე: სამხრეთ აფრიკის შანსი მეოთხედფინალში გასვლის 11,4%-ს უტოლდება, ნახევარფინალში გასვლა 4,0%-იანი შანსით ფასდება, ფინალში - 1,2%-ით. დაბოლოს, „კასტროლს" 0,3%-ით „სჯერა", რომ „ბაფანა ბაფანა" მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.




ჯგუფში მეორე ნომრით მექსიკის ნაკრებია განთესილი. მექსიკელებს უფრო ოპტიმისტური პროგნოზი შეხვდათ, 49,5%-ია იმის შანსი, რომ მექსიკის ნაკრები A ჯგუფის ბარიერს დაძლევს (23,9% პირველ ადგილზე, 25,6% - მეორეზე). პირველი ადგილით გასული მექსიკა ალბათ ნიგერიას შეხვდება, მეორე ადგილით გასული კი - არგენტინას. მექსიკელებს 23,6% აქვთ შანსი მეოთხედფინალში გასვლის, ნახევარფინალში - 10,2%, ფინალში - 3,7%. აქვს შანსი **ხავიერ აგირეს** „ელ ტრის" გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი? კი, მინიმალური - 1,3 პროცენტი.

შემდეგი გუნდი ურუგვაია, „კასტროლის" პროგნოზი, გაგიკვირდებათ და, კიდევ უფრო ოპტიმისტურია - ჯგუფიდან გასვლის შანსი „ლა სელესტესთვის" 61,5%-ით ფასდება (34,4% I ადგილი, 27,1% - II ადგილი). თუმცა **ოსკარ ტაბარესის** გუნდს უფრო შორს წასვლაც შეუძლია - მეოთხედფინალი - 32,9%, ნახევარფინალი - 16,2%, ფინალი - 6,5%. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს ტიტულის მესამედ მოპოვების შანსი სტატისტიკოსებმა 2,7 პროცენტით განუსაზღვრეს.

და, აი, ჯგუფის ფავორიტს მივადექით... ირკვევა, რომ „კასტროლი" საფრანგეთის ნაკრებს სულაც არ მიიჩნევს ჯგუფის ფავორიტად. ყოველ შემთხვევაში, „მამლების" მიერ ჯგუფის დაძლევის პროცენტი (59) მაღალია, მაგრამ ურუგვაელებზე უკეთესი არაა (I ადგილი - 30,4%, II - ადგილი - 28,7%). რა შანსია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის რომელიმე ეტაპზე ფრანგები ტრადიციულ მეტოქეს, გერმანიის ნაკრებს გადააწყდებიან? ყველაზე მეტი შანსი მეოთხედფინალურ მატჩს აქვს - 21%. „კასტროლი" ოდნავ პესიმისტია **რაიმონ დომენეკის** გუნდის შეფასებაში, შემდგომ ეტაპებზეც - მეოთხედფინალში გასვლა - 31,2%, ნახევარფინალი - 15,3%, ფინალი - 6,4%. „ლურჯები" ტიტულს მეორედ მოიპოვებენ, აი, ამის შანსი „კასტროლმა" 2,6 პროცენტით განსაზღვრა. მოკლედ, ძალზე თანაბარი ჯგუფია, ეს სტატისტიკურმა ანალიზმაც აჩვენა. თითქმის 7 პროცენტია შანსი იმისა, რომ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი A ჯგუფიდან ვიხილოთ. შემდეგი გაჩერება B ჯგუფია...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რონალდო და მესი

აღიარება

# და მაინც... რონალდო

„ბარსელონას" არგენტინელმა ვარსკვლავმა **ლიონელ მესიმ** წლეულს ყველა სახის გამოკითხვაში აჯობა „რეალის" პორტუგალიელ **კრიშტიანო რონალდოს**. ესპანურმა გაზეთმა „მარკამ" გადაწყვიტა, მსოფლიოს ორი საუკეთესო ფეხბურთელი ერთმანეთისთვის შეედარებინა. შედეგი წლევანდელ გამოკითხვებს არ ემთხვევა - „მარკას" მტკიცებით, კრიშტიანო რონალდო უფრო სრულყოფილი ფეხბურთელია, ვიდრე ლეო მესი.

„მარკამ" ფეხბურთელები ათი კატეგორიის მიხედვით შეაფასა და ქულები დაუწერა. ათიდან ექვს კატეგორიაში რონალდომ იმარჯვა. „მარკას" აზრით, პორტუგალიელმა მესის ამ უკანასკნელის მიერ ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული სუსტი საკვალიფიკაციო ციკლის წყალობით აჯობა.

გთავაზობთ კატეგორიებს და „მარკას" ქულებს: გუნდური თამაში **(მესი - 8, რონალდო - 7)**; ინდივიდუალური ტექნიკა **(რონალდო, მესი - 9)**; ფიზიკური მომზადება **(რონალდო - 10, მესი - 7)**; სისწრაფე **(რონალდო - 9, მესი - 8)**; დრიბლინგი **(მესი - 10, რონალდო - 8)**; დარტყმა **(რონალდო - 9, მესი - 8)**; პასი **(მესი - 9, რონალდო - 9)**; ფსიქოლოგიური მზადყოფნა **(რონალდო - 9, მესი - 7)**; ლიდერის თვისებები **(რონალდო - 9, მესი - 7)**; სტანდარტული მდგომარეობები **(რონალდო - 9, მესი - 7)**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაბი

# ბელამის რედნაპი თუ დააწყნარებს...

რამდენიმე დღეა იმას მოგახსენებთ, რომ „მანჩესტერ სიტის" უელსელი ფეხბურთელი **კრეიგ ბელამი** მწვრთნელის **მარკ ჰიუზის** თანამდებობიდან გაშვებამ გააბრაზა. კონფლიქტური ხასიათით ცნობილმა ფეხბურთელმა ხან მოთამაშეთა ექვსკაციანი დელეგაცია შეკრიბა და პროტესტის ნიშნად, ოფისში, კლუბის აღმასრულებელ შეფს **გერი კუკს** მისდგა, ხანაც ჰიუზის მაგივრად დანიშნულ იტალიელ **რობერტო მანჩინის** ეჩხუბა, - რატომ არ იცოდი, მუხლი რომ მტკიოდაო...

ერთი სიტყვით, ინგლისური ტაბლოიდები ბელამის „სიტიდან" წასვლაზე ალაპარაკდნენ და **ჰარი რედნაპიც** სწორედ ამ დროს გამოვიდა სცენაზე: „ტოტენჰემის" თავკაცმა განაცხადა, თუ მანჩინი უელსელს გაუშვებს, მე ვიყიდიო. მოგეხსენებათ, ფეხბურთელთა იანვრის ბაზრობა კარსაა მომდგარი. რედნაპს ბელამის ყიდვა კარგა ხანია უნდა. „სფურზის" თავკაცმა ინიციატივა ჯერ კიდევ შარშან გამოიჩინა, როდესაც უელსელს „ვესტ ჰემი" ყიდდა, მაგრამ 14 მილიონი ფუნტი ვერ გადაიხადა.

რამდენი დაჯდება 30 წლის „აფრენილი" დღეს, როდესაც ჰიუზის ხელში თავი გამოიჩინა, კაცმა არ იცის. სრულიად შესაძლებელია, ისტლენდელებმა 14 მილიონზე მეტიც მოითხოვონ. თან, გაითვალისწინეთ, რომ „ტოტენჰემი" „მანჩესტერ სიტის" კონკურენტია, ორივე გუნდი ოთხეულში შესვლას ცდილობს - კაცმა რომ თქვას, გაუგებარიც კია, რატომ უნდა მიჰყიდო კარგი ფეხბურთელი უშუალო კონკურენტს. ალბათ, ეს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის აურაცხელ ფულს გადაგიხდის. მაგრამ აქვს კი „ტოტენჰემს" ამდენი ფული? ლონდონელთა თავმჯდომარეს **დენიელ ლივის** რედნაპისთვის უთქვამს, იმისათვის, რომ ვიყიდოთ, ჯერ ვინმე უნდა გავყიდოთ და ფული ხელში დავიჭიროთო.

გასაყიდთა სიაში კი მწვრთნელს პირველი რუსი **რომან პავლიჩენკო** უწერია. მოგეხსენებათ, პავლიჩენკომ „სფურზისა" და „სიტის" კიდევ ერთი პირდაპირი კონკურენტის, „ლივერპულის" ყურადღება მიიპყრო. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ლონდონელებმა რუს ფორვარდში მოსკოვის „სპარტაკს" 13,8 მილიონი ფუნტი გადაუხადეს, მაგრამ მთელი ეს ხანი მეოთხე თავდამსხმელად ეჯდათ.

საუკეთესო

# მესისა და რონალდოს ტოლი



ფრენკ ლემპარდი

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, **ფრენკ ლემპარდი** გასული ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელია - ბოლო დეკადაში პრემიერლიგის არც ერთ მოთამაშეს არ ჰქონია „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის ბადალი შედეგები. ფაქტებისა და ციფრების დამთვლელ-გამომყვანმა ორგანიზაციამ, რომელსაც სახელად „ოპტა" ჰქვია, გამოიანგარიშა, რომ 2000 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სწორედ ფრენკ ლემპარდმა ჩაატარა ყველაზე მეტი თამაში; მიიღო მონაწილეობა ყველაზე მეტ გამარჯვებაში; საგოლე პასების ავტორთა სიაში მეორეზე გავიდა; მეოთხე იყო საუკეთესო ბომბარდირთა ჩამონათვალში.

ახლა ცოტა უფრო ვრცლად: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობაში „ჩელსის" ნახევარმცველმა სულ ხუთი თამაშით აჯობა ლივერპულელ **ჯეიმი კარაგერს**. ლემპარდისა გახლდათ 346, კარაგერისა - 341. მაგრამ, ამ შეხვედრებიდან ლონდონელმა 210-ში გამარჯვება იზეიმა.

ზემოთ საგოლე პასები ვახსენეთ და როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ლემპარდს ამ მაჩვენებლით აჯობა? „მანჩესტერ იუნაიტედის" უბერებელი ვარსკვლავი და, ალბათ, უკვე ლეგენდა **რაიან გიგზი**. ლემპარდს ათი წლის განმავლობაში 76 საგოლე პასი ჩაუწოდებია. გატანით კი ნახევარმცველმა ასჯერ გაიტანა - ამ მაჩვენებლით პირველზე ტიერი **ანრი გავიდა**. ფრანგმა, რომელსაც ინგლისში ათივე წელიწადი არ გაუტარებია (2007-ში „ბარსელონაში" გადავიდა), შვიდ წელიწადში იმდენი შეყარა, რომ დანარჩენების უკან ჩამოსატოვებლად ეყო - 169. ფრენკ ლემპარდი „ჩელსის" მწვრთნელმა **კლაუდიო რანიერიმ** 2001 წელს „ვესტ ჰემიდან" 11 მილიონ ფუნტად იყიდა და, ამდენად, ის, ფეხბურთელში გადახდილი თანხის რაოდენობითაც პრემიერლიგაში ერთ-ერთი პირველთაგანია. ამასთან დაკავშირებით ინგლისელი ჟურნალისტები რანიერის იტალიაში დაუკავშირდნენ. მწვრთნელმა უპასუხა:

*„ეს ინფორმაცია ძალიან მახარებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ფრენკი უნიკალური ფეხბურთელია. როგორც მოთამაშე, ის სრულყოფილია - ნამდვილი პროფესიონალი გახლავთ. ყველა პრემიერლიგელზე უკეთესი სტატისტიკა რომ აქვს, გასაკვირი არც არის. გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის ფრენკ ლემპარდი იმ დონის ფეხბურთელია, რომელსაც „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი" ეკუთვნის. მერწმუნეთ, იგი ნამდვილად იმსახურებს ამას. ფრენკი უდიდეს ვარსკვლავთა ტოლია. თამაშის ხარისხის თვალსაზრისით, იგი ლიონელ მესისა და კრისტიანო რონალდოს უტოლდება. განსხვავება მხოლოდ სტილშია. ფრენკი მოედანზე ძალიან რთულ რალაცებს აკეთებს, მაგრამ მისი სტილის გამო ისე ჩანს, თითქოს ეს ყველაფერი მარტივია. ამიტომ ამბობს ქომაგთა ნაწილი, რომ ლემპარდის ფეხბურთი ნაკლებად სანახაობრივია. მაგრამ, აი, სტატისტიკას გემოვნება არ აქვს, მან მხოლოდ ფაქტები იცის და ამტკიცებს, სინამდვილეში რა სიმაღლეზეა ფრენკი. ამ ციფრებით ჩვენ იოლად მივხვდებით, რამხელა გავლენას ახდენს ის ყოველ შეხვედრაზე.*

*ლემპარდი ძალიან ძლიერი მენტალიტეტის ადამიანია. ამას წინათ არ დაარტყმევინეს ერთი და იგივე პენალტი სამჯერ? ხომ ნახეთ, მაინც გაიტანა. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის ნებისმიერი ზეწოლის ქვეშ გაწონასწორებული და კონცენტრირებულია. ფრენკის ფაქტორი უკლებლივ ყველა მატჩში გადამწყვეტია. ხანდახან ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ხანდახან კი არა, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას გამარჯვება მოაქვს. სწორედ ამიტომ მიხარია, იგი რომ დააფასეს და დეკადის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს".*

რასაკვირველია, ჟურნალისტებმა ფრენკ ლემპარდის მამას, წარსულში „ვესტ ჰემის" (1967-1985) ცნობილ ფეხბურთელს **ფრენკ უფროსსაც** მიაკითხეს.

*„ათი წლის განმავლობაში ასეთ დონეზე თამაში ძალიან დიდი შედეგია. ფრენკმა ეს უდიდესი შრომის წყალობით შეძლო. მე მას ნახევარდაცვის ბობი მურს ვეძახი. ის არსდროს ცდილობს თვალისმომჭრელი ილეთების კეთებას, ისევე, როგორც არასდროს ცდილობს თავდაუზოგავი ორთაბრძოლებითა და შეჯახებებით მოიწონოს თავი. იგი ყოველთვის აკეთებს იმას, რაც ეხერხება და არასდროს ავიწყდება, რომ ყველაზე მთავარი გუნდის ინტერესებია.*

*ამდენი გოლის გატანა ნახევარმცველისთვის დიდი შედეგია. ფრენკი თამაშობს გუნდში, სადაც ყველა ცდილობს გოლის გატანას, მაგრამ ტაბლოზე მუდმივად მისი გვარი წერია".*

„ჩელსის" ერთ-ერთი მწვრთნელი **რეი უილკინსი**: *„გასული ათწლეულის განმავლობაში ფრენკმა ჩვენი გუნდის წარმატებებში უდიდესი წვლილი შეიტანა. ის ფასდაუდებელია ინგლისის ნაკრებისთვისაც. შეუძლებელია არ აღგაფრთოვანოს მისმა სტაბილურობამ. საოცარია, რომ ლემპარდი მთელი ათი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე დონეზე ახერხებს თამაშს".*

საინტერესოა, რომ ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მეტი თამაში **კევინ კილბეინმა** წააგო. ეს 32 წლის ირლანდიელი დღეს „ჰალ სიტიშია", თუმცა 146 მარცხი ათი წლის განმავლობაში „ჰალის" გარდა „სანდერლენდს", „ევერტონს" და „უიგანსაც" გადაუნაწილა.

პრობლემა



სტივენ ჯერარდი და რაფა ბენიტესი

# სტივი ყველა დერეფანში

**სტივენ ჯერარდმა** რაფა ბენიტესს ბოდიში მოუხადა, ამ სეზონში ისეთ საზიზღარ ფორმაში ვარ, თავს მოღალატედ ვგრძნობო. ბენიტესის თქმით, კაპიტანი საკუთარ თავზე ძალიან დიდ პასუხისმგებლობას იღებს - ის, რომ „ლივერპული" მიმდინარე ჩემპიონატში ცუდად გამოდის და პრემიერლიგის ცხრილში შეუფერებელ, მერვე ადგილზეა, შეუძლებელია, მხოლოდ ჯერარდის ბრალი იყოს.

შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგაში უკვე 18 ტური ჩატარდა და, როგორც ადრეც მოგახსენეთ, ამ 18 შეხვედრიდან „წითლებმა" 8 წააგეს. განა ამ შედეგის წინა სეზონის შედეგთან შედარება შეიძლება? გასული ჩემპიონატი მერსისაიდელებმა ხომ სულ ორი წაგებით ჩაამთავრეს. დღეს კი, „ლივერპული", ლიდერ „ჩელსის" მთელი 14 ქულით ჩამორჩება.

რაფა ბენიტესმა ჟურნალისტებს უამბო: *„ჩვენ, „ენფილდზე" უამრავი დერეფანი გვაქვს და სტივენს ხან ერთგან გადავეყრები, ხანაც მეორეგან. ყოველთვის, როდესაც მე და ის ერთმანეთს ვხვდებით, სტივი მეუბნება, რომ გუნდისთვის მეტის გაღება უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ფორმალური თათბირის მოწვევა არც კი გვჭირდება. საკმარისია, სტივენს შევხვდე, რომ ჩემთვის ნათელია, ვისთანაც მაქვს საქმე. ის ჩვენი კაპიტანი და ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. ჯერარდი გახლავთ ფეხბურთელი, რომელიც საკუთარ თავს ძალას ატანს, რომ გუნდისთვის მეტი გააკეთოს. მან იცის, რომ ეს მისი მოვალეობაა, რაც ძალიან მახარებს. ბოლო შეხვედრაში, „პორტსმუთთან", სტივენმა კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს. მთავარია, რომ ეს შემთხვევა გამონაკლისი იყოს. და ასეც იქნება. ჯერარდი ფიზიკურად დღითი დღე ძლიერდება, ჯანზე მოსვლის შემდეგ კი საკუთარ ძალთა რწმენა ექნება აღსადგენი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია...*

*მე განა მარტო სტივენს, დანარჩენ ფეხბურთელებსაც ბევრს ველაპარაკები და გარწმუნებთ, თითოეულმა მათგანმა იცის, რომ თავისი წილი საქმის გამოსწორება მართებს. თითოეული მათგანი უკეთესად უნდა ათამაშდეს. მეტსაც გეტყვით, ხანდახან ბიჭები ისე ინდომებენ, ზედმეტიც კი მოსდით, მაგრამ საბოლოოდ ყველა მაინც ორ კაცზე ლაპარაკობს: ჯერარდი-ტორესი, ტორესი-ჯერარდი... რად უნდა ლაპარაკი, ეს ორი ფეხბურთელი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ნებისმიერი გუნდისთვის ასე იქნებოდა. მარტივი კანონზომიერებაა: თუ ტორესი და ჯერარდი კარგად ათამაშდებიან, მათ გარშემო დანარჩენი ბიჭებიც გამოიჩენენ თავს...*

*ამ კვირაში ფეხბურთელებს ველაპარაკე, ავუხსენი, როგორ უნდა გამოასწორონ თავიანთი თამაში და მათი რეაქციით კმაყოფილი დავრჩი. მე დავინახე, რომ „პორტსმუთთან" დამარცხების მიუხედავად, ბიჭები დადებითად არიან განწყობილნი. პრინციპი ასეთია: თითოეული მათგანი ცოტათი უკეთ მაინც რომ ათამაშდეს, გუნდი სულ შეიცვლება. დიდი დაძაბვა და ერთბაშად შეუძლებლის შეძლება არც არის საჭირო. მე მწვრთნელი ვარ და გუნდში რწმენის ამაღლება ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ მალე სულ სხვა გუნდი გავხდებით და საბოლოოდ პრემიერლიგის ოთხეულშიც შევალთ. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ ჩვენ ძლიერი შემადგენლობა გვყავს და ბევრჯერ დაგვიმტკიცებია, რომ ზედიზედ ცხრა-ათი თამაშის მოგების უნარი შეგვწევს. ჩვენ ხომ „ლივერპული" ვართ და ბოლო ხუთ წელიწადში ბევრი რამ გადავიტანეთ. ძალიან სამწუხარო იყო, რომ გასულ სეზონში 86 ქულა მოვიპოვეთ და ეს ჩემპიონობისთვის არ გვეყო, მაგრამ, ხანდახან, 86 ქულის მოპოვებაზე ძნელი სულ პატარა პროგრესის მიღწევაა. დღეს? დღეს მხოლოდ და მხოლოდ „ვულვზთან" შეხვედრაზე ვფიქრობ".*

მოსაზრება

# განა ყველა მანჩესტერი მანჩესტერია?

„იფსვიჩის" მწვრთნელი **როი კინი** ამბობს, რომ მისი ყოფილი თანაგუნდელის, **მარკ ჰიუზის** მთავარი შეცდომა სამუშაოდ „მანჩესტერ სიტიში" მისვლა იყო. რატომ? იმიტომ, რომ ჰიუზი ფეხბურთელობისას „მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა, „იუნაიტედთან" დაკავშირებული კაცის „სიტის" ბანაკში გადასვლა კი დაუშვებელია.



მარკ ჰიუზი და როი კინი

მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას ჰიუზი ორჯერ თამაშობდა „ოლდ ტრეფორდზე", პირველად 1980-86 და მეორედ 1988-95 წლებში და სულ ლეგენდარული გუნდის წითელი მაისურით 345 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ამ შეხვედრებში უელსელმა ფორვარდმა 119 გოლი გაიტანა. ხოლო მას მერე, რაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება და მწვრთნელობას მიჰყო ხელი, 2008 წლის 2 ივლისიდან 2009-ის 19 დეკემბრამდე „მანჩესტერ სიტის" ედგა სათავეში - სულ 18 თვე.

მწვრთნელის საქმეს „სპარკი" პირველად 1999 წელს, უელსის ნაკრებში ეზიარა, შემდეგ კი „ბლექბერნს" გაუძღვა. ის ცნობილია, როგორც საქმისა და თავისი სამსახურის უკიდურესად ერთგული ადამიანი, მაგრამ მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა საკითხს სხვანაირად შეხედა:

*„რასაკვირველია, მისი ამბავი ძალიან მეწყინა, - უთხრა ირლანდიელმა* Sky Sports News-ს, *- მაგრამ ვფიქრობ, როდესაც ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედთან" ისე ხარ დაკავშირებული, როგორც „სპარკი", „სიტის" მსგავს კლუბში ფეხიც კი არ უნდა შედგა. ასეთ დროს სამსახური სადღაც სხვაგან უნდა ეძებო. ამიტომ, შესაძლოა „სპარკისთვის" ისტლენდიდან წამოსვლა უკეთესიც კი იყოს. იმედი მაქვს, რომ ცოტას დაისვენებს და სამწვრთნელო საქმეს ახალი ენერგიით განაგრძობს. მან ხომ „ბლექბერნსა" და უელსის ნაკრებში ჩინებულად იმუშავა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის საბოლოოდ უმაღლესი დონის მწვრთნელთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

**საფრანგეთი**

**ლიგა 1. XIX ტური**

# ხომ არ მივულოცოთ ბორდოს?

## სლოვენიური ფეარ პლეი ველოდრომზე

თუ არ ჩავთვლით ორ მატჩს, საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულებულია. სამკვირიან შესვენებაზე ჩემპიონი „ბორდო" უახლოეს კონკურენტთან 9-ქულიანი უპირატესობით გადის. შეძლებს კი ვინმე ამ სეზონში **ლორან ბლანის** გუნდის დაწევას? ჟირონდელთა ახლანდელი სათამაშო ფორმის გათვალისწინებით, ძალზე გვეეჭვება...

ქრისტეშობის წინ „ბორდო" ლანგედოკს ეწვია და იქაურ „ტულუზს" 2:1 მოუგო, ეს ჩემპიონის ზედიზედ მე-6 გამარჯვებაა სეზონში. ჟირონდელებმა, როცა მოედანზე გადიოდნენ, უკვე იცოდნენ მთავარ კონკურენტთა, „მარსელისა" და „ლიონის" მარცხის შესახებ. შესაძლოა, სტუმრები ამან მოადუნა და გუნდმა უკვე მე-4 წუთზე გაუშვა გოლი. **იოან გურკუფმა** მისთვის უჩვეულო რამ გააკეთა - თანაგუნდელს არაზუსტი პასი გადააწოდა და თანაც „ბორდოს" ნახევარზე. **პაულო მაშადომ** შანსი ხელიდან არ გაუშვა და საჯარიმოს კუთხიდან გაიტანა. გოლმა თითქმის პირთამდე გავსებულ ტულუზის სტადიონს (28 ათასი მაყურებელი) ოვაციები მოსწყვიტა, თუმცა **მარუან შამახმა** ლანგედოკელებს გახარება სულ რაღაც ხუთი წუთი აცალა.

„ბორდოს" პასუხი ასეთი გამოდგა - შუახაზში ბურთი **ფერნანდომ** მიიღო, რომელმაც მარცხენა ფრთაზე ბურთი **ტრემულინასს** გაუჭრა, მარცხენა მცველის ჩაწოდებულს კი თავით შამახი გამოეხმაურა, მაროკოელმა **მატიო ვალვერდეს** ახლო კუთხეში გაუტანა. ეს შამახის მეექვსე გოლია ლიგა 1-ში. ასეთი სტარტის შემდეგ თამაში ნელნელა დაწყნარდა და მხოლოდ მეორე ტაიმში „აფეთქდა". **ანდრე-პიერ ჟინიაკს** „ტულუზის" დაწინაურების შესანიშნავი შანსი შეექმნა, მან იოლად მოატყუა მცველს, მაგრამ **სედრიკ კარასოსთან** პირისპირ დარჩენილმა ვერ აჯობა ყოფილ თანაგუნდელს.

შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი 73-ე წუთზე დადგა - **შეიკ მბენგუმ** საჯარიმოს მისადგომებთან მარუან შამახი მოცელა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. საჯარიმო დარტყმა იოან გურკუფმა შეასრულა, მის ჩაწოდებას ბრაზილიელი **ვენდელის** დარტყმა მოჰყვა, რომელიც მასპინძელთა კარში არ გადიოდა, რომ არა **მოჰამედ ფოფანას** უიღბლო რიკოშეტი - 1:2. ათი კაცის ამარა დარჩენილმა „ტულუზმა" თამაშის გადარჩენა სცადა, ერთხელ მსაჯმა საეჭვო სიტუაციაში არ დადო პენალტი (ერთ-ერთმა ბორდოელმა ხელით ითამაშა საჯარიმოში), „ბორდოს" მესამე გოლის გატანა შეეძლო, გურკუფმა ვალვერდე მოატყუა და ახლო მანძილიდან ცარიელ კარში გოლის გატანის ნაცვლად ბურთი ძელს გაარტყა.

**ალენ კასანოვა:** *„ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს ამ თამაშში დადებითი შედეგის მისაღწევად. 1:1-ზე კარგი მომენტი გავუშვით ხელიდან, 1:2-ზე ათი კაცითაც გვქონდა გათანაბრების შანსი. „ბორდომ", რაც ის ლორან ბლანმა ჩაიბარა, უდიდესი პროგრესი განიცადა. დღევანდელი თამაშის მიხედვით, საფრანგეთში „ბორდოს" დამმარცხებელ გუნდს ვერ ვხედავ".*

**ლორან ბლანი:** *„თამაში ისე ვერ დავიწყეთ, როგორც საჭირო იყო - „ტულუზს" ანგარიშის გახსნის საშუალება მივეცით. კიდევ კარგი, მალევე შევძელით გათანაბრება, თორემ ძალიან გაგვიჭირდებოდა მიზნის მიღწევა. ვაღიარებ, რომ გამარჯვების გოლისას ფორტუნამ გაგვიღიმა. მართლაც კარგი დროება გვაქვს, შესანიშნავად ვთამაშობთ და თან ხშირად გვიმართლებს. მადლობა ბიჭებს არა მარტო ამ მოგებისთვის, არამედ სეზონის პირველი ნახევრისთვის, რომელსაც მე ბრწყინვალეს ვუწოდებდი".*



შეტევაზე ლილის ცენტრალური მცველი ადილ რამი

ახლა ვნახოთ, როგორ დაკარგეს ქულები ჟირონდელთა უმთავრესმა კონკურენტებმა - „მარსელს" სადღესასწაულო განწყობა „ოსერმა" გაუფუჭა, „ველოდრომზე" 2:0 მოუგო. „მარსელმა" ვერაფრით უპასუხა კენიელი ფორვარდის **დენის ოლიეჩის** დუბლს. ამ მარცხის შემდეგ **დიდიე დეშამის** გუნდი 32 ქულით მე-4 ადგილზეა, ამდენივე ქულა აქვს „ოსერს", თუმცა სამხრეთელებს ერთი მატჩი რეზერვში დარჩათ. პირველ ტაიმში მასპინძლებმა ორი ფეხბურთელი ტრავმის გამო მოისაკლისეს, **ლორან ბონარმა** საზარდული დაიზიანა, ხოლო **ლუჩო გონსალესმა** - მუხლი. 34-ე წუთზე ცოტა არ იყოს და კურიოზული ეპიზოდი მოხდა - რეფერი **ფილიპ მალიჟმა ვალტერ ბირსასთან** უხეშობისთვის **ბაკი კონე** გააძევა. ორიოდე წუთის კამათის შემდეგ მსაჯთან დაზარალებული სლოვენიელი მივიდა და აუხსნა, რომ კონე ორთაბრძოლისას შემთხვევით შეეჯახა, მსაჯმა გადაწყვეტილება შეცვალა.

41-ე წუთზე ოლიეჩმა **რუმინელ ნიკულაესთან** კედელი გაითამაშა და „ოსერი" დააწინაურა. მეორე გოლი „ოსერმა" კონტრშეტევაზე გაიტანა, **როი კონტუტმა გაბრიელ ჰაინცე** ჩამოიშორა და ბურთი უმეთვალყუროდ დარჩენილ ოლიეჩს გადააწოდა.

**დიდიე დეშამი:** *„რა ვთქვა, ასე ცუდად დიდი ხანია არ გვითამაშია. წელიწადს ასე არ უნდა ვასრულებდეთ, პირადად უკვე ჩამიმწარდა ქრისტეშობა და ახალი წელი".*

„ლიონმაც" წააგო, უფრო ზუსტად „ლიონმა" კვლავ წააგო - **კლოდ პუელის** გუნდს ამჯერად მისსავე მოედანზე „მონპელიე" მოერია - 1:2. **ვიქტორ მონტანიოს** გოლი კი გაქვითა **ბაფეტიმბი გომისმა**, მაგრამ 86-ე წუთზე **ჟორის მარვომ** 3 ქულა „მონპელიეს" მოუტანა, რომელიც 33 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდა. „ლიონი" 30 ქულით მხოლოდ მეექვსეა.

**კლოდ პუელი:** *„გუნდი გამოიფიტა, როგორც ფიზიკურად ისე მენტალურად. კიდევ კარგი შესვენებამ მოგვისწრო. დღეს იმის თავიც კი არ გვქონდა, რომ ფრე შეგვენარჩუნებინა".*

ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ყველაზე ჩრდილოური ქალაქის გუნდმა „ლილმა" ზედიზედ მე-6 გამარჯვება იზეიმა და 34 ქულით მეორე ადგილზე დაასრულა წელიწადი. 6-დან 5 თამაშში „ლილმა" 4-4 გოლი გაიტანა (!), „ნანსისთან" საგარეო მატჩში (4:0) დუბლი შეასრულა კოტდივუარელმა **ჟერვინიომ**, რომელმაც 11 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სხვათა შორის, ბომბარდირთა სიაში მესამეზეც ლილელია - **პიერ-ალენ ფროს** 9 გოლი აქვს გატანილი (ერთი „ნანსის" კარში). „ნანსისთან" ანგარიში კი ბელგიელმა თინეიჯერმა **ედენ ჰაზარდმა** გაიტანა, რომლის შენარჩუნებაც მოკრძალებულ „ლილს" ძალზე გაუჭირდება - თითქმის ყველა ევროპულ გრანდს სურს ჰაზარდის გადაბირება.

**რუდი გარსია:** *„რაც ბოლო ექვს მატჩში შევძელით თითქმის დაუჯერებელია. გუნდში შესანიშნავი განწყობაა, თითოეული ფეხბურთელი თანაგუნდელისთვისაც მუშაობს მოედანზე. ბიჭებს საოცარი შემართებით შეუძლიათ თამაში. დასანანია, რომ ახლა შესვენებაა".*

**მომდევნო ტური**

16 იანვარი. ნანსი-ლიონი, რენი-ლანსი, ვალანსიენი-ტულუზი, მონპელიე-ნიცა, მონაკო-სოშო, გრენობლი-სენტ ეტიენი, ლე მანი-ლორიანი, ლილი-პსჟ, ოსერი-ბულონი.

**ლანსი-სენტ ეტიენი 1:0**

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაპია, შელი, ორიე - სოუ (60. ერმაში), კოვაჩევიჩი - ბუკარი (73. მონეპაკე), რუდე, აკალე (86. ედუარდო) - მაულიდა.

**სენტ ეტიენი (4-2-3-1):** ჟანო - ვაროლი, ბენალუანი, ნდავი, დაბო - ფერნანდესი, მატუიდი - ლანდრინი, ილანი, პაიე (77. საკო) - ბერხესიო (85. რივიე).

**გოლი:** 1:0 ედუარდო (91-პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 16-8 (9-1); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 33 971

**მარსელი-ოსერი 0:2**

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი (7. კაბორე), დიავარა, ჰაინცე, ტაივო - გონსალესი (26. აბრიელი), მბია, შეირუ - კონე (75. აიე), ბრანდაო, ბენ არფა.

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი (81. ბერტო), მინიო, გრიხტინგი - ოლიეჩი, პედრეტი, დუდკა, ბირსა - ნიკულაე (89. შაფნი), კონტუტი.

**გოლები:** 0:1 ოლიეჩი (41), 0:2 ოლიეჩი (79)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 13-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 49 966

**ნანსი-ლილი 0:4**

**ნანსი (4-3-2-1):** ბრასილიანო - შრეტიე (46. ლოტიე), ოადუ (46. სამი), ანდრე ლუისი, მარანჟი - ფერე, ბერენგერი, მალონგა - დია, კა (53. ბაკარი) - პაჯი.

**ლილი (4-3-2-1):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია (56. მერსონი) - ობრანიაკი, მავუბა, ჰაზარდი (77. დიუმონი) - ჟერვინიო, ბალმონი - ფრო (66. დე მელო).

**გოლები:** 0:1 ჰაზარდი (42), 0:2 ჟერვინიო (51), 0:3 ფრო (60-პენ), 0:4 ჟერვინიო (72)

**გაძევება:** სამი (60. ნანსი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 11-18 (1-6); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 15 649

**ლიონი-მონპელიე 1:2**

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო - ტულალანი, კალსტრიომი (63. პიანიჩი) - გოვუ (63. გომისი), დელგადო, ბაშტოში (76. ტაფერი) - ლოპესი.

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, სპაჰიჩი (71. კოლენი), ჟენშამი - მარვო (90. საიპი), პიტო, კოშტა - კამარა, მონტანიო, აიტ-ფანა (71. ბელჰანდა).

**გოლები:** 0:1 მონტანიო (53), 1:1 გომისი (83), 1:2 მარვო (86)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-5 (2-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 37 963

**სოშო-რენი 2:0**

**სოშო (4-3-2-1):** რიშერი - ფატი, პერკისი (33. დიუპლუსი), ბრეშე, დრამე - მარტინი, გავანონი, მიკარი - მორის-ბელაი, დალმა (90. კარლაო) - ბუტენი (73. ნოგეირა).

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, დანზე - მვილა, ტეტეი - ბანგურა (27. ბრიანი), ლეროა (64. სოუ), მარვო - ასამოა გიანი.

**გოლები:** 1:0 დალმა (45), 2:0 ბუტენი (61)

**გაძევება:** ასამოა გიანი (11. რენი)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-12 (6-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 581

**ლორიანი-ვალანსიენი 3:2**

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი (32. ჟენტონი), კოშილნი, ლე ლანი - ამალფიტანო, დიუკასე, მვუემბა, დიარა - გამეირო, ვაირუა (75. საკუვაჰა).

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ნდი ასემბე - დიუკურტუა, ბონგი, აბარდონადო, ტიენე - კოადი, გომისი (88. სებო), სანჩესი - ბენ ხალფალაჰი, დანიჩი (80. პუჟოლი) - ოდელი.

**გოლები:** 0:1 ოდელი (5), 1:1 ამალფიტანო (24), 1:2 დანიჩი (35), 2:2 ამალფიტანო (46), 3:2 სოსა (67)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 20-9 (6-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 991

**პსჟ-გრენობლი 4:0**

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - სეარა, კამარა, სახო, არმანი - მაკელელე, კლერმონი - ჟალე (86. ბურილიონი), ლუინდულა, სესენიონი (86. მორისი) - ერდინგი (73. ჟიული).

**გრენობლი (4-2-3-1):** ლე კრომი - კალვე, რომაო, სესარი, სოვე - დიოზე, მაკეტი (58. აკრური) - კურტუა (66. რავე), ბატლე (75. ჟუანი), მატსუი - ლიუბოია.

**გოლები:** 1:0 ლუინდულა (9), 2:0 არმანი (18), 3:0 ერდინგი (65), 4:0 ჟალე (80)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 0-7; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 11-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 32 548

**ლე მანი-მონაკო 1:1**

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, სერდანი, ჟედერი (88. ლუვიონი), ბაალი - გულონი, ტომასი - დოსევი, ლე ტალეკი, ლამა - პელსტადი (70. სისე).

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - მოდესტო (86. ადრიანო), მონგონგუ, პიუგრენიე, ტრაორე - ნკულუ ნდუბენა, გოსო (61. პერესი) - ალონსო, ნენე, მოლო (46. საგბო) - პარკი.

**გოლები:** 1:0 ლე ტალეკი (36), 1:1 პარკი (50)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-17 (3-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 8 661

**ნიცა-ბულონი 2:2**

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - დიაკიტე, პეისლი, სიდი, გასე (50. კანტარეი) - საბლე (64. პოტე), ელბიკი - ფაე, ბენ საადა (79. მულუნგუი), მუნიე - რემი.

**ბულონი (5-4-1):** ბედენიკი - ბორნი, პერინელი, ლაშო, დემბელე, ნდიაიე - კარურუ (90. რამარე), და როშა (90. დიუკატელი), მარკი, კუვილიე - ბლაიაკი (74. რობერი).

**გოლები:** 0:1 პერინელი (58), 1:1 პოტე (67), 1:2 ბლაიაკი (73), 2:2 პოტე (86)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-10 (6-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 7 656

**ტულუზი-ბორდო 1:2**

**ტულუზი (4-3-2-1):** ვალვერდე - ებონდო, კონგრე, ფოფანა, მბენგუე - სირიეი (72. ბრაატენი), კაპუე, ლუანი (46. ტაბანუ) - მაშადო (82. რეგატინი), სისოკო - ჟინიაკი.

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - შალმე, სიანი, პლანიუ, ტრემულინასი - ფერნანდო, პლაშილი - გუფრანი (65. ვენდელი), გურკუფი, ჟუსიე (66. ტრაორე) - შამახი.

**გოლები:** 1:0 მაშადო (4), 1:1 შამახი (8), 1:2 ვენდელი (75)

**გაძევება:** მბენგუე (73. ტულუზი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 28 352

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 19 | 14 | 1 | 4 | 32-12 | 43 |
| 2. ლილი | 19 | 10 | 4 | 5 | 37-19 | 34 |
| 3. მონპელიე | 18 | 10 | 3 | 5 | 26-21 | 33 |
| 4. მარსელი | 18 | 9 | 5 | 4 | 30-20 | 32 |
| 5. ოსერი | 19 | 9 | 5 | 5 | 19-15 | 32 |
| 6. ლიონი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-26 | 30 |
| 7. პსჟ | 19 | 8 | 5 | 6 | 31-18 | 29 |
| 8. ლორიანი | 19 | 8 | 5 | 6 | 29-22 | 29 |
| 9. რენი | 19 | 8 | 5 | 6 | 24-18 | 29 |
| 10. ვალანსიენი | 19 | 8 | 4 | 7 | 30-26 | 28 |
| 11. მონაკო | 18 | 8 | 3 | 7 | 20-22 | 27 |
| 12. ნანსი | 19 | 8 | 2 | 9 | 26-29 | 26 |
| 13. ლანსი | 19 | 7 | 5 | 7 | 19-24 | 26 |
| 14. ტულუზი | 19 | 7 | 4 | 8 | 19-16 | 25 |
| 15. სოშო | 17 | 8 | 1 | 8 | 17-21 | 25 |
| 16. ნიცა | 19 | 6 | 4 | 9 | 20-32 | 22 |
| 17. ლე მანი | 19 | 4 | 4 | 11 | 17-28 | 16 |
| 18. სტ. ეტიენი | 19 | 4 | 4 | 11 | 11-26 | 16 |
| 19. ბულონი | 18 | 3 | 4 | 11 | 15-35 | 13 |
| 20. გრენობლი | 19 | 1 | 4 | 14 | 10-33 | 7 |

**ბომბარდირები:** 11 - ჟერვინიო (ლილი); 10 - ნენე (მონაკო); 9 - ფრო (ლილი); 8 - გამეირო (ლორიანი), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 7 - ნიანგი (მარსელი), ერდინგი (პსჟ), რემი (ნიცა), ვაირუა (ლორიანი), პაჯი (ნანსი).

**ლიგა 2**

**XIX ტური**

**ნიმი-ისტრი 2:1**

**გოლები:** 1:0 ადუ (8), 1:1 მესლუბი (69-პენ), 2:1 ბაიო (78)

**ლავალი-ვანი 2:1**

**გოლები:** 1:0 კვინტენი (47 ს.კ.), 1:1 რესე (63), 2:1 ლე პენი (82)

**გენგამი-კლერმონი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბრაჰიმი (63-პენ), 1:1 ჟირესი (68-პენ)

**გაძევება:** კონე (66. გენგამი), ჰამდანი (70. კლერმონი)

**დიჟონი-ბრესტი 1:3**

**გოლები:** 0:1 ლესუამიე (42), 1:1 იზაბეი (73), 1:2 ევოლო (78), 1:3 რუ (90)

**ბასტია-ტური 3:1**

**გოლები:** 1:0 ხაზრი (9), 2:0 გაფორი (42), 2:1 ატიკი (52), 3:1 ანდრე (88)

**ნანტი-ანჟერი 1:2**

**გოლები:** 1:0 ტალი (7), 1:1 მოდესტი (19), 1:2 მოდესტი (57)

**ლე ავრი-სტრასბური 3:0**

**გოლები:** 1:0 დიალო (47), 2:0 აიტ ბენ იდირი (49), 3:0 ბეზა (63-საკ. კარში)

**შატორუ-აიაჩო 1:2**

**გოლები:** 0:1 პერეირა (15), 1:1 ბაბი (23), 1:2 დიასი (45)

**არლი-სედანი** გადაიდო

**მეცი-კაენი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 18 | 11 | 5 | 2 | 29-14 | 38 |
| 2. ბრესტი | 19 | 10 | 5 | 4 | 27-17 | 35 |
| 3. ლე ავრი | 19 | 9 | 4 | 6 | 24-19 | 31 |
| 4. არლი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-19 | 30 |
| 5. მეცი | 17 | 8 | 5 | 4 | 21-18 | 29 |
| 6. ლავალი | 19 | 6 | 9 | 4 | 26-21 | 27 |
| 7. ნანტი | 19 | 7 | 6 | 6 | 26-27 | 27 |
| 8. ტური | 18 | 6 | 8 | 4 | 23-19 | 26 |
| 9. ნიმი | 19 | 7 | 5 | 7 | 20-24 | 26 |
| 10. აიაჩო | 19 | 6 | 6 | 7 | 22-19 | 24 |
| 11. ვანი | 19 | 6 | 6 | 7 | 26-28 | 24 |
| 12. კლერმონი | 19 | 6 | 5 | 8 | 23-24 | 23 |
| 13. ანჟერი | 18 | 6 | 5 | 7 | 21-22 | 23 |
| 14. სედანი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-24 | 22 |
| 15. გენგამი | 19 | 5 | 7 | 7 | 19-22 | 22 |
| 16. შატორუ | 19 | 5 | 6 | 8 | 26-30 | 21 |
| 17. დიჟონი | 19 | 4 | 9 | 6 | 19-23 | 21 |
| 18. სტრასბური | 19 | 4 | 7 | 8 | 20-27 | 19 |
| 19. ისტრი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-25 | 17 |
| 20. ბასტია | 19 | 3 | 4 | 12 | 17-25 | 13 |

**დანიშვნა**

# ლილიო ალმერიაში

## სარაგოსამ მაინც გაი არჩია

გუშინ ანდალუსიური „ალმერიას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამიერიდან გუნდს „ტენერიფეს" და „სარაგოსას" ყოფილი თავკაცი **ხუან მანუელ ლილიო** გაწვრთნის. ლილიო „ესტადიო დელ მედიერანეოზე" სეზონის ბოლომდე დაყოფს დროს და მისი ამოცანა კლუბის პრიმერა დივიზიონში დატოვება იქნება. შეგახსენებთ, რომ „ალმერიას" მექსიკელი **უგო სანჩესი** წვრთნიდა, რომელიც „ესპანიოლთან" მარცხის მერე მოხსნეს. ლილიომ სამწვრთნელო კარიერა ლამის თინეიჯერობისას დაიწყო, 1992 წელს მან 26 წლის ასაკში „სალამანკა" ჩაიბარა და ამით პრიმერა დივიზიონის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა. ლილიოს მედიას ორშაბათს წარუდგენენ. ხუან მანუელ ლილიო სულ ბოლოს (მარშანდელ სეზონში) „რეალ სოსიედადს" წვრთნიდა.

ამასობაში „სარაგოსას" ხელმძღვანელობამ ბოლო წამს გადაიფიქრა მწვრთნელის კიდევ ერთხელ შეცვლა, **ხოსე აურელიო გაის** თავის გამოჩენის შანსი სეზონის ბოლომდე მიეცა, მიუხედავად „რეალთან" 0:6 გამანადგურებელი მარცხისა. ბოლო მომენტში „სარაგოსას" ხელმძღვანელობა ვერ შეუთანხმდა **ვიქტორ მუნიოსს** და თანამდებობაზე გაი დარჩა.



ლილიო ალმერიაში მიდის

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. შემოდგომის შეჯამება

# კალჩიო ანტრაქტამდე

იტალიის მიმდინარე ჩემპიონატს ეკვატორი ჯერ არ გადაუკვეთია, მაგრამ ზამთრის შესვენება სწორედ ახლა გამოცხადდა და ჩვენც მოგვეცა იმის საშუალება, რომ განვლილ ბატალიებს თვალი გადავავლოთ. პირველი წრის დასრულებამდე ორი ტური და კიდევ ოთხი შეხვედრაა დარჩენილი, მაგრამ ეს პაექრობები უკვე 2010 წელს გაიმართება. ამიტომ, უპრიანი იქნება, თუ შევაჯამებთ ყველაფერ იმას, რაც სეზონის გახსნიდან მოყოლებული ვიხილეთ. მასალა ორ ნაწილად არის გაყოფილი, პირველს დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ, მეორეს კი ხვალ გაგაცნობთ.

## ლიდერი

ლიდერი კვლავაც „ინტერია“, მაგრამ ამაში ახალი არაფერია. გუნდი ისევე სტაბილურად ასპარეზობს, როგორც გასულ წლებში. აქ ერთადერთი შეკითხვა შეგვიძლია დავსვათ: არის თუ არა წლევანდელი „ინტერი“ წინამორბედებზე უკეთესი? - ასეთი კითხვის დასმა სწორედაც რომ მართებულია, რადგან გასულ ზაფხულს „ნერაძურიში“ ბევრი რამე შეიცვალა. საბოლოოდ გამოემშვიდობა გუნდს **ადრიანო**, რომელსაც შემდეგ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც** მიჰბაძა. ანუ, ფეხბურთელები, რომლებზეც იდგა გუნდის შეტევითი ხაზი, „ინტერს“ გამოეთხოვნენ. სამაგიეროდ შავ-ლურჯი მაისურა მოირგეს **დიეგო მილიტომ** და **სამუელ ეტოომ**. გასულ სეზონში, გამთამაშებლის პოზიციაზე **დეიან სტანკოვიჩი** ასპარეზობდა, მიმდინარეში კი ეს ფუნქციები **ვესლი სნეიდერმა** ითავა, ვინც ლომბარდიულ გრანდში მადრიდის „რეალიდან“ გადაბარგდა.

ექსპერტებს უჭირთ იმის ცალსახად მტკიცება, რომ ამ ფორმაციის „ინტერი“ წინამორბედებს სჯობია - ამაზე ლაპარაკი სეზონის ბოლოს უფრო იოლი იქნება, როდესაც იტალიაში წინილებს დაითვლიან. ისე კი ფაქტია, რომ ეტოოც და მილიტოც მაღალ დონეზე ასპარეზობენ და ამართლებენ მათზე გაცემულ ავანსებს. განსაკუთრებული ქება კამერუნელს ეკუთვნის, რადგან მილიტოსგან განსხვავებით, ეს მისი პირველი სეზონია სერია A-ში. იტალიურ ფეხბურთთან ადაპტირება რომ ერთობ რთული საქმეა, ყველას კარგად მოგეხსენებათ, მან ეს პროცესი მეტად უმტკივნეულოდ გაიარა, რაც უდავოდ დასაფასებელია.

უფრო მეტად გამოჩნდა **მარიო ბალოტელი**, რომელმაც რამდენიმე სკანდალში გაყო თავი, რასიზმის მსხვერპლიც არაერთხელ გახდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, გულშემატკივართა აგრესია მისი პროვოკაციული ქმედებების გამოძახილი იყო. **ჟოზე მოურინიო** რომ განარისხა, ეგ კიდევ ცალკე თემაა - პორტუგალიელმა დაიჩივლა კიდეც, ამ კაცს მარტო ველარ ვერევიო.

მოურინიო საკუთარ თავს არც მიმდინარე სეზონში ღალატობს. ყველას სახელი რომ ჩამოვწეროთ, ვისთანაც მწვავე პოლემიკა გამართა, ერთი საგაზეთო გვერდი არ გვეყოფა. მარტო **ზდენეკ ზემანს** წაეკიდა მინიმუმ სამჯერ, რაც გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ - თავის მხრივ, არც ჩეხი სპეციალისტია მშვიდობის დესპანი.

რას უნდა ველოდეთ სეზონის მეორე ნახევარში „ინტერისგან“? - უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის გადალახვას. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ეს მოლოდინი აქვთ ტიფოზებს და არა მხოლოდ მოლოდინი - მოთხოვნაც. დიახ, გულშემატკივრები „ინტერისგან“ „ჩელსის“ ბარიერის“ გადალახვას ითხოვენ და ეს სრულიად ბუნებრივია. არ შეიძლება, ასეთი რანგის კლუბი მუდამ წარუმატებელი იყოს საერთაშორისო ასპარეზზე.

## მწვრთნელები

**ჩირო ფერარა** და **ლეონარდო**, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც უდიდესი წნეხის ქვეშ უხდებათ მუშაობა. სეზონის პირველი ნახევარი მათთვის ემოციებით აღსავსე, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა.



ლეონარდო და ჩირო ფერარა. სადამდე გაძლებენ ახალგაზრდა მწვრთნელები?

„იუვენტუსის“ მესვეურებმა ზაფხულის სატრანსფერო კამპანია ძალიან აქტიურად წარმართეს და რამდენიმე მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავი გადაიბირეს. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც: **დიეგო რიბასი, ფელიპე მელო, ფაბიო კანავარო, ფაბიო გროსო.** ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გულშემატკივარი იმედიანად განაწყო, რაზეც გაყიდული აბონემენტების მაღალი მაჩვენებელიც მიუთითებს. ტურინის „ოლიმპიკოზე“ სულ 29 ათასი ადამიანი ეტევა, იქიდან 21 ათასი ადგილი კი წინასწარ დაიჯავშნა.

„ბიანკონერიმ“ სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. ექსპერტებმა ფერარას გუნდი „ინტერის“ მთავარ კონკურენტად მონათლეს, მეტიც, სკუდეტოს მოპოვების უპირველეს ფავორიტად ბევრი სწორედ „იუვენტუსს“ მიიჩნევდა. თუმცა ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ეს ტურინში სურდათ. მიჯრით წაგებული შეხვედრები და ფიასკო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ტურინული გრანდისთვის მართლაც უდიდესი დარტყმა აღმოჩნდა. შედეგად, დღის წესრიგში ფერარას საკითხი დაისვა და დიდია შანსი, უახლოეს მომავალში მას პოსტის დატოვებამაც მოუწიოს.

რამ მიიყვანა „იუვენტუსი“ ასეთ კრიზისამდე? - ბევრი ყველაფერს ფერარას აბრალებს, რომელიც თითქოს დაბნეულია და მის ხელთ არსებულ რესურსს ბოლომდე ვერ იყენებს. ექსპერტების აზრით, ჩირო ფეხბურთელებს არასწორ პოზიციაზე ათამაშებს, რაც გუნდის თამაშის ხარისხზე უარყოფითად აისახება. ეს მოსაზრება რამდენიმე დღის წინ ფელიპე მელომ გაიზიარა და არსებული კრიზისი დიდწილად მწვრთნელს გადააბრალა. ფერარას საქმიანობა **მარჩელო ლიპიმაც** შეაფასა და ვერ დამალა, რომ მისმა ყოფილმა ასისტენტმა რამდენიმე ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა.

რადიკალურად განსხვავებული გზა გაიარეს ლეონარდომ და მისმა „მილანმა“. „როსონერი“ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში უჩვეულოდ პასიური გახლდათ. შეძენას ვინ ჩივის და, გუნდი რამდენიმე საკვანძო ფიგურამ დატოვა, მათ შორის მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **კაკამ**. ეს ყველაფერი სეზონური აბონემენტების გაყიდვაზეც შესაბამისად აისახა: „მილანმა“ 2008/09 წლების სეზონთან შედარებით 20 ათასით ნაკლები აბონიმენტი გაასაღა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია.

და როგორ დაიწყო ლეონარდოსთვის „მილანური“ მოღვაწეობა? - ძალიან ცუდად. გუნდმა მოსამზადებელ ეტაპზე ერთი შეხვედრის გარდა ყველა წააგო, რამაც ტიფოზებში უიმედობა კიდევ უფრო გააღრმავა. სეზონის სტარტიც მძიმე აღმოჩნდა, უკვე მეორე ტურში „მილანი“ „ინტერთან“ შერცხვა და 0:4-ზე განადგურდა. ის შეხვედრა „შავ-წითლებისთვის“ მართლაც კატასტროფული გამოდგა. დერბიში წაგებამ გუნდში არაჯანსაღი გარემო წარმოქმნა: **ჯენარო გატუზო** მთავარ მწვრთნელს გადაუდგა და ნავსაყუდელის გამოცვლაზე დაფიქრდა. მართალია, რინომ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ლეონარდოსთან ურთიერთობის დარეგულირება ბოლომდე მაინც ვერ შეძლო.

აი, ასეთი მძიმე სტარტის შემდეგ გუნდი უცებ გარდაისახა და წაუგებელი შეხვედრების შესანიშნავი სერია გამოაცხო. ყველაფერი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ ბრწყინვალე დამარცხებით დაიწყო. „როსონერიმ“ სერია A-ში პოზიციები მკვეთრად გაიმყარა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა. დღეს სწორედ „მილანია“ ის გუნდი, რომელიც „ინტერის“ ყველაზე რეალურ კონკურენტად მოჩანს. ლეონარდოს ხელში გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ბარიერიც დასძლია, რამაც მწვრთნელის ნდობის ლიმიტი საგრძნობლად გაზარდა.

რამ განაპირობა „მილანის“ ასეთი აღმასვლა? - უპირველეს ყოვლისა, ახალმა ტაქტიკურმა მოდელმა, რომელიც ლეონარდომ დანერგა. ლაპარაკია 4-3-3-ზე, კიდევ უფრო რომ გავშიფროთ: 4-3-2-1-ზე. **რონალდინიო** და **ალეშანდრე პატო** გარემარბების პოზიციაზე ირჯებიან და პლუს ერთი ცენტრფორვარდი, რომელიც ან **ფილიპო ინძაგია**, ან **კლას-იან ჰუნტელაარი**, ანაც **მარკო ბორიელო**. სწორედ ამ უკანასკნელს ენდობა უფრო მეტად ლეონარდო, დანარჩენ ორს კი თადარიგში უწევს ყურყუტი.

„მილანისთვის“ იანვარი მეტად მნიშვნელოვანი იქნება, გუნდს სერია A-ში ურთულესი შეხვედრების გამართვა მოუწევს. თავად განსაჯეთ, „როსონერი“ „ჯენოას“, „ფიორენტინას“, „იუვენტუსს“ და „ინტერს“ შეეჭიდება. ასე რომ, ლეონარდოს და მის სამწყსოს მთავარი გამოცდები ჯერ კიდევ წინ აქვთ.

## ტენდენცია

მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი სარეკორდო გამოდგა სამწვრთნელო ცვლილებების თვალსაზრისით. კლუბების პრეზიდენტებმა უჩვეულო სიმკაცრე გამოიჩინეს და მწვრთნელები ოდნავადაც არ დაინდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მათი გადაწყვეტილებების უმეტესობა აბსოლუტურად გამართლებული აღმოჩნდა. ყველაფერი **ლუჩანო სპალეტის** გათავისუფლებით დაიწყო, ვისი ადგილიც **კლაუდიო რანიერიმ** დაიკავა. შესაძლოა, „ჯალოროსი“ ძველებურად ეფექტურ ფეხბურთს ველარ თამაშობს, მაგრამ სამაგიეროდ, არის შედეგი, რომელიც ბოლო პერიოდში სპალეტის არ ჰქონდა. „რომამ“ ოთხეულში შეაბიჯა, **ფრანჩესკო ტოტის** კი ამბიციები მოეძალა და სკუდეტოზე ალაპარაკდა. ეს ყველაფერი უდავოდ რანიერის დამსახურებაა, რომელმაც გუნდის სათამაშო მოდელი 4-5-1-დან 4-4-2-ზე გადააწყო და როგორც შემდეგ გამოჩნდა, სწორადაც მოიქცა.

გამართლებული აღმოჩნდა **რობერტო დონადონის ვალტერ მაძარით** ჩანაცვლებაც. „სკუადრა აძურას“ ექსთავკაცის ხელში ნეაპოლური გუნდი წვალობდა და ცხრილის ფსკერზე ყურყუტებდა, მაძარიმ კი თითქოს შემოულაწუნა შეგირდებს და ისინიც უმალ გარდაისახნენ. ნეაპოლელებმა არაერთი პრინციპული პაექრობა მოიგეს და დღეს ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებენ. უნდა შევაქოთ **დელიო როსიც**, ვინც „პალერმოს“ ჩაუდგა სათავეში და გუნდს სამიდან სამივე შეხვედრა მოაგებინა, მათ შორის ერთი, „მილანთან“ „სან სიროზე“.

ბოლო ცვლილება „კატანიაში“ მოხდა, სადაც **ვალტერ ძენგას** ადგილი **სინიშა მიხაილოვიჩმა** დაიკავა. რამდენად გაამართლებს კლუბის მესვეურთა ასეთი ნაბიჯი, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, დასაწყისი მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა - სერბის დამოძვრილმა „კატანიამ“ ტურინში „იუვენტუსი“ წააქცია.

## სიურპრიზი

აუცილებლად უნდა ვთქვათ სერია A-ში აღზევებულ „ბარისა“ და „პარმაზე“. ორივე გუნდმა სეზონის პირველი ნახევარი მაღალ დონეზე ჩაატარა, რაც სატურნირო ცხრილში მათი ადგილიდანაც კარგად ჩანს.

სერია B-ში „ბარის“ **ანტონიო კონტე** წვრთნიდა და საქმეს მართლაც შესანიშნავად უძღვებოდა. თუმცა, კლუბის მესვეურებთან კონფლიქტის გამო ზაფხულში პოსტის დატოვება მოუხდა. „ბარი“ გამოცდილმა სპეციალისტმა **ჯამპიერო ვენტურამ** ჩაიბარა და კონტეს დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა. მის ხელში გუნდმა 24 ქულა დააგროვა და XVII ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მეცხრე პოზიცია უკავია. რაც ასევე აღსანიშნავია, „ბარიმ“ არც „მილანთან“ წააგო და არც „ინტერთან“, „იუვე“ კი სულაც ბეჭებზე გააკრა და 3:1-ზე დაამარცხა.

ძალიან კარგ სეზონს ატარებენ „ბარის ცენტრალური მცველები **ანდრეა რანოკი** და **ლეონარდო ბონუჩი**. პირველი 21 წლის გახლავთ, მას **ალესანდრო ნესტას** ადარებენ, მეორე კი 22-ის არის და თამაშის მანერით **ფრანკო ბარეზის** წააგავს. ამ ახალგაზრდა მცველებზე იტალიაში უდიდეს იმედებს ამყარებენ და ვნახოთ, გაამართლებენ თუ არა მოლოდინს.

სეზონის მთავარი აღმოჩენა მაინც „პარმა“ გახლავთ, გუნდი, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. მართალია, პარმეზანელები ოთხეულში მოხვედრის ამბიციას საჯაროდ არ აფიქსირებენ, მაგრამ სატურნირო ცხრილში დაკავებული პოზიცია მათში ასეთ სურვილს უთუოდ აღძრავდა. შეგახსენებთ, რომ ემილიელები მეხუთე ადგილზე არიან და მხოლოდ ბურთების უარესი მაჩვენებლით ჩამორჩებიან „ჯალოროსის“.

ქებათა ქება **ფრანჩესკო გვიდოლინს**, ვის ხელშიც გუნდი მეტად ორგანიზებულ და გააზრებულ ფეხბურთს თამაშობს. მან ერთგვარი სინთეზი გააკეთა ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების, რომელიც სრულად ამართლებს. „პარმა“ თავს ძალიან კარგად იცავს და მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებს - ფორვარდები საგოლე მომენტს იშვიათად აცუდებენ, რაც უთუოდ მათ კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, აქვთ თუ არა ემილიელებს იმის რესურსი, რომ სეზონის ბოლომდე სტაბილურად მაღალ დონეზე იასპარეზონ? - ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს, დანარჩენზე კი „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში ვისაუბროთ.



ფრანჩესკო გვიდოლინის პარმა, ჩემპიონატის აღმოჩენა

ლაშა წიკლაური

საუნივერსიტეტო სპორტი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სწორი არჩევანი რეალური შედეგით

შტილი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტულ ცხოვრებაში შეიძლება დასრულდეს, თუ რეფორმის მოდელს, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით ინერგება, ჩვენი სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც გადაიღებენ. სპორტულ ფედერაციებთან მჭიდრო ურთიერთობა — ასეთია სტრატეგიული კურსი. შარშან კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან დაწყებული თანამშრომლობით ჭავჭავაძელებმა სასურველ შედეგს უკვე მიაღწიეს. იგივე ითქმის მორაგბეებზე. იხვეწება ურთიერთობები სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციასთან.

გუშინ უნივერსიტეტში 2009 წლის სპორტული მონაგარი შეაჯამეს. მთავარი თავმოსაწონი, სპორტულ სარბიელზე მიღწეული წარმატებების გარდა, კალათბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით, მოზარდებთან მომუშავე მწვრთნელებისთვის, სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის ქართულ ენაზე მომზადება იყო. სახელმძღვანელო საერთაშორისო ფედერაციამ დაურიგა წევრ ქვეყნებს.

უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა **დიმიტრი ჯაფარიძემ** სახელმძღვანელოს პრეზენტაციისას ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას, მადლობა გადაუხადა მთარგმნელთა ცენტრის (დირექტორი — **გია ქიქოძე**) მთარგმნელს მაგდა გურულს და რედაქტორს **გია მიქაძეს** უანგრო დახმარებისთვის.

„ფედერაციებთან თანამშრომლობის კონცეფცია ეფუძნება აკადემიური კვალიფიკაციისა და სპორტული გამოცდილების შერწყმის იდეას, რაც მიზნად ისახავს მსოფლიოში აპრობირებული ცოდნის იდენტიფიცირებას, სელექციას და ტრანსფერს ქართულ სინამდვილეში და, შესაბამისად, ქართველი მწვრთნელებისა და სპორტსმენების აღჭურვას გლობალური დონის კონკურენტუნარიანი კომპენტენციებით" - განაცხადა დ. ჯაფარიძემ.

ითქვა ისიც, რომ იგეგმება ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა ქართული სპორტის ისტორიაში, ოლიმპიზმში, სპორტის მარკეტინგში, სპორტის ფსიქოლოგიაში, სპორტის ფიზიოლოგიაში...

პრეზენტაციასა და სპორტსმენთა დაჯილდოებას ესწრებოდნენ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი,** პროფესორები - რექტორი **გიგი თევზაძე,** ადმინისტრაციის უფროსი **სერგო რატიანი.** ამ უკანასკნელმა კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი ამცნო შეკრებილთ – "ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი ძირითადად კალათბურთელთა განკარგულებაში გადავა, ბესიკ ლიპარტელიანმა კი იქვე დასძინა, რომ ფარებს უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცემს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. წლევანდელ სპორტულ ასპარეზობებში, მათ შორის საქართველოს უნივერსიადაში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოვდნენ უნივერსიტეტის კალათბურთელები, მორაგბეები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, მოცურავეები, ძიუდოისტები, მოჭადრაკეები, სამთომოთხილამურეები, ქართული ჭიდაობის, ათლეტიზმის წარმომადგენლები.

**თენგიზ თომაშვილი**

ფარიკაობა

# დაშნით გაკაფული გზა

ხალხმრავლობა იყო გუშინ მოფარიკავეთა საქართველოს თასის გათამაშებაზე: 40 მუშკეტერი გავიდა სარბიელზე, რათა დაშნით გაეკაფა გზა კვარცხლბეკისკენ. ქალებში ყველას ქუთაისელმა **ხატია ლელაძემ** აჯობა. ფინალში მან თანაქალაქელი **ნათია ჩაჩხიანი** დაამარცხა. მესამე ადგილებზე **მარიამ ლომიძე** (თბილისი) და **თეონა ბენიძე** (ქუთაისი) გავიდნენ. ვაჟებში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ **დავით ელბაქიძეს**, რომელმაც რიონისპირელ სეხნიას — **დავით არველაძეს** აჯობა. ამ უკანასკნელს „ვერცხლი" ხვდა. ბრინჯაოს მედლებიც ქუთაისელებმა — **გიორგი ნაცვლიშვილმა** და **ანზორ ყურაშვილმა** დაისაკუთრეს.

— ორთაბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, — გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **დავით სახვაძემ,** რომელიც წლეულს კადეტთა მსოფლიოს პირველობასა და ოთხ გრან-პრიზეა სამსაჯოდ მიწვეული. — კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში შეგვიძლია, ლონდონის ოლიმპიადაზე ჩვენი წარმომადგენელი გვყავდეს. მსოფლიო ფორუმისთვის მონდომებით ემზადებიან ხმლით მოფარიკავეები — **ბექა ბაზაძე** და **ლაშა მიქელაძე**, რომლებიც ამჟამად კიევში გადიან საწვრთნელ შეკრებას. გაისად ისინი სტარტს ირანში აიღებენ — 16-17 იანვარს პირველ სარეიტინგო შეჯიბრებაში ჩაებმებიან. თითო კვირის გამოშვებით სტამბოლსა და საბერძნეთში შეეჯიბრებიან მსოფლიოს საუკეთესო მუშკეტერებს. თებერვალში „მოსკოვის ხმალზე" გაემგზავრებიან, მერე მადრიდისა და პლოვდივის გრან-პრიზე გამოვლენ. ეს შეჯიბრებები ხელს შეუწყობს მათ, ლაიპციგის ევროპისა (16-22 ივლისი) და პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის (4-13 ნოემბერი) სათანადოდ მოემზადონ. მთავარი ორიენტირი კი, როგორც გითხარით, ლონდონის ოლიმპიადაა.

ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენთვის მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელსაც გაისად სინგაპური უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ოთხი მოფარიკავე გვყავს შეგულებული: ხმალში — **თეოდორა კახიანი, სანდრო ბაზაძე** და **მიხეილ მარდალეიშვილი,** რაპირისტი **არჩილ უგულავა.** წლეულს კახიანმა კადეტთა ევროპის თასზე მე-8 ადგილი დაიკავა. ბაქოს მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც 1-9 აპრილს გაიმართება, მსგავსი შედეგი საკმარისი იქნება სინგაპურის საგზურის მოსაპოვებლად, რადგან თითო ქვეყნიდან თითო წარმომადგენელს ეძლევა თამაშებში გამოსვლის უფლება, თან ევროპას სახეობების მიხედვით 4-4 სპორტსმენის გამოყვანა შეუძლია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის დეპარტამენტის თანადგომით, იმედია, მიზანს მივაღწევთ.

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა

# ღია ტურნირის სტატუსს თუ შეიძენდა...

შაბათ-კვირას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში თბილისის პირველობა გაიმართება მშვილდოსნობაში. ტურნირს დედაქალაქის მერია აფინანსებს და მასში მხოლოდ აქაური მშვილდოსნები გამოვლენ, რაც, ცოტა არ იყოს, გვიკვირს. გვიკვირს იმიტომ, რომ ასპარეზობა თუ ღია ტურნირის სტატუსს შეიძენდა, აჭარის ნაკრებიც იასპარეზებდა, რომელიც სადღეისოდ ეროვნული ნაკრების ბირთვს შეადგენს. ქალთა ნაკრებში სამიდან ორი მსროლელი ბათუმელია, **ხათუნა ნარიმანიძე** კი გუნდის უპირობო ლიდერად იქცა. ვაჟთა ნაკრებში ლიდერისა და სხვათა გარკვევა ცოტა ძნელია, მაგრამ ბოლო წლებში სასწორი აქაც ზღვისპირელთა მხარეს იხრება. მათი მონაწილეობა ტურნირს ბევრად უფრო დაძაბულსა და საინტერესოს გახდიდა. გვესმის, ორგანიზატორებისთვის ეს გარკვეულ დამატებით თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი მშვილდოსნები შეჯიბრებებით არ არიან განებივრებულნი და ჩვენს ქვეყანაში გამართულს მაინც ნუ გამოვაკლებთ, თორემ შარშან მსოფლიოს ორ თასზე ვერ გაუშვეს სიშორის გამო.

დედაქალაქის პირველობა სამივე ასაკობრივ ჯგუფში და ორივე სქესის მონაწილეთა შორის გაიმართება. ამით წლევანდელი სეზონიც დასრულდება და მშვილდოსნები მთლიანად საგაისო ბატალიებისთვის მზადებაზე გადაერთვებიან, მაგრამ ზემოაღნიშნული ტურნირისა არ იყოს, ერთიანი გეგმა ვერც ნაკრების მზადებაში დავინახე. არ გამოვრიცხავთ, გზადაგზა ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ როცა ბათუმელი მშვილდოსნები ძველით საახალწლოდ პირველ შეკრებას დაიწყებენ, მასში თბილისელი **ქრისტინე ესებუას** მონაწილეობა ჯერ კიდევ არაა გარკვეული. ამ შეკრებას აჭარის ხელისუფლება აფინანსებს და გასაგებია, თბილისელი სპორტსმენისთვის ფულს არ გამოყოფს. არადა, დაგვეთანხმებით, ნაკრები ერთიანი გეგმით უნდა ემზადებოდეს. თუმცა ნაკრების თავკაცი **თამაზ ფუტკარაძე** იმედოვნებს, რომ ესებუასაც დააფინანსებენ და ისიც ნაკრებთან ერთად მოემზადება, როგორც ბოლო წლებში ხშირად ხდებოდა. წინა ოლიმპიურ ციკლში ესებუა გარკვეული პერიოდი ბათუმშიც ცხოვრობდა და იქაურებთან ერთადაც ემზადებოდა. მაგრამ ის უმეტესად მაინც თბილისის ღირსებას იცავდა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ბათუმელ მსროლელებთან ერთად მასაც გზავნიდნენ შეკრებებზე. ფუტკარაძე ახლაც ამ ვარიანტის განმეორებას იმედოვნებს.

ბათუმელთა გუნდი ამ შეკრებას შუახევის რაიონში, ასე გაპიარებულ გომართულში გაივლის. ეს სოფელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ქვეყნის პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** სტუმრობის შემდეგ მოექცა, როცა იქ ზამთრის კურორტის აშენების შესახებ გვამცნო. საქართველოს სპორტულ რუკაზე კიდევ ერთი კერის გაჩენას მივესალმებით, თუმცა იქაურ პირობებზე ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ფუტკარაძე დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს და სუფთა ჰაერის თუ სხვა ბუნებრივი პირობების გამო იმედოვნებს, რომ ნაყოფიერად ივარჯიშებენ. გუნდი კოტეჯებში იცხოვრებს და სკოლის სპორტულ დარბაზში ივარჯიშებს. სეზონის დასაწყისში ისინი ძირითადად ზამთრის, ანუ ჭერქვეშა პირველობებისთვის ემზადებიან. გომართულის სკოლის დარბაზიც აკმაყოფილებს ამ პირობებს - 18-მეტრიან დისტანციაზე ივარჯიშებენ.

ეს შეკრება 10 დღე გაგრძელდება, თებერვლის დასაწყისში კი ორი რესპუბლიკური ტურნირია - ჯერ თებერვლის დამდეგსვე ბათუმში იქაური პირველობა გაიმართება, 5-7 თებერვალს კი უკვე საქართველოს ჩემპიონატია. ორივე ტურნირი დარბაზებში ტარდება. სავარაუდოდ, ეს ორი ტურნირი უკვე გამოარკვევს იმ ნაკრებს, რომელიც 16-21 მარტს ხორვატიულ პორეჩში ევროპის ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზებს. ჩვენები მსგავს პირველობაში, ტრადიციულად, კარგად გამოდიან და ვიმედოვნებთ, ამჯერადაც წარმატებით ისვრიან.

ამის შემდეგ ნაკრები უკვე საზაფხულო, ანუ ოლიმპიურ დისციპლინებში მონაწილეობაზე გადავა, ამ რანგის პირველი სერიოზული ტურნირი კი 24-30 მაისს იტალიურ როვერეტოში გასამართი ევროპის ჩემპიონატია. ამის შემდეგ ჩვენები ევროპის „დიდ პრიზზე" იასპარეზებენ - 20-25 აპრილს ბერძნულ როდოსში, 22-27 ივნისს - სომხურ ეჩმიაძინში. „დიდი პრიზის" სუპერფინალი 20-25 ივლისს მოსკოვშია დანიშნული, მაგრამ ის ჩვენებურთა კალენდარში არაა შეტანილი.

ევროპის „დიდი პრიზის" ტურნირთა გარდა, ცხადია, ტარდება მსოფლიოს თასებიც - სეზონში ოთხი, მაგრამ ორი მათგანი ევროპის გარეთ: ჩინეთსა და ამერიკაში, სადაც ჩვენებურთა მონაწილეობა საეჭვოა. აი, დანარჩენ ორში - ისევ პორეჩსა და თურქულ ანტალიაში, ალბათ, წავლენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# არდავიწყება მოძღვრისა

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **თემურ ლომაიას** ბევრი მოჭადრაკისთვის გაუკვალავს გზა საერთაშორისო სარბიელისკენ. მისი აღზრდილები მოძღვრის ღვაწლს არ ივიწყებენ. ხშირად იმართება ამაგდარი მწვრთნელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ლომაიას ტრადიციული პირად-გუნდური მემორიალი, რომელშიც 8, 10, 12 და 16 წლის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. შეგირდთა მონაგარზეა დამოკიდებული მწვრთნელთა შორის საუკეთესოების გამოვლენა, რადგან პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკის აღმზრდელს 20 ქულა ერიცხება, მეორე პრიზიორისას 16, მესამეადგილოსნისას — 13 ქულა და ა.შ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 7 ტურად გაიმართება და საახალწლოდ ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიებაა.

გუშინ პირველი ტურის პარტიები გაიმართა. ორთაბრძოლები დაძაბულად წარიმართა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, შეხვედრათა დიდი უმრავლესობა შედეგიანი აღმოჩნდა.

8-წლიანებში 82 გოგონა და ბიჭი ცდის ძალებს. გუშინ აქ მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. 10-წლიანებში 56 მოჭადრაკე იბრძვის პირველობისთვის. პირველ ტურში აქაც მხოლოდ ოთხმა მოჭადრაკემ გაიყო ქულები. 12-წლიანებში 48 გოგონა და ვაჟი დაუპირისპირდა ერთმანეთს, 16-წლიანებში კი მათი რაოდენობა ექვსით ნაკლებია.

დღეს მოჭადრაკეები მეორედ მიუსხდებიან 64-უჯრიან დაფებს. ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები:

**8-წლიანებში.** დათო ლობჟანიძე-დათო აბრამიძე, ცოტნე მამულაიშვილი-ლუკა შენგელია, სანდრო ადამაშვილი-გივი ლემონჯავა, ნიკა არაბული-ლაზარე ლომსაძე, აჩიკო მეგრელიშვილი-ლევან ჩიქოვანი, ელენე ჩხაიძე-კესო მირიანაშვილი.

**10-წლიანებში.** საბა ამირიძე-თამაზ კიკნაველიძე, დათო ლობჟანიძე-სანდრო აფაქიძე, ქეთი არაბული-ლუკა ლიჩელი, გიორგი ჩხაიძე-მიშიკო მუხიგული, დალი ნანეიშვილი-გურამ ჩოქური, კობა ჩოქური-ალექსანდრ მუტაფიანი, ვანო ოქრუაშვილი-მარი გოგიჩაიშვილი.

**12-წლიანებში.** თორნიკე ახალაძე-რატი ლაითაძე, გიორგი ბოსიკაშვილი-ბესო ჯუღელი, ირაკლი კელაპტრიშვილი-აკაკი მარტიაშვილი, გუგუნა ხიდეშელი-უჩა მღვდელაძე, ანი მარცვალაძე-ლევან ხიზანიშვილი, ქეთევან ხომერიკი-მაია მუმლაძე, ნინო ხომერიკი-ელენე საფანაძე.

**16-წლიანებში.** ნიკა ვოლკოვი-ლაშა კაჭარავა, ნათია ჯალაბაძე-რევაზ ჭკუასელი, თეკლა მაჭარაშვილი-თორნიკე გაბუნია, ანა კუჭავა-ოთარ მანგიაშვილი, ნატო იმნაძე-გიორგი სიბაშვილი, ლიკა კობეშავიძე-დეა გოგიშვილი, მარიამ სულამანიძე-მარიამ თევზაძე, გიორგი ცირეკიძე-ნინო ხომერიკი.

ყველა მოჭადრაკეს თითო ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

*ინტერვიუ გია თენაძესთან*

# გაცილებით დიდი სიმაღლეებისთვის ვიბრძვით

90-იანი წლებიდან მოყოლებული გორის ძიუდოში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ახლა პირიქით, სასიკეთო ცვლილებები გახდა განსჯის თემა, შემობრუნება კი გია თენაძის სახელს უკავშირდება. წარსულში ცნობილმა ფალავანმა მართლაც რომ ყველაფერი გააკეთა ვითარების გამოსასწორებლად, შედეგსაც ეტაპობრივად, წარმატებით იმკის. ვიდრე გორელები ხელჩასაჭიდ გამარჯვებებამდე არ მივიდოდნენ, ბატონი გია გაწეული საქმიანობის აფიშირებას საჭიროდ არ მიიჩნევდა და ინტერვიუზეც მუდამ დელიკატურ უარს გვეუბნებოდა. ახლა კი დაგვთანხმდა.

**— ბატონო გია, გორში ძიუდოს შესამჩნევი უკუსვლა აქტიური სპორტიდან თქვენი თაობის წასვლის შემდეგ დაიწყო?**

— 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მე, ჩემმა ძმამ ანზორმა, კობა კურტანიძემ, ჯემალ მჭედლიშვილმა და ენგურ გოგიჩაშვილმა სარბიელზე გამოსვლები დავამთავრეთ, ასეთი წარმატებული თაობა მართლაც აღარ გამოჩენილა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ტალანტებს - გია ვაზაგაშვილსა და რამაზ ჩოჩიშვილს. თითქმის ბოლო თხუთმეტი წელი არათუ უცხოეთში, გორელებს სანატრელი გაგვიხდა სერიოზული წარმატებები საქართველოშიც კი. უფროს ასაკში ქვეყნის ჩემპიონიც აღარ გვყოლია. ნავსი რამდენიმე დღის წინ საქართველოს ჩემპიონატზე გატყდა, როდესაც ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსნებთან ერთად, ერთი ჩემპიონიც გაგვიხდა - გიორგი დილებაშვილი (73 კგ). ამ ბიჭს ოჯახური პრობლემების გამო ბევრი გაუცდა და ცოტა გვიან გაიხსნა. სხვათა შორის, ომის დროს მისი სახლიც დაიბომბა და გვერდით ათამდე მეზობელი დაელუპა. ძნელი იყო ასეთი ტრაგედიის შემდეგ ძალების მოკრება და უფროსთა შორის ჩემპიონობა, მაგრამ გიორგიმ ეს შეძლო. ჩვენთვის კი რასაკვირველია, არც დილებაშვილის ეს თხუთმეტწლიანი წყვეტის შემდეგ მოპოვებული წარმატება კმარა. მიზანი გაცილებით დიდი სიმაღლეების დაპყრობაა.

**— 90-იანი წლებიდან გორის ძიუდოში დაწყებულმა კრიზისმა ინფრასტრუქტურაც ერთიანად მოშალა.**

» მე-13 გვერდზე

კალათბურთი



## დაბრუნება ლიუბლიანაში

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ ადრიატიკის თასზე ყოფილი კლუბის, „ოლიმპიას“ წინააღმდეგ ლიუბლიანაში ითამაშა. ცხადია, მას ძალიან სურდა ასეთ გარემოებაში თავის გამოჩენა, მაგრამ ზედმეტად მოინდომა და მოედანი 35-ე წუთზე ხუთი ფოლის გამო დატოვა.

ვოვამ მანამდე 27 წუთი ითამაშა, 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ბოლო ორ მატჩში „ზადარის“ წინამძღოლი სწორედ ვოვა იყო. ბოლო წუთებზე ხორვატებს მის გარეშე ძალიან გაუჭირდათ და „ოლიმპიასთან“ 77:84 დათმეს.

## შერმადინი თასის ფინალში

**გიორგი შერმადინის** „პანათინაიკოსი“ საბერძნეთის ჩემპიონატში „ლარისას“ და „მარუსის“ იოლად უსწორდება და რა გასაკვირია, თუ თასის ნახევარფინალში „ირაკლისსაც“ აჯობებდა – „მწვანეებმა“ სტუმრად 80:64 გაიმარჯვეს.

ქართველმა ცენტრმა 10 წუთი ითამაშა. მისი მონაგარი ასეთია: 2 ქულა (4-დან 1 ორქულიანი), 2 დაფარება 1 მოხსნა.

თასის ფინალში „პანათინაიკოსი“ „ოლიმპიაკოსს“ შეხვდება.

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# იტალიაში წარმატებისთვის მაქსიმუმი საკმარისი არ არის...

**მანუჩარ მარკოიშვილმა** კვირას „ფერარასთან“ 18 ქულა ჩააგდო. იმ მატჩის მიმოხილვა ასე დავასრულეთ: „კანტუ“ მომდევნო შეხვედრას 3 იანვარს გამართავს".

20 დეკემბრიდან 3 იანვრამდე ორი კვირაა. ლოგიკური იყო, რომ თუ მანუჩარს თუნდაც ერთკვირიან დასვენებას მისცემდნენ, იგი საქართველოში ჩამოსვლას დაეშურებოდა.

„ლოგიკა“ არც შემცდარა, მანუ თბილისს სამიოდე დღით ესტუმრა და ინტერვიუსთვისაც მოიცალა.



- იტალიაში თავისუფალი დრო რომ გამომიჩნდა, საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. კანტუში 26 დეკემბერს ვბრუნდები, რადგან გუნდთან ერთად მზადებას უნდა შევუდგეთ.

**- 2009 წელი მაჟორულ ნოტაზე დაასრულე, 18 ქულა ჩააგდე, თანაც გასვლითი მატჩი მოიგე.**

- საჭირო თამაში მოვიგეთ. ერთი ტურით ადრე, „ვირტუსთან“ არცთუ კარგად ვითამაშე და რეაბილიტაციისთვის „ფერარასთან“ ჩაგდებული 18 ქულა საჭირო იყო.

**- შენი თამაში როგორ შეაფასეს?**

- ნამდვილად არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობამ ან მწვრთნელმა როგორ შეაფასა, თუმცა, ჩემი აზრით, ბოლომდე ისე ვერ ვთამაშობ, როგორც შემიძლია. საკუთარი თავისგან მეტს ვითხოვ.

**- იქნებ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ხარ...**

- კონკრეტულ მიზეზს ვერ დავასახელებ. შეიძლება, ფორმის "აკრება" კიდევ მჭირდება, შეიძლება, არის ფსიქოლოგიური ფაქტორიც, თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს გარეშე ფაქტორები, მას სურს, კალათბურთელისგან კარგი თამაში იხილოს. მეც ყოველთვის ვცდილობ, ქომაგი არ გავანწბილო.

**- 2009 წელი მეოთხე ადგილზე დაასრულეთ...**

- შვიდი მოგება და სამი წაგება გვაქვს. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა, 19 თამაშია დარჩენილი და წინასწარ პლეი ოფზე ლაპარაკი ნაადრევია. სიტუაცია შეიძლება ყოველ კვირას რადიკალურად შეიცვალოს, რადგან იტალიაში ბევრი თანაბარი გუნდია. ჩვენი მიზანი თამაშიდან თამაშამდე ზრდაა. თუ თანდათან კიდევ მოვუმატებთ, შედეგიც გვექნება. ოღონდ აქ შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მაქსიმუმს კი არა, მასზე მეტს გაიღებ.

**- ნაკრებზეც, ალბათ, იმავეს თქმა შეიძლება...**

- A დივიზიონში სუსტი მეტოქე არ იქნება. წამიერად მოდუნებასაც არავინ გვაპატიებს...

**- რადგან ხუთგუნდიანი ჯგუფები იქნება, 8 მატჩის ჩატარება მოგვიწევს. ეს ყველაფერი 2 აგვისტოდან 28-მდე უნდა მოვასწროთ. როგორ ფიქრობ, რამდენად იოლი იქნება ასეთი რიტმისთვის ფეხის აწყობა?**

- მთავარი არა მატჩების რაოდენობა, არამედ გუნდის მომზადებაა. თუ აგვისტოს შესაბამის კონდიციებში შევხვდებით, წარმატების შანსიც გვექნება. თუ გადაღლაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ნაკრების მსგავსად, სხვებიც 8 მატჩს ატარებენ და მათაც უწევთ აქეთ-იქით ხშირი ფრენა.

**- რამდენად რეალურად გეჩვენება პირველივე წელს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება?**

- ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ჯერ წილისყრაც არ ყოფილა. დაველოდოთ 16 იანვარს. თუმცა, მაინც მინდა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. კალათბურთელი ვარ და შესარჩევ ტურნირში იმისთვის არ ვთამაშობ, რომ ლიგაში ადგილი შევინარჩუნო. კალათბურთელის ოცნება ევროპის ჩემპიონატზე თამაშია და ამისთვის ძალებს არ დავზოგავ.

**- ცხადია, მოთამაშეებთან ერთად ქომაგებიც ევროპაზე ოცნებობენ...**

- ნორმალურმა გუნდმა ყოველ ტურნირზე მიზნად მაქსიმუმის მიღწევა უნდა დაისახოს. ქართველები ამაყი ხალხი ვართ და ვამბობთ, რომ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე თამაშს იმსახურებს. ამიტომ ნაკრების იქ მოხვედრა ქართველებისთვის შეიძლება სასიხარულო, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავი იყოს. ევროპელთა თვალით თუ შევხედავთ, ეს ხმაურიანი, გასაოცარი მოვლენა იქნება. ჩვენ ხომ წლეულს გამოვჩნდით A დივიზიონში...

ქართველი NBA-ში

# ქორები კანიონში ჩაიჩეხნენ



ატლანტელი „ქორები“ სამხრეთ-დასავლეთის ქარს გაჰყვნენ და მინეაპოლისიდან დენვერისკენ დაეშვნენ... კოლორადოს დიდ კანიონში მათ ფრთები წაიმტვრიეს - „დენვერთან“ 104:124 დამარცხდნენ.

**ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ გუნდს **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტასთან“ მატჩამდე 19 მოგება ჰქონდა, „ქორებს“ კი – 20. მასპინძლებმა აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ „ჰოქს“ თავიდანვე გაასწრეს, პირველი პერიოდი 10 ქულის სხვაობით მოუგეს (34:24). ამის შემდეგ სტუმრებმა სხვაობის თუნდაც მინიმუმამდე შემცირება ვერ მოახერხეს, მეოთხე თორმეტწუთეული სულაც 10-ქულიანი სხვაობით დათმეს და 104:124 დამარცხდნენ.

ზაზა ფაჩულია მატჩის საკვანძო ეპიზოდებში მოედანზე იყო, მან მეოთხე პერიოდიც დაიწყო, მაგრამ დენვერელი **ჯეი არ სმიტის** *(იხ. სურათი)* შეჩერება ვერც მან მოახერხა. სმიტმა მასპინძელთა გამარჯვებაში 41-ქულიანი წვლილი შეიტანა.

ატლანტელი „ქორები“ მომდევნო მატჩს 26 დეკემბერს ინდიანაში ჩაატარებენ. ამას მოჰყვება ორი პრინციპული შეხვედრა, ორივე „კლივლენდთან“ 29 და 30 დეკემბერს, შინ და გარეთ.

| დენვერი–ატლანტა | 124:104 |
|---|---|
| ფაჩულია: 14 წთ, 5 ქ, 4 მ, 1 პ, 2 ფ | |
| **I პერიოდი** | |
| 02:48 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 01:22 | ორქულიანი: 2ქ (21:30) |
| 01:22 | საჯარიმო: 1ქ (22:30) |
| 00:28 | ფოლი: 1 |
| 00:25 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:15 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 03:55 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 01:43 | პასი: 1 (ბიბი 2ქ, 76:88) |
| 01:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:05 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 09:14 | ჩატენა: 5ქ (87:98) |
| 08:46 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 07:49 | ფოლი: 2 |
| 07:49 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |

## საჩუქრები ზაზასგან

ზაზა ფაჩულიამ ატლანტელ ბავშვებს საშობაოდ საჩუქრები ჩამოურიგა. ქართველი ცენტრი პატარებს სათამაშოების დიდ მაღაზიაში შეუძღვა და ვინც რას დაადო ხელი, გული არავის დასწყვიტა.

ფაჩულიას მაღაზიაში „ატლანტა ჰოქსის“ ტელეოპერატორიც შეჰყვა. აი, რა თქვა ზაზამ ვიდეოკამერის წინ:

*- შობა ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულია. ისინი სათამაშოებს ელიან და ვეცადე, მათი სურვილები ამესრულებინა. ძალიან მსიამოვნებს, როცა ბავშვების მომღიმარ და გახარებულ სახეებს ვხედავ.*






ინტერვიუ ლევან მიქაბერიძესთან

# ცვლილებებია!

**გასულ კვირას საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ შსს-ს მწვრთნელი შეიცვალა. კახა შენგელიას ნაცვლად სეზონის დარჩენილ ნაწილში გუნდს დათო ბერიშვილი გაუძღვება.**

**ამ და სხვა სიახლეებთან დაკავშირებით გუნდის უფროსსა და კაპიტანს, ლევან მიქაბერიძეს ვესაუბრეთ.**

- ამ დღეებში გუნდში მწვრთნელი შეიცვალა. კახა შენგელია შსს-ს გარდა ბავშვთა გუნდებსაც წვრთნიდა. იგი პროფესიონალია და გადაწყვიტა, ძალები მთლიანად ბავშვთა კალათბურთისთვის მოეხმარებინა, რაშიც ხელი არ შევუშალეთ. მან გუნდში დიდი სამუშაო გასწია, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო. კახას გვერდით თამაში ჩემთვის დიდი პატივი იყო.

**- ახლა ახალ მწვრთნელზე ვთქვათ...**

- დათო ბერიშვილი კახა შენგელიას ასისტენტი იყო. მან კახასთან ერთად დაიწყო გუნდის შენება და ვიმედოვნებ, რომ ბოლოს შედეგი აუცილებლად გვექნება. დათოს კარგი ხედვა აქვს და ვფიქრობ, ქართულ კალათბურთში მწვრთნელის რანგშიც იტყვის თავის სიტყვას. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბერიშვილს ბავშვთა გუნდებთან მუშაობის გამოცდილებაც აქვს.

**- ამ სეზონში რა შედეგის მიღწევას ისახავთ მიზნად?**

- სადღეისოდ გუნდმა შესაძლებლობების 45 პროცენტი გამოავლინა. რესურსის სრულად ამოქმედების შემთხვევაში უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ვაპირებთ ქორქია-საკანდელიძის მემორიალის, საქართველოს თასის და სუპერლიგის ფინალებში თამაშს...

**- ახალი წლიდან ტრავმამოშუშებული გიორგი მარკოიშვილიც დაგემატებათ...**

- გიორგი დიდი ძალაა. მისი დამატების შემდეგ გუნდის გადაწყობა დაგვჭირდება, თუმცა მიმაჩნია, რომ მარკოიშვილთან ერთად გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება და ამიტომაც მაქვს წარმატების იმედი. ჩვენ უკან მდგომი ქომაგის გაწბილების უფლება არ გვაქვს.

**- ყველა გუნდის წარმომადგენელს ვეკითხები: ზამთარში ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- განაცხადი ბოლომდე გვაქვს შევსებული და სეზონის ბოლომდე იმ შემადგენლობით ვითამაშებთ, რითაც დავიწყეთ. ყველას ნდობას ვუცხადებთ.

**- ბოლოს „ბათუმთან“ დაპირისპირებაზე გკითხავთ...**

- ჩვენთვის ბათუმში გასამართავ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს და პირველი წრის ბოლოს გამარჯვება ორივეს ძალიან სჭირდება. აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და დამდეგი ახალი წელი მივულოცო საქართველოს, მშვიდობა და ბედნიერება ვუსურვო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# იაში საბოლოოდ ბრუნდება?


მარცხნიდან: შარლ-ედუარდი, გრეგი და დიმიტრი იაშვილები

ქართული წარმოშობის ფრანგი მორაგბე **დიმიტრი იაშვილი** ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დააბრუნეს. საქვეყნოდ ცნობილი სარაგბო ოჯახის ყველაზე სახელოვანმა წარმომადგენელმა გასულ უქმეებზე „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში, სტუმრად უელსურ „ჰლანეჰლისთან" 23 ქულა დააგროვა (ორი ლელო, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო). მისმა „ბიარიცმა" კი მეტოქე 26:8 დაამარცხა.

საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერმა **ჟულიენ დიუპიუმ** სერიოზული ტრავმა მიიღო და 2010 წლის ექვსი ერის გათამაშებაში გუნდს ვერაფრით დაეხმარება. ნაკრების მწვრთნელებმა მზერა ბასკეთისკენ მიმართეს, სადაც ბიარიცელი „იაში" სასწაულებს სჩადის.

დიმიტრის ეროვნულ ნაკრებში წელიწადზე მეტია, არ უთამაშია. მიმდინარე სეზონიც მძიმედ დაიწყო, რაც აისახა კიდეც მისი გუნდის შედეგზე. „ბიარიცი", რომელიც ბოლო წლებში მუდმივად ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი იყო, 15 ტურის შემდეგ 33 ქულით მე-8 ადგილზეა.

„ის ყოველთვის გამარჯვებაზეა დაგეშილი. როცა ბურთი მას აქვს, ჩვენი თამაში სულ სხვა ელფერს იძენს, უფრო ხალასი, ცოცხალი ხდება. მის პატარა, გენიალურ სვლებს წარმატებისკენ მივყავართ. ეს ბიჭი ჩვენ ძალიან გვჭირდება," - თქვა „იაშის" თანაგუნდელმა **ჟერომ ტიონმა.**

ბოლო ხანებში დიმიტრის თამაში მართლაც შეინიშნებოდა გარკვეული რეგრესი, თუმცა ნელ-ნელა ის ჩვეულ ფორმას იბრუნებს. საგრძნობლად გამოასწორა ფეხით თამაში და კარში დარტყმებისას ისევ ძველებურად პროდუქტიულია.

„ეროვნულ ნაკრებში ისევ მიხმეს. არ მინდა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდეს, რომ დიუპიუ დაშავდა. მინდა, ეროვნული გუნდის რიგებში თამაშს ნამდვილად ვიმსახურებდე. ამისთვის კი კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო, გამოსასწორებელი.

მართალი გითხრათ, ეროვნულ ნაკრებზე ახლა არც ვფიქრობ. მთლიანად კლუბში თამაშზე ვარ გადართული. ექვსი ერის გათამაშება ორი თვის შემდეგ იწყება, იქამდე ჯერაც საკმაო დროა", - შეიძლება ითქვას, ზედმეტ თავმდაბლობას იჩენს „იაში"

ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად იაშვილი ბრწყინვალე ფორმაშია. ყველას კარგად ახსოვს, როგორ „ჯალათად" მოევლინა ის ინგლისის ნაკრებს ორიოდ წლის წინ. „იაშიმ" ფაქტობრივად მარტომ დაამარცხა მსოფლიო თასის მფლობელები.

ეს ყოველივე იმიტომ მოხდა, რომ დიმიტრი კლუბში ბრწყინავდა. მისთვის ახლაც „ბიარიცის" თამაშს, შედეგებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მთავარია, კარგ სპორტულ ფორმაში იყოს. როგორც წესი, როცა „იაში" ბრწყინავს, „ბიარიცი" და ეროვნული ნაკრები აუცილებლად იმარჯვებენ.

წარსულში ცნობილი ფრანგი მორაგბის **მიშელ იაშვილის** შუათანა შვილის გარდა დიდი რაგბის თამაშს უმცროსი **შარლ-ედუარდიც** ცდილობს. ძმისგან განსხვავებით მეგზავია და „ბიარიცის" ძირითად გუნდში სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა. შარლ-ედუარდს, ისევე, როგორც დიმიტრის, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია. ახლახან, ჩვენს ეროვნულ ნაკრებშიც იხმეს ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჩერჩილის თასზე" საასპარეზოდ, თუმცა მისი დებიუტი ბორჯღალოსანთა რიგებში, ცოტა არ იყოს, გაუგებარი მიზეზების გამო არ შედგა.

შარლ-ედუარდს, როგორც ჩანს, არც „ბიარიცში" მისდის საქმე საარაკოდ. საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში 15 ტური მიილია, მას კი კლუბის კვართი ერთხელაც არ მოურგია.

დაღმართს დაუყვა იაშვილების დინასტიის მესამე წარმომადგენლის, უფროსი ძმის, საქართველოს ნაკრების ყოფილი მესამეხაზელის **გრეგუარ იაშვილის** კარიერა. ბოლო დრომდე გრეგი ელიტური, მეორე დივიზიონის „ბორდოს" ღირსებას იცავდა, ამჟამად კი ფედერალ 1-ის „ორტეზში" თამაშობს და აღარც ნაკრებში იწვევენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კოლეგა

# ეკა ელოშვილის რეალური ფოტოფანტაზია

გახსნას ვერ დავესწარი, მეორე დღეს კი გალერეა „ჰობის" კარი პირველმა შევაღე და გულდასმით დავათვალიერე გაზეთ „მსოფლიო სპორტის" ნიჭიერი ჟურნალისტის **ეკა ელოშვილის** პერსონალური ფოტოგამოფენა, რომელიც დამაფიქრებლად გვახედებს სპორტის სამყაროში. დამაფიქრებლად იმიტომ, რომ რეალობად ქცეულ ფანტაზიას გვაზიარებს, თანაც მრავალფეროვნებით ამდიდრებს წარმოდგენას სპორტის ფენომენზე.

გამოფენის გახსნისას ეკას ერთგვარად მობოდიშებით უთქვამს: ჯერ მხოლოდ სამი წელია, რაც სპორტულ სამყაროში ვტრიალებო... სამაგიეროდ, ამ სტრიქონების ავტორი ათეულობით წელია სპორტის სამყაროში ტრიალებს და თამამად აცხადებს, რომ ასეთი შთამბეჭდავი თემატური გამოფენა არასდროს უხილავს. კი, გვინახავს „სპორტული ქორეოგრაფია" (გამოფენის სახელია), ფოტოებში, მაგრამ ამდენი, ერთად თავმოყრილი — არა.

ფოტოში თუ ხელოვნის ინტელექტი არ ჩანს, ვერც ერთი კადრი ხელოვნების დონემდე ვერ ამაღლდება. ეკა ელოშვილის ყველა ფოტო უდავოდაა წილნაყარი ხელოვნებასთან და თამამად იმკვიდრებს ადგილს იმ რჩეულ ნამუშევართა გვერდით, რაც საქართველოს ფოტოხელოვანთა თაობებს შეუქმნიათ.

მახვილი თვალი და გემოვნება - თავისთავად, მაგრამ იმდენ ფოტოს მოუყარო თავი, ორიგინალურად დაკონკრეტებული თემატური გამოფენისთვის საკმარისი რომ გამოდგეს, ხუმრობა საქმე არ არის.

კარგი ფოტო სპორტის პროპაგანდის კარგი საშუალებაა, მხატვრული თუა — განსაკუთრებით.

საქართველოში არ გვყავდა ქალბატონი ფოტოხელოვანი. ეკამ დროულად შეავსო ეს სიცარიელე. არადა, როგორ მოუხდა პირველობაც და შემოქმედებაც. მიმდევრებიც გამოუჩნდნენ — უკვე ბევრ გოგონას უჭირავს ფოტოაპარატი ხელში. ეს გამოფენა უფრო ბევრს გაიყოლებს.


გია გალდავა აჯილდოებს ეკა ელოშვილს
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მოკლედ, ეკა ელოშვილის გამოფენა ნამდვილად მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. დაფასება-შეფასების პირველი დიპლომიც გაჩნდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სახელით, რომელიც ჟურნალისტს თავმჯდომარის მოადგილემ **გია გალდავამ** გადასცა.

**თენგიზ თომაშვილი**

ძიუდო

ინტერვიუ გია თენაძესთან

# გაცილებით დიდი სიმაღლეებისთვის ვიბრძვით



« მე-11 გვერდიდან

- ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მაშინ ძიუდოც აზარალა. დარბაზებში სავარჯიშო პირობები აუტანელი იყო. ოჯახის წევრების ტრაგედიამ ბატონი გურამ პაპიტაშვილიც ერთხანს მოსწყვიტა საქმეს, თავისი გაჭირვება ჰქონდა გივი ზაუტაშვილსაც. მხოლოდ ქართლოს პავლიაშვილი მუშაობდა სასპორტო სკოლის დარბაზში. 2002 წელს გადავწყვიტე, გორში ძიუდოს განვითარებაზე თავადაც მეზრუნა. ჩემს ძმასთან ერთად გავხსენი ძიუდოს დარბაზი, სადაც თავიდანვე მრავლად მოვიდნენ მოსწავლეები. ცოტა ხანში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს ახალ დარბაზში გადავედით. აგერ უკვე შვიდი წელია, საქმეს შეჭიდებულები ეტაპობრივად ვიმკიდით შედეგს ჯერ უმცროს ასაკში, ახლა კი დიდებშიც წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა აღზრდილებმა. ყველაფერი ისე მიდის, როგორც ვფიქრობდით და მალე გორელი ფალავნების გაცილებით დიდი წარმატებების მომსწრენიც გავხდებით.

**- თქვენს დარბაზში გამოცდილი და ახალგაზრდა მწვრთნელების საინტერესო სინთეზიცაა.**

- ანზორ თენაძე და ნიკო ბიბილაშვილი ახალგაზრდა სპეციალისტები არიან და ძალიან ნაყოფიერად მუშაობენ. ცხადია, წარმატებებში უდიდესი როლი მიუძღვით გ. პაპიტაშვილს და გ. ზაუტაშვილს. ტატამზე, უშუალოდ წვრთნის პროცესშიც რომ არც იყვნენ ჩართულნი, მათი მითითებები და შენიშვნები მუდამ ძალიან ფასეულია. ვარჯიშზე თავადაც ყოველთვის აქტიურად ვარ ჩართული. ბუნებრივია, საქმე ყველას აქვს განაწილებული. ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების ვარჯიშები ნაწილობრივ სახალისო ელემენტებითაა გაჯერებული. ბავშვებთან დასაწყისშივე მკაცრად მოპყრობა გამართლებულად არ მიგვაჩნია, თუმცა მერე, რა თქმა უნდა, ეს უკვე მნიშვნელოვან კომპონენტად იქცევა. აუცილებლად მიგვაჩნია სპორტსმენებთან თანაბარი მიდგომა. ბევრგან მინახავს, რომ პერსპექტიულად მიჩნეული ერთ რომელიმე ფალავანს განსაკუთრებული მონდომებით წვრთნიან, რაც არასწორია. ზომაზე მეტი ყურადღებით და ვარჯიშებით, გამორიცხული არაა, ძიუდოისტი გამოიფიტოს და დიდებში ველარც აჩვენოს შთამბეჭდავი შედეგი. აქვე აღვნიშნავ, რომ სპორტსმენში მე გაცილებით დიდ უპირატესობას ვანიჭებ შრომის უნარს. თვითნაბადი ტალანტიც რომ არ იყოს, დიდი შრომით და მონდომებით სპორტსმენი ყოველთვის სხვაზე მეტს აღწევს.

**- წლევანდელი პირველი სერიოზული მონაგარი საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გქონდათ, სადაც გორის ბაზაზე დაკომპლექტებულმა შიდა ქართლის გუნდმა პირველობა მოიპოვა.**

- ზემოთ დიდებზე ვსაუბრობდით და სხვათა შორის, ახალგაზრდებში გუნდურ გამარჯვებასაც არანაკლებ ხანს ელოდა გორი. იმ ჩემპიონატის გორელმა ფავორიტებმა საერთაშორისო არენაზეც არ შეირცხვინეს თავი. კარგად იასპარეზეს მათ ქუთაისში გამართულ ქვეყნის პირველობაზე. მოგეხსენებათ, 73 კგ-ში სამივე საპრიზო ადგილზე გორელები გავიდნენ და იმდენად დიდი იყო ამ წონაში კონკურენცია, რომ ერთი თვის წინ ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი მათივე თანაქალაქელი ზვიად ბაზანდარაშვილი კვარცხლბეკს მიღმა დარჩა.

**- თქვენ, როგორც ქალთა გუნდის მთავარ მწვრთნელს, უშუალოდ მოგიწიათ ჩვენი ჭაბუკი და ახალგაზრდული ნაკრებების საერთაშორისო არენაზე ასპარეზობების ხილვამ...**

- ბრინჯაოს მედალი ერგო ჭაბუკთა კონტინენტის პირველობაზე ირაკლი ლომიძეს (66 კგ). ეს ფალავანი როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერია. ახალგაზრდებს შორის ევროპულ არენაზე მესამე ადგილი ერგო ნუგზარ ტატალაშვილსაც (73 კგ). საინტერესოა, რომ მას საქართველოს ჩემპიონატი არ მოუგია, მაგრამ მწვრთნელებმა სამივე საპრიზო ადგილის მფლობელს საერთაშორისო ტურნირებზე მისცეს შანსი, სადაც სხვებზე უკეთ სწორედ ტატალაშვილი გამოვიდა და ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის შანსიც წარმატებით გამოიყენა.

**- ცალკე თემაა პაატა მერებაშვილის წლევანდელი წარმატება, ორჯერ ევროპის ჩემპიონობის მომპოვებელი, როგორ ფიქრობთ, მსოფლიოზე რატომ დარჩა კვარცხლბეკს მიღმა?**

- პაატა, ქართლოს პავლიაშვილის შეგირდია და ეს არაა მისი პირველი წარმატება. წლეულს კონტინენტის 21 და 23-წლამდელთა შორის ოქროს მედლები მან ნამდვილად დამსახურებულად მოიგო. თუნდაც პირველი შეჯიბრების გახსენება რად ღირს, როდესაც ყველა შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დაასრულა. სამწუხაროდ, ერთადერთი, პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე ველარ შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა.

**- ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა წლის დასაწყისში მძიმე წონაში მოასპარეზე უტა კოკაურის გამარჯვებას საქართველოს ჩემპიონატში...**

- კოკაური ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, ნამდვილი ტალანტია და ამას ყველა აღნიშნავს. მისი კარგი ჭიდაობის გამო ერთგვარი აჟიოტაჟი მოსალოდნელიც იყო, მაგრამ მისი ტალანტის გამოყენებას მწვრთნელები ნაადრევად შეუდგნენ. უტა, ხანჯალიაშვილთან და გუჯეჯიანთან პაექრობისათვის, ცხადია, არ იყო მზად. ვფიქრობ, გადამეტებულმა ქებამაც თავბრუ დაახვია ამ ჭაბუკს. მე ახლა მივეცი მითითება, რომ 2010 წელს უფროსთა არც ერთ ჩემპიონატზე არ იჭიდაოს. სპორტული თვალსაზრისით მისი ნაჩქარევად გაზრდა არას გვარგებს.

**- ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებთათვის ტრადიციად იქცა გორში შეკრებების გამართვა, რითაც, როგორც ნაკრების თავკაცებს, გორელ მწვრთნელებსაც კმაყოფილება ხშირად გამოუხატავთ...**

- გორში შეკრების მოწყობა ფინანსურადაც სახეიროა. იმავე დაფინანებით, რაც მათ სხვაგან, წონით კატეგორიაში ორი მოჭიდავის წაყვანის საშუალებას მისცემდა, გორში საშუალება ეძლევათ ოთხი მოჭიდავით ჩამოვიდნენ და, რაც მთავარია, აქ ნაკრების ფალავნებს ე.წ. დამტვირთავებიც მრავლად ჰყავთ. გორელებისთვის კი მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეროვნული გუნდის ძიუდოისტებთან პაექრობა ზედმიწევნით სასარგებლოა.

**- გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში უცხოეთის ნაკრებები და კლუბებიც ხშირად ჩამოდიან გორში შეკრებაზე...**

- ჩვენი ქალაქის ძველი თაობის ძიუდოსიტთა მიღწევები მსოფლიოში ცნობილია, იციან არცთუ სუსტი ახლანდელი თაობის შესახებაც და ერთობლივი ვარჯიშებისთვისაც ამიტომ ჩამოდიან ჩვენთან ისრაელის, უკრაინის, თურქეთის, საბერძნეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის ძიუდოისტთა გუნდები. ცხადია, ეს ჩვენი ფალავნებისთვისაც სასარგებლოა.

**- უცხოელებს ერთი წლის წინანდელი ომიც არ აფერხებთ?**

- ომის დროს კიეველები იყვნენ გორში და დაბომბვისას ჩემი სახლის სარდაფს შევაფარეთ თავი. მიუხედავად ამისა, გაისად მათთან ერთად ოდესის კლუბსაც უნდა გორში ჩამოსვლა!

**- 2009 წელს ტურნირების სიმრავლეც აშკარა იყო თქვენს დარბაზში.**

- ესენი ძირითადად გარდაცვლილ ფალავანთა ხსოვნის ტურნირებია. სხვანაირად აბა როგორღა შეგვიძლია მათ პატივი მივაგოთ?! ტურნირებში ჩვენი ქვეყნის არაერთი ქალაქის წარმომადგენლები იკრიბებიან. ამ შემოდგომაზე, მაგალითად, კობა კურტანიძის სახელობის ტურნირი საერთაშორისო იყო. აზერბაიჯანის და სომხეთის ჭაბუკები გვეწვივნენ.

**- გორელებს საკმაოდ წარმატებული წელი ჰქონდათ ქართულ ჭიდაობაშიც.**

- 2007 წელს პრეზიდენტის თასი მოვიგეთ. გუნდური შედეგებით რამდენჯერმე წინ არავინ გავუშვით შარშანდელ და წლევანდელ შეჯიბრებებზეც. პოზიციების დათმობას არც გაისად ვაპირებთ. შიდა ქართლში რამდენიმე სოფელში მოვაწყვეთ საჭიდაო არენები და გავმართეთ შეჯიბრებები.

**- საბოლოოდ, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც აქაური ძიუდოისტები დედაქალაქში გადადიოდნენ უკეთესი პირობების და წარმატების მოსაპოვებლად?**

- საბედნიეროდ, ნამდვილად დამთავრდა ეს დრო! მართალია ახლაცაა შემთხვევები, როდესაც რომელიმე სპორტსმენი თბილისში აგრძელებს ვარჯიშს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ მთლიანად მისი ოჯახი გადადის საცხოვრებლად დედაქალაქში, ან თბილისში აგრძელებს სწავლას და შესაბამისად, იქვე უჯობს ვარჯიშიც. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა სასიკეთო როლი შეასრულა ჩვენს წინსვლაში. სასიამოვნოა კეთილმოწყობილ დარბაზში ვარჯიში, თანაც არცთუ მცირე ხარჯებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი გვიხდის.

**- გვინდა ძიუდოისტ ქალთა ნაკრებზეც გკითხოთ. როდის უნდა ველოდეთ მათგან წარმატებებს?**

- საქართველოში ქალთა ძიუდო 90-იან წლებში კი არსებობდა, მაგრამ შემდეგ საერთოდ შეწყდა მუშაობა. ოთხი წელია დაიწყო მისი აღორძინება და ამ დროში სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკი შეუძლებელია. პატარები რომ უფროს თაობასთან ერთად შესდგომოდნენ დაოსტატებას, ცოტა ადრე მიაღწევდნენ წარმატებებს. სავარაუდოდ, მომავალი წლიდან პირველი ნაბიჯები ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების კვარცხლბეკისკენ სავალ გზაზე უკვე გადაიდგმება...

**ვასილ ბალახაძე**

კრივი



# პაკიაო დოპინგტესტს დათანხმდა, მაგრამ...

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ ჩაშლის პირას არის მისული „2010 წლის ბრძოლად" მონათლული შეხვედრა ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** შორის. საკამათო გახდა პაკიაოს პოზიცია ბრძოლის წინ დოპინგტესტის გავლის თაობაზე. აზიელი მოკრივე არ თანხმდება უშუალოდ ბრძოლის წინ სისხლის ჩაბარებას, არადა, ამას ითხოვს ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტო.

მოგვიანებით, ფილიპინელი მოკრივის მხარემ ოდნავ შეარბილა პოზიცია და ანალიზის ჩატარებას დათანხმდა, თუმცა რამდენიმე საკუთარი პირობაც წამოაყენა.

*„ჩვენ თანახმა ვართ გავიაროთ დოპინგკონტროლი, რომელსაც მეივეზერი ითხოვს, მაგრამ ანალიზების ჩაბარების საკუთარ პირობებს ვაყენებთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რათა მენი უკეთესად მოემზადოს ბრძოლისთვის. პაკიაო მზად არის, ნებისმიერ მომენტში ჩააბაროს შარდის ანალიზი, სისხლს კი მხოლოდ სამჯერ ჩააბარებს: პირველად იანვარში, როცა ოფიციალურად გამოცხადდება ბრძოლის ჩატარების თაობაზე, მეორედ - არა უგვიანეს 13 თებერვლისა და მესამედ გასახდელში ბრძოლის დამთავრებისთანავე. იმის გამო, რომ სისხლის ჩაბარების ეს გრაფიკი არ ემთხვევა ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს გრაფიკს, ჩვენ მზად ვართ მოვიწვიოთ ნებისმიერი დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც თანამშრომლობს კალათბურთის ეროვნულ ასოციაციასთან და ფეხბურთის ეროვნულ ლიგასთან. ხოლო ანტისადოპინგო სააგენტოს ექიმები დათქმულ დროში მიიღებენ პაკიაოს ანალიზებს და ნებისმიერი ხერხით შეამოწმებენ მას"*, - ამბობს ფილიპინელი მოკრივის პრომოუტერი **ბობ არუმი**.

ცნობილი მენეჯერი ამბობს, რომ მეივეზერის წარმომადგენლები მუდმივად ახალ მოთხოვნებს აყენებენ ანალიზების ჩაბარებასთან დაკავშირებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკელის გუნდს რინგზე გასვლა არ სურს: *„კმარა სისულელეების ლაპარაკი დოპინგის შემოწმების ოლიმპიური წესის შესახებ. ნევადას შტატის კომისიას დოპინგზე შემოწმების საკუთარი პროცედურები გააჩნია, მეივეზერმა კი დამატებით ანალიზებთან დაკავშირებით ეს სისულელე იმისთვის მოიგონა, რომ ბრძოლა აიცილოს თავიდან...*

*თავიდან ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ მენი შარდის ანალიზს ჩააბარებდა იქამდე, სანამ საერთოდ არ დაკარგავდა მოშარდის უნარს. ის მზად არის შარდი გაილოს ყოველთვის, როცა ამას მოსთხოვენ. მაგრამ მეივეზერს არაფერი არ აწყობს, იმიტომ, რომ არ უნდა ამ ბრძოლის ჩატარება...*

*ფლოიდმა იცის, რომ მენის ფობია აქვს ნემსზე და ბრძოლის წინ სისხლის ჩაბარებაზე. მან იცის - პაკიაო ამაზე არ წავა, მაგრამ მაინც დაჟინებით ითხოვს შეხვედრის წინ სისხლის ჩაბარებას. არადა, ამ სფეროში ერთ-ერთი უმსხვილესი სპეციალისტი, რომელიც დაახლოებით რვაას ფეხბურთელთან მუშაობს, ამტკიცებს, რომ შარდის თანამედროვე ანალიზი უფრო ეფექტურია სტეროიდებისა და სხვა აკრძალული პრეპარატების გამოსავლენად, ვიდრე სისხლის ანალიზი. მეივეზერი კი ამ უმნიშვნელო პრობლემას აბუქებს და ამ გზით ცდილობს გადაურჩეს მომავალ ფიასკოს"*.

ველოსპორტი

# ფრანგები ასტანას საქმეს იძიებენ

საფრანგეთში ყაზახურ ველოსაჯინიბო „ასტანასთან" დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. წლევანდელი ტურ დე ფრანსის მსვლელობისას გუნდის ბანაკის ჩხრეკის დროს პოლიციამ სამედიცინო პრეპარატებს შორის სისხლის გადასხმის მოწყობილობა აღმოაჩინა, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. არადა, ასეთი მოწყობილობის ხმარებას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო კრძალავს.

გარდა ამისა, ყაზახური საჯინიბოს ექიმებს არტერიული წნევის დასაწევი პრეპარატები აღმოუჩინეს. ეს არ არის აკრძალული, მაგრამ ასეთ წამლებს, როგორც წესი, სისხლის გადასხმისა და აკრძალული პრეპარატის - ეპო-ს გამოყენების დასამალად ხმარობენ. ნაპოვნი სისხლის ანალიზმა შვიდი სხვადასხვა გენეტიკური პროფილი დააფიქსირა. მათი მფლობელების ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ დადგინდება, როცა ფრანგული გამოძიება ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირისგან საჭირო ინფორმაციას მიიღებს.

2009 წელს ტურ დე ფრანსზე პირველი და მესამე პრიზიორები - ესპანელი **ალბერტო კონდატორი** და ამერიკელი **ლენს არმსტრონგი** სწორედ „ასტანას" წევრები იყვნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი: NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბეილესმა სპურსიც მოინელა

რეგულარული ჩემპიონატის მორიგი დღის მიმოხილვას აუტსაიდერთა მატჩით დავიწყებთ - „ნიუ ჯერსი" საკუთარ მოედანზე „მინესოტას" იღებდა. იმის გამო, რომ ამ გუნდებს შორის კლასში სხვაობა არც ისე დიდია, შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და წარმატების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. სტუმრებმა ოდნავ უფრო აქტიურად დაიწყეს შეხვედრა და დებიუტში მინიმალური უპირატესობა მოიპოვეს. თავის მხრივ, „ნეტსი" ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩამორჩენა არ გაზრდილიყო. **იი იანლიანის** დაბრუნებით **კიკი ვანდევეგეს** შეგირდების თამაში უფრო მრავალფეროვანი გახდა, თუმცა **კურტ რემბისსაც** ჰქონდა ამ თამაშში თავისი კოზირები.

მასპინძლებს მესამე მეოთხედში მაინც გაექცათ „მგლები" და „ნიუ ჯერსის" დიდი ძალისხმევა დასჭირდა მატჩის ბოლოს სიტუაციის გამოსასწორებლად. **დევინ ჰარისისა** და **კორტნი ლის** მონდომებით „ნეტსი" მაქსიმალურად მიუახლოვდა „მგლებს". სტუმრებისთვის საბედნიეროდ, **ელ ჯეფერსონი** და **კორი ბრიუერი** ნერვებს გაუმკლავდნენ და ბოლო წამებზე გადამწყვეტი სროლები ზუსტად შეასრულეს.

საკმაოდ მოულოდნელად დასრულდა შეხვედრა სან-ანტონიოში. ვინ იფიქრებდა, რომ ორი ძირითადი ცენტრის გარეშე დარჩენილი „პორტლენდი" ტეხასიდან გამარჯვებას წაიღებდა. ბუნებრივია, **გრეგ პოპოვიჩი** ამ შეხვედრაში აქცენტს **ტიმ დანკანსა** და მთლიანად გუნდის წინა ხაზზე აკეთებდა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ დანკანი და პარტნიორები ვერ გაუმკლავდნენ ამოცანას. უბრალოდ, „პორტლენდის" შემადგენლობაში აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავისი ბრწყინვალე თამაშით ხაზი გადაუსვა „სპურსის" მონდომებას.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საქმე არ ეხება **ბრენდონ როის, ლამარკუს ოლდრიჯს** ან **ანდრე მილერს**. მასპინძლების „მკვლელის" როლი ორეგონელთა მესამე (!) გამთამაშებელმა **ჯერიდ ბეილესმა** ითამაშა! წინა კვირას ამ კალათბურთელმა მარტომ მოუგო „ფინიქსს", ამჯერად კი ბეილესმა „სპურსიც" მოინელა. 31 ქულა და ფენომენური თამაში მეოთხე მეოთხედში, რისი წყალობითაც მასპინძლების დაცვა დაცინვის ობიექტად იქცა, არადა საკუთარ მოედანზე „სან ანტონიოს" უკანა ხაზი, როგორც წესი, გაუვალია ხოლმე...

კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა ფინიქსში, სადაც „სანზს" „ოკლაჰომა" ეწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი მეტად შედეგიანი გამოვიდა. მხოლოდ ის იყო გასარკვევი, შემტევ თამაშში ვის უფრო გაუღიმებდა ბედი. უკვე მატჩის შუაში თამაში **ამარე სტაუდმაიერისა** და **კევინ დურანტის** პირად დუელად გადაიქცა, რადგან ორივეს ყველაფერი გამოსდიოდა მოედანზე.

საფინალო სირენამდე 36 წამით ადრე, როცა „ოკლაჰომა" წინ იყო - 113:111, სტუმართა ლიდერმა საშუალო მანძილიდან ტყორცნა ააცილა. მაგრამ სტაუდმაიერმა და კომპანიამ უმნიშვნელოვანესი მოხსნა წააგო **ჯეიმს ჰარდენთან**. ამ უკანასკნელმა ბურთი დურანტს დაუბრუნა. კევინმა ცოტა ხანი ატარა ბურთი და ორქულიანი ჩააგდო, რითაც „ფინიქსს" სეზონში მე-11 მარცხი გამოუწერა.

„საკრამენტომ" კინალამ გამოსტაცა გამარჯვება „კლივლენდს". მთელი მატჩის განმავლობაში „კავალიერსი" „მეფეების" სუნთქვას გრძნობდა. ბოლოს კი **ტარიკ ევანსის** ბრწყინვალე გარღვევით „საკრამენტომ" ანგარიში გაათანაბრა. ურთიერთობის გარკვევა ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც **პოლ უესტფალის** შეგირდები რატომღაც დაიბნნენ და ხუთ წუთში ერთი ქულაც ვერ აიღეს. რაც შეეხება მატჩის გმირს, ის უდავოდ **ლებრონ ჯეიმსი** გახლავთ, რომელმაც სამმაგი დუბლი გაიფორმა. ახლა რეგულარულ ჩემპიონატში ერთდღიანი საშობაო შესვენებაა, რასაც „ლეიკერსისა" და „კლივლენდის" დაპირისპირება მოჰყვება.



**ორლანდო-ჰიუსტონი 102:87**
34:22, 21:30, 23:13, 24:22
ო: კარტერი (18+5 მოხსნა), ნელსონი (15), ლუისი (15), ჰოვარდი (13+20 მოხსნა).
ჰ: ლენდრი (20), ბრუქსი (17), სკოლა (14+5 მოხსნა).

**დეტროიტი-ტორონტო 64:94**
21:25, 16:29, 14:20, 13:20
დ: ბინუმი (12), უილკოქსი (11+6 მოხსნა), ყერებკო (10+9 მოხსნა).
ტ: ბარნიანი (21), ჯეკი (14+5 მოხსნა+7 პასი), ბოში (12+9 მოხსნა).

**მაიამი-იუტა 80:70**
19:16, 13:14, 31:19, 17:21
მ: უეიდი (29 +7 მოხსნა+5 პასი), ჰასლემი (12+11 მოხსნა), რიჩარდსონი (11+7 მოხსნა).
ი: უილიამსი (18+6 მოხსნა), ბუზერი (14+8 მოხსნა), ოქური (9+5 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-მინესოტა 99:103**
23:27, 25:25, 26:24, 25:27
ნ-ჯ: ჰარისი (23+8 პასი), იანლიანი (22), ლი (20+6 მოხსნა).
მ: ჯეფერსონი (27+7 მოხსნა), ფინლი (22+5 პასი), ბრიუერი (17).

**მილუოკი-ვაშინგტონი 97:109**
27:37, 25:20, 23:24, 22:28
მ: რედი (32+6 მოხსნა), ბელი (14), ბოგუტი (12+9 მოხსნა).
ვ: ჯეიმისონი (25+10 მოხსნა), ბატლერი (25+10 მოხსნა), არენასი (18+9 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 108:102**
27:26, 31:30, 27:24, 23:22
ნ-ო: პოლი (20+5 მოხსნა+7 პასი), უესტი (14+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13).
გ-ს: ელისი (35+5 პასი), მაგეტი (22+10 მოხსნა), კარი (17+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-პორტლენდი 94:98**
24:28, 23:20, 22:27, 25:23
ს-ა: დანკანი (24+11 მოხსნა), ჯეფერსონი (18), პარკერი (16).
პ: ბეილესი (31+7 მოხსნა), ოლდრიჯი (22+8 მოხსნა), ჰოვარდი (12+12 მოხსნა).

**დენვერი-ატლანტა 124:104**
34:24, 29:27, 29:31, 32:22
დ: სმიტი (41), ენტონი (24+6 მოხსნა+7 პასი), ლოუსონი (16+6 მოხსნა+5 პასი).
ა: კროუფორდი (24), ჰორფორდი (18+11 მოხსნა), სმიტი (17+9 მოხსნა).

**ფინიქსი-ოკლაჰომა 113:117**
31:36, 33:30, 25:23, 24:28
ფ: სტაუდმაიერი (35+14 მოხსნა), ნეში (24+12 პასი), ფრაი (24+6 მოხსნა).
ო: დურანტი (38+6 მოხსნა), უესტბრუკი (19+8 მოხსნა+7 პასი), გრინი (17+9 მოხსნა).

**საკრამენ.-კლივლენ. 104:117 (ო)**
29:32, 24:25, 32:32, 19:15, 0:13
ს: ევანსი (28+5 პასი), ტომპსონი (18+9 მოხსნა), კასპი (18+6 მოხსნა).
კ: ჯეიმსი (34+16 მოხსნა+10 პასი), უილიამსი (27), ილგაუსკასი (25+8 მოხსნა).

ამბები

## გასოლის ახალი კონტრაქტი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელმა ცენტრმა **პაუ გასოლმა** 2014 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება კალიფორნიულ კლუბთან. შეგახსენებთ, რომ ესპანელის მიმდინარე კონტრაქტს 2011 წლის ზაფხულში ეწურება ვადა.

„ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ აქედანვე იზრუნა გასოლის შესანარჩუნებლად და ამისთვის 60 მილიონი დოლარი გაიმეტა.

ამ სეზონში პაუს სტატისტიკა 17 ქულასა და 12.6 მოხსნას შეადგენს.

## პირსი ორი კვირა არ იქნება

„ბოსტონ სელტიქსი" უახლოესი ორი კვირა თავისი ერთ-ერთი ლიდერის **პოლ პირსის** გარეშე ითამაშებს. ვეტერან ფორვარდს მარჯვენა მუხლში ინფექცია აღმოუჩინეს და სამკურნალოდ ოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო.

პირსმა აქამდე 27 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 18.2 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს „შარლოტ ბობკეტსის" ძირითადი ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი**. მან „დეტროიტ პისტონზთან" მოგებული მატჩის მეორე ტაიმში ფეხი დაიზიანა. სამედიცინო გამკვლევამ მოტეხილობა არ დააფიქსირა, მაგრამ ჩენდლერი გარკვეული ხანი უსაქმოდ იქნება.

■ ■ ■

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დებიუტისთვის ემზადება 2009 წლის დრაფტის პირველი ნომერი **ბლეიკ გრიფინი**.

როგორც რენტგენულმა გამოკვლევამ დაადგინა, გრიფინი მზად არის სრულფასოვანი ვარჯიშებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული მუხლის აღდგენითი პროცესი ჯერ ბოლომდე არ არის დასრულებული.

## ჯორჯ კარლს სამწლიანი შესთავაზეს

„დენვერ ნაგეტსის" ხელმძღვანელობამ ახალი სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა მთავარ მწვრთნელ **ჯორჯ კარლს**. თუმცა მხარეებს შორის ჯერ ბევრი დეტალია შესათანხმებელი და ცნობილი სპეციალისტი საბოლოო გადაწყვეტილებას წლის ბოლოს მიიღებს.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, კარლს მესამე წელი მუშაობა გარანტირებული არ აქვს. რაც შეეხება ფინანსურ პირობებს, ის თითქმის უცვლელი დარჩება.

ჯორჯ კარლის წარმომადგენელმა **ბრეტ ადამსმა** გამოაცხადა, რომ მხარეები ამ დღეებში შეეცდებიან ყველა საკამათო საკითხის მოგვარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# არ დალია და მოკლა

ცნობილი გახდა უკრაინელი ძიუდოისტის **ევგენი სოტნიკოვის** მიერ ჩადენილი მკვლელობის დეტალები. როგორც აღმოჩნდა, სპორტსმენმა ქალაქ ზაპოროჟიეს ერთ-ერთ ბარში 18 წლის ბიჭი იმის გამო გამოასალმა სიცოცხლეს, რომ ამ უკანასკნელმა ძიუდოისტთან ერთად ჭიქის აწევა არ მოისურვა.

*„კაფეში სოტნიკოვი თავის მეგობრებთან ერთად იჯდა, გვერდით მაგიდაზე კი სხვა ჯგუფი სადილობდა, რომელშიც მომავალი მსხვერპლი იყო. თავიდან სოტნიკოვი 16 წლის ბიჭს შეუჩნდა, რომელმაც უარი თქვა სპორტსმენთან ერთად დალევაზე. ის ბენზე გადაურჩა სიკვდილს, რადგან სოტნიკოვის პისტოლეტმა შემთხვევით არ გაისროლა. არ გაუმართლა ძიუდოისტის მეორე მეზობელს - 18 წლის ბიჭს. მანაც არ მოინდომა მეზობელ მაგიდასთან გადაჯდომა, რის შემდეგაც ძიუდოისტმა მსხვერპლს საფეთქელთან მიუტანა იარაღი და გაისროლა. ბიჭი ადგილზე დაიღუპა“*, - ამბობს უკრაინული მილიციის წარმომადგენელი.

მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ახლა მიმალვაშია. სხვათა შორის, მილიციელებმა მიიღეს ბრძანება - ძიუდოისტის აყვანის ოპერაციისას, მცირედი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათ იარაღის გამოყენების უფლება ექნებათ.

*„ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ სოტნიკოვმა იცის მილიციის პოზიცია: ჩვენ ვითხოვთ, რომ ის ჩაჰბარდეს სამართალდამცავ ორგანოებს. სხვა ვარიანტი არ არსებობს. ვითვალისწინებთ რა მის თავხედურ საქციელსა და არაადეკვატურ ფსიქიკურ მდგომარეობას, მილიციის თანამშრომლებმა მიიღეს ბრძანება - წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ადგილზე გაანადგურონ სპორტსმენი“*, - აცხადებენ უკრაინის პოლიციაში.



ფორმულა 1

# რენოს ახალი შეფი ჰყავს





ფორმულა 1-ში ორი საკითხი მოგვარდა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდათ სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს: **მიხაელ შუმახერი** დიდ სპორტში დაბრუნდა, ხოლო ფრანგულ საჯინიბო „რენოს“ ახალი ბოსი ჰყავს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ამ გუნდის ხელმძღვანელის პოსტს **ალენ პროსტს** ან **გერჰარდ ბერგერს** უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ფრანგი და ავსტრიელი ფორმულა 1-ის გუნდის ხელმძღვანელობის კოლოსალური გამოცდილების მიუხედავად, მხოლოდ პოტენციურ კანდიდატებად დარჩნენ. „რენოს“ მესაჭე კი **ერიკ ბულიე** გახდა, რომელსაც ფორმულა 1-ში არასოდეს უმუშავია, მაგრამ თავის დროზე GP2-ის სერიაში გუნდ DAMS-ს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი „A1 გრან-პრის“ სერიაში საფრანგეთის ეროვნული გუნდის ბოსი იყო. დღეისთვის ბულიე კომპანია Gravity Sports Management-ის დირექტორია, რომელიც ახალგაზრდა პილოტების კარიერის განვითარებით არის დაკავებული.

რაც შეეხება **ბობ ბელს**, რომელიც წელს ფორმულა 1-დან სკანდალურად გაგდებულ **ფლავიო ბრიატორეს** ცვლიდა, ის თავის ძველ ფუნქციებს დაუბრუნდება - ტექნიკური დირექტორის მოვალეობებს შეასრულებს.

როგორც BBC Sport წერს, ბელიე „რენოს“ ტექნიკურ პერსონალს გუნდის ახალმა მფლობელმა **ჯერარდ ლოპესმა** ჯერ კიდევ სამშაბათს წარუდგინა, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სხვადასხვა

ჩოგბურთი

## ნოვაკი საუკეთესო სერბია

მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გასულ წელს სერბეთის საუკეთესო წარმომადგენლად აღიარეს. ბელგრადში გაიმართა პრესტიჟული პრემიის („საუკეთესო სერბეთში“) რიგით მეექვსე ყოველწლიური დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. აქ 17 ნომინაციაში გამოვლინდა გამარჯვებული.

ეს პრემია ექვსი წლის წინ სერბეთის ვაჭრობის სამინისტრომ ჟურნალ „ეკონომიკურ მიმოხილვასთან“ ერთად დააწესა. უნდა აღინიშნოს, რომ ნოვაკი მესამედ გახდა ამ ჯილდოს ლაურეატი.

## უაილდ ქარდი ავსტრალიურ ტრიოს

„დიდი სლემის“ პირველი ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა სამ ჩოგბურთელს დაურიგეს ე. წ. უაილდ ქარდები (სპეციალური მოწვევა). ტურნირში მონაწილეობის უფლება ავსტრალიელმა მოთამაშეებმა მიიღეს.

გამოცდილი **ალისია მოლიკი** უაილდ ქარდის მოსაპოვებლად შესარჩევ ტურნირში იბრძოდა, მაგრამ მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ამ ჩოგბურთელს მაინც მისცეს მელბურნის კორტებზე გასვლის უფლება.

შესარჩევი ტურნირი **კეისი დელაკუამ** მოიგო, რომელმაც ფინალში 1:6, 7:6, 6:3 დაამარცხა **ოლივია როგოვსკა**. თუმცა ორგანიზატორებმა ეს უკანასკნელიც წაახალისეს და მასაც გამოუყვეს სპეციალური მიწვევა.

„მწვანე კონტინენტიდან“ ავსტრალიის ღია პირველობის კიდევ ერთი მონაწილე გახდა **ბერნარდ ტომიჩი**, რომელიც სხვათა შორის, ავსტრალიის ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულია იუნიორთა შორის.

## გასკეს უარი უთხრეს

ესპანელმა სპეციალისტმა **ხოსე პერლასმა** უარით გაისტუმრა ფრანგი **რიშარ გასკე**, რომელმაც ამ მწვრთნელს თანამშრომლობა შესთავაზა. კერძოდ, გასკეს სურდა პერლასი მისი პირადი მწვრთნელი გამხდარიყო. ხოსეს უარის მიზეზი სხვა ჩოგბურთელთან - ესპანელ **ნიკოლას ალმაგროსთან** თანამშრომლობა გახდა.

*„სამწუხაროდ, ამ მომენტში არ შემიძლია რიშარის გაწვრთნა. მიხარია, რომ მან მოიგო სასამართლო პროცესი და ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას გადაურჩა. მაგრამ ალმაგროსთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის გაუქმება შეუძლებელია“*, - განაცხადა პერლასმა.

ბიატლონი

## ნორვეგიამ ექვსი შეარჩია

ნორვეგიის მამაკაც ბიატლონისტთა ნაკრების ხელმძღვანელობამ იმ სპორტსმენების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ვანკუვერის თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. შემადგენლობაში ვერ მოხვდა სამი ოლიმპიადის მონაწილე **ფროდე ანდერსენი**.

ვანკუვერში მედლებისთვის ექვსი ნორვეგიელი მამაკაცი იბრძოლებს: **ლარს ბერგერი, ოლე ეინარ ბიორნდალენი, ტარიეი ბო, ჰალვარდ ჰანევოლდი, ალექსანდრ ოსი** და **ემილ ჰეგლე სვენსენი**. ეს სია ნორვეგიის ბიატლონისტთა კავშირის მიერ არის დამტკიცებული.

ჯერჯერობით უცნობია, რატომ ვერ მოხვდა ამ სიაში ანდერსენი. არადა, ნორვეგიის ნაკრებს შეეძლო ვანკუვერში შვიდი სპორტსმენი წაეყვანა, მაგრამ ექვსი ბიატლონისტით შემოიფარგლა.

მძლეოსნობა

## ამერიკელები მედლებისთვის იბრძვიან

როგორც უკვე ვწერდით, სკანდალურად ცნობილი ამერიკელი სპრინტერის **მერიონ ჯონსის** დოპინგ-სკანდალის გამო, 2002 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლები ჩამოერთვათ 4x100 და 4x400 მეტრზე ესტაფეტის მონაწილე სხვა ამერიკელ მძლეოსნებსაც. ახლა ისინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

მორბენლები აღშფოთებულები არიან ასეთი გადაწყვეტილებით და სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში ხელმეორედ შეაქვთ სარჩელი. ამერიკელები იმაზე მიუთითებენ, რომ ოლიმპიურ კომიტეტს შვიდი წლის გასვლის შემდეგ ესტაფეტის მონაწილეებისთვის დისკვალიფიკაციის მიცემის უფლება არ ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ წინასწარი გადაწყვეტილებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მძლეოსნების მოთხოვნა.

მაგრამ ამერიკელი მძლეოსნები დანებებას არ აპირებენ. მომავალ წელს საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის ხელახალი გარჩევაა დანიშნული, სადაც დამატებითი გარემოებები იქნება განხილული. პროცესი შეიძლება რამდენიმე თვე გაგრძელდეს, მაგრამ სპორტსმენები მზად არიან მედლების შენარჩუნებისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

ცხელი ხაზი

### 25 დეკემბერი. პარასკევი

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბაიერნი.
10:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-მანჩესტერ იუნ.
12:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
13:55 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:15 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.
18:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. აიაქსი-ანდერლეხტი.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
22:30 სპორტკლუბი.
00:05 სპორტის სამყარო.
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-რეალი.
02:38 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
04:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
06:40 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.

#### SPORT 2 (უკრაინა)

08:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-მაინცი.
09:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
11:45 სპორტული ცეკვები.
12:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა -ფილადელფია.
14:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
16:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბაზელი-ფულჰემი.
18:35 სპორტული სამყარო.
19:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ინტერი-რუბინი.
20:50 სპორტული სამყარო.
21:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ბარსელონა.
00:05 100% დინამო.
00:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ტულუზა-შახტარი.
02:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
04:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-მაინცი.
05:45 მძლეოსნობა. გრან-პრი. ბრიტანეთი.

#### EUROSPORT

11:35 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. სეზონის მიმოხილვა.
12:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:15 მულტისპორტი.
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ავსტრია.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
18:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ენგელბერგი. შვეიცარია.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული.
23:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შვეიცარია.
00:00 მულტისპორტი.
01:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. უნგრეთი.
02:00 ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ.
03:00 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
03:15 ექსტრემალური სპორტი.
03:30 პოკერი. საფრანგეთი.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ტორონტო 3:1**
0:0, 2:0, 1:1
**გოლები:** 1:0 ჰანტერი-7, 2:0 ტავარესი-16 (კომო-7, სატონი-4), 2:1 ჰაგმანი-16 (გრაბოვსკი-17, ტ. კაბერლე-31), 3:1 კომო-3 (ნ. ტომპსონი-5, ჰილენი-9).

**რეინჯერსი-ფლორიდა 4:1**
1:1, 1:0, 2:0
**გოლები:** 0:1 ორეშკოვიჩი-2 (მური-6, გ. კემპბელი-5), 1:1 დრური-5 (ლისინი-6, ეივერი-10), 2:1 პროსპალი-7 (კელეჰანი-9, გაბორიკი-23), 3:1 პროსპალი-8 (დუბინსკი-10, მ. სტაალი-10), 4:1 გაბორიკი-26 (დრური-8).

**ვაშინგტონი-ბაფალო 5:2**
2:0, 1:2, 2:0
**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-13 (ოვეჩკინი-19, სიომინი-16), 2:0 მ. გრინი-7 (ფერი-10, კლარკი-11), 2:1 გოსტადი-7 (დ. როი-20, პომინვილი-15), 3:1 ბ. მორისონი-10 (ფლიშმანი-9, ნუბლი-12), 3:2 ტიმ კონოლი-7 (მონტადორი-8, გრირი-4), 4:2 ბექსტრიომი-14 (სიომინი-17, ოვეჩკინი-20), 5:2 ოვეჩკინი-24 (ლეიჩი-17, მ. გრინი-28).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 2:5**
0:2, 2:0, 0:3
**გოლები:** 0:1 ბეტსი-2 (კარჩილო-5, ლაპერიერი-4), 0:2 მ. რიჩარდსი-14 (საიმონ განიე-6, პრონგერი-18), 1:2 კონოპკა-1 (დაუნი-8), 2:2 ჰედმანი-3 (ფოსტერი-7, სენტ ლუისი-34), 2:3 ბეტსი-3 (ბარტულისი-4, ლაპერიერი-5), 2:4 მ. რიჩარდსი-15 (ჟირუ-15, ბარტულისი-5), 2:5 საიმონ განიე-2 (ჟირუ-16, მ. რიჩარდსი-15).

**კაროლინა-მონრეალი 1:5**
1:4, 0:1, 0:0
**გოლები:** 0:1 მარკოვი-3 (პლეკანეცი-34, მ-ა. ბერჟერონი-11), 0:2 ა. კოსტიცინი-11 (კამალერი-15, პლეკანეცი-35), 1:2 სუტერი-8 (გლისონი-7, კარსონი-3), 1:3 ს. კოსტიცინი-1 (პლეკანეცი-36, გომესი-15), 1:4 მეტროპოლიტი-9 (გომესი-16, გორჯესი-5), 1:5 მეტროპოლიტი-10 (გომესი-17, შპაჩეკი-9).

**მინესოტა-ედმონტონი 3:1**
1:1, 1:0, 1:0
**გოლები:** 1:0 ბრუნეტი-11 (ჟიდლიცკი-16, მ. კოივუ-24), 1:1 ნილსონი-5 (გილბერტი-6), 2:1 ნოლანი-9 (ბელანჟე-11, კობესიუ-6), 3:1 ლატენდრესი-6 (კლატერბეკი-2).

**დეტროიტი-ჩიკაგო 0:3**
0:0, 0:1, 0:2
**გოლები:** 0:1 პ. კეინი-12 (ბ. კემპბელი-17, ბროუერი-8), 0:2 შარპი-11 (კეიტი-24, მარიან ჰოსა-7), 0:3 ტეუვზი-11 (კეიტი-25, პ. კეინი-26).

**დალასი-კოლამბუსი 3:1**
1:1, 1:0, 1:0
**გოლები:** 0:1 ნეში-19 (ვერმეტი-18, ჰუსელიუსი-15), 1:1 ბენი-8 (ვენდელი-8, რობიდასი-15), 2:1 ნილი-17 (ლ. ერიქსონი-22, ბ. რიჩარდსი-31), 3:1 ნილი-18 (ბ. რიჩარდსი-32, ლ. ერიქსონი-23).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 4:0**
1:0, 2:0, 1:0
**გოლები:** 1:0 აპშოლი-13 (ლომბარდი-17, დოუნი-15), 2:0 ჰანჟალი-4 (ვრბატა-10, ა. ოკუანი-12), 3:0 პიატი-6 (პ. მიულერი-6, ვანდერმეერი-4), 4:0 ლანგი-8 (პ. მიულერი-7, იენდლი-13).

**კალგარი-სტ. ლუისი 1:2 (ბ)**
0:0, 0:1, 1:0, 0:0
**გოლები:** 0:1 ბერგლუნდი-5 (პერონი-10, ვივერი-4), 1:1 ჯორდანო-3 (ლენგკოუ-12).
**ბულიტები გაიტანეს:** ბოიესი (სტ. ლუისი), ოში (სტ. ლუისი).

**პიტსბურგი-ოტავა 8:2**
1:1, 5:0, 2:1
**გოლები:** 1:0 მალკინი-11 (კროსბი-22, გონჩარი-16), 1:1 ვოლჩენკოვი-3 (რეგინი-6), 2:1 გერინი-10 (კუნიტცი-12, გონჩარი-17), 3:1 ფედოტენკო-7 (ჯ. სტაალი-12, ტელბოტი-3), 4:1 კუნიტცი-5 (გერინი-14), 5:1 გერინი-11 (კროსბი-23, კუნიტცი-13), 6:1 მალკინი-12 (კუნიტცი-14, გერინი-15), 7:1 გონჩარი-5 (კუკი-9, ჯ. სტაალი-13), 8:1 მალკინი-13 (კროსბი-24), 8:2 კელი-4 (ვინჩესტერი-6, ჩიჩუ-7).

**ბოსტონი-ატლანტა 6:4**
3:2, 1:0, 2:2
**გოლები:** 1:0 სავარი-9 (ხარა-19, ვიდემანი-8), 2:0 პეი-4 (რეკი-13, ბიგინი-9), 3:0 სობოტკა-4 (შ. ტორნტონი-5, ჰანვიკი-4), 3:1 ლიტლი-4 (აფინოგენოვი-20), 3:2 აფინოგენოვი-13 (კოვალჩუკი-18, ბოგოსიანი-6), 4:2 ხარა-3 (სავარი-8, ვიდემანი-9), 5:2 რაიდერი-9 (პ. ბერჟერონი-19, სავარი-9), 5:3 ე. კეინი-9 (ტ. უაიტი-12, კ. არმსტრონგი-7), 5:4 კოვალჩუკი-21 (აფინოგენოვი-21, ანტროპოვი-23), 6:4 პ. ბერჟერონი-10 (რეკი-14, ხარა-20).

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

ფორმულა 1. ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# ალბათ, სამი წელი დავრჩები



**მიხაელ შუმახერმა ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ პირველი ინტერვიუ მისცა გერმანულ პრესას. „წითელმა ბარონმა“ სენსაციური გადაწყვეტილების მიზეზებზე, შორს მიმავალ გეგმებსა და მომავალ სეზონში კონკრეტულ ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა.**

**- რამ გიბიძგათ ფორმულა 1-ში დაბრუნებისკენ?**

- ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მოტივაცია მეტად მარტივია - ეს არის სატელეფონო ზარი როს ბრაუნისგან, რომელიც ნოემბრის ბოლოს განხორციელდა. ამ ზარისა და ფორმულა 1-ში „მერსედესის“ საქარხნო გუნდის გამოჩენის გამო ბრწყინვალე გრძნობები გამიჩნდა. სარბოლო ტრასა არასოდეს მიმიტოვებია. 2006 წლის ბოლოს ფორმულა 1-სგან გადაღლილი ვიყავი... მაგრამ სამი წლის შემდეგ ენერგია დამიბრუნდა და ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ცოტა ხანი მოტოციკლებით ვერთობოდი, მაგრამ ახლა სერიოზული სამუშაოს დრო დადგა.

**- კისრის ტრავმასთან დაკავშირებით როგორ არის საქმე?**

- ცხადია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ის თავიდანვე გარკვევას მოითხოვდა. სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი, თავად უნდა დავრწმუნებულიყავი ყველაფერში. შემიძლია ასი პროცენტით გითხრათ, რომ კისრის ტრავმა აღარ არსებობს. ეს პრობლემა საბოლოოდ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან. სამწუხაროდ ზაფხულში, როცა „ფერარიში“ დაბრუნება ვცადე, დიდი დრო არ იყო გასული თებერვლის ავარიიდან და შესაბამისად, მზად არ ვიყავი ტრასაზე გასასვლელად. მაგრამ ახლა სპეციალურ ტრენაჟორებზე გამოვცადე საკუთარი თავი და ყველაფერი წესრიგშია.

**- გრძნობთ, რომ ისეთივე სწრაფი იქნებით, როგორც ადრე და შეძლებთ ლუის ჰემილტონისა და ფერნანდო ალონსოს კლასის პილოტების დამარცხებას?**

- ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. როცა ავარიის შემდეგ პირველად მივუჯექი კარტის საჭეს, თავიდანვე კარგი ტემპი ვაჩვენე. მე ახლა ეს რეალურ ბრძოლაში უნდა დავამტკიცო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამ ბიჭებთან დიდი ბრძოლა მომელის და ეს ძალიან საინტერესო იქნება.

**- რას ნიშნავს თქვენთვის „ფერარიდან“ წასვლა და „მერსედესში“ გადასვლა?**

- სიმართლე გითხრათ, ეს არ იყო იოლი ნაბიჯი. „ფერარიში“ ბევრი მეგობარი მყავს, იქ მე 14 წელი გავატარე და იმ დღეებისგან საუკეთესო მოგონებები დამრჩა.

ვფიქრობ, ერთადერთი მიზეზი არსებობს, რის გამოც სერიოზულად დავფიქრდი დაბრუნებაზე - ამის შესახებ ძველმა მეგობრებმა მთხოვეს. ერთხელ უკვე არსებობდა ისეთი სიტუაცია, როცა „მერსედესმა“ მომცა ფორმულა 1-ში მისვლის შანსი, მაგრამ შემდეგ მთელი კარიერის განმავლობაში არ მქონია ამ გუნდის შემადგენლობაში გამოსვლის საშუალება. ახლა კი როსისა და „მერსედესის“ კომბინაცია აეწყო, რისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა ჩვენი თანამშრომლობა. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ვალი გადავუხადო „მერსედესს“ კარიერის დასაწყისში გაწეული დახმარებისთვის.

**- ფორმულა 1-ში მიღწეული წარმატებების გამო ფენომენური რეპუტაცია გაქვთ. არ შიშობთ, რომ ეს იმიჯი მომავალ წელს საფრთხის წინაშე დადგება და ხალხი უკვე აღარ შეგაფასებთ წინა წლების დამსახურებების მიხედვით?**

- იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრები ძველ გამარჯვებებს არასოდეს დაივიწყებენ. რაც შეეხება ახალ გამოწვევას, ამ გუნდმა წელს ორივე ჩემპიონატი მოიგო და ახლა ძლიერი პარტნიორი ჰყავს „მერსედესის“ სახით. ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა. ბრძოლა რთული იქნება, მაგრამ მე მთელი ეს დღეები დაბრუნების იდეით ვცხოვრობდი.

**- მეუღლესა და შვილებს ჰკითხეთ რჩევა თქვენი გეგმების შესახებ?**

- რა თქმა უნდა. ამის გარეშე ვერასოდეს მივიღებ პირად საკითხში გადაწყვეტილებას. ეს იდეა ყველამ აიტაცა, ჩემს მეუღლეს კი ყოველთვის უნდა ყველა ბედნიერი იყოს. ჩემი გადარწმუნება არ უცდია.

**- რამდენი ხანი დარჩებით „მერსედესში“?**

- სამწლიან კონტრაქტზე ვილაპარაკეთ. მოკლეხნიან პერსპექტივაზე არ გვიფიქრია. ჩვენ ველით თანამშრომლობის გაგრძელებას.

**- ადრე ამბობდით, რომ დიდ სპორტში დაბრუნება არ გაინტერესებდათ...**

- უკვე გითხარით, რომ 2006 წლის ბოლოს ენერგია გამომელია, დასვენება მჭირდებოდა. მაშინ დაბრუნებაზე ვერ ვიფიქრებდი და ვერც იმას წარმოვიდგენდი, რა იქნებოდა მომავალში. ბევრი საქმით ვიყავი დაკავებული და სიამოვნებას ვიღებდი. მაგრამ ახლა რამდენიმე გარემოება დაემთხვა ერთმანეთს და გავიფიქრე - რატომაც არა?

**- როგორ აფასებთ ახალი ტიტულის მოპოვების შანსებს? ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტად?**

- აქ უნდა დავასახელო ოთხი გუნდი, რომელიც წელს წამყვან პოზიციებზე იყო. ისინი მომავალ წელსაც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. რთული სეზონი იქნება, მაგრამ ხალხს სჯერა ჩემი.

**- როგორ ფიქრობთ, ფორმულა 1-ში დღეს უფრო დიდი კონკურენციაა, ვიდრე სამი წლის წინ იყო?**

- ვფიქრობ, ჩემპიონობის კანდიდატთა რიცხვი გაიზარდა. უფრო რთულია თუ არა? არა მგონია. უხერხული მეტოქეები ყოველთვის მყავდა.

**- რას ელით ფორმულა 1-ის ახალი თაობის მანქანებისგან?**

- განსხვავებულ ბოლიდებში მოგვიწევს ჩაჯდომა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში სხვადასხვა მანქანით მირბოლია, ჩემი ძლიერი მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ პირობებს შემიძლია მოვერგო.

**- „მერსედესში“ მომავალი წლისთვის ვაკანტური ადგილი რომ არ ყოფილიყო, სხვა ვარიანტები იარსებებდა? „მაკლარენს“ ხომ არ მოუმართავს თქვენთვის წინადადებით?**

- ვფიქრობ, სხვა გუნდების ვარიანტებს სერიოზულად არ განვიხილავდი.

**- დაბრუნების შემდეგ ეტაპებისა და ტიტულის მოგების შემთხვევაში უნიკალურ მიღწევასთან გვექნება საქმე?**

- მართლაც, ეს იქნება უნიკალური გამოცდილება და გამარჯვება. მაგრამ თავიდან საჭესთან დაჯდომა მაცალეთ და ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ.






ვანკუვერი 2010

# იამაიკა თეთრ ოლიმპიადაზე

საქმე ეხება ზამთრის სახეობებისთვის ეგზოტიკური იამაიკის ერთადერთ წარმომადგენელს. ვინმე **ეროლ კერი** ვანკუვერის ოლიმპიადაზე სნოუბორდის ერთ-ერთ დისციპლინაში - სკიკროსში მოსინჯავს ძალებს.

დღეისთვის კერი 24-ე ნომერი გახლავთ ამ ახალი ოლიმპიური დისციპლინის რეიტინგში. თავად მოთხილამურე ნიუიორკელია, თუმცა დედამისი წარმოშობით იამაიკიდან არის, მამა კი ამერიკის მოქალაქეა. მათ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა უფროსი კერი შვებულებას იამაიკაზე ატარებდა. საბოლოოდ, ეროლის მშობლებმა ერთად ხუთი წელი გაატარეს კუნძულზე, რის შემდეგაც ნიუ იორკში გადაბარგდნენ, სადაც მომავალი სნოუბორდისტი დაიბადა. ეროლი 12 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. მოგვიანებით მან იამაიკის მოქალაქეობის მისაღებად ყველა პროცედურა გაიარა.



საჭირო დოკუმენტების მიღების შემდეგ სულ მცირე რამ იყო მოსაგვარებელი - სპონსორის მონახვა. და სნოუბორდისტმა ეს შეძლო: 2014 წლამდე სპორტსმენი ყველაფრით არის უზრუნველყოფილი.

*„როცა ხალხს იამაიკელი მოთხილამურის შესახებ ესმით, მომენტალურად წარმოიდგენენ ადამიანს, რომლის ფეხებქვეშ თოვლი დნება და კვამლი ამოდის. მაგრამ თხილამურები ჩემი საყვარელი საქმეა. ეს მარტო სპორტის სახეობა არ არის - ის ჩემს სისხლშია. ამერიკაში დაფინანსება არ არსებობდა, აქ იამაიკაში კი ზურგი არ შემაქციეს და დამიჯერეს, რომ რაღაცის მიღწევა შემიძლია“*, - ამბობს ეროლ კერი.

ამჟამად იამაიკელი **კრისტინა კოზნიკთან** ერთად ვარჯიშობს, რომელიც სამთო-სათხილამურო სპორტში ამერიკის ნაკრების ყოფილი წევრია. გარდა ამისა, კერი თანამშრომლობს **რაულ გვისადოსთან**, რომელთანაც პარტნიორობის შესახებ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**